სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 10 ივლისი 1999 №129 (902) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიასა და ფეხბურთს შორის

აზიელები ისევ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბოიკოტით იმუქრებიან

ბექემს თაფლობის თვე შეუმოკლეს

ალექს ფერგიუსონმა თავისი ვარსკვლავი შეკრებაზე ნაადრევად გამოიძახა

ჩვენი ცოდვა მსაჯების კისერზეა

ცუდი მსაჯობა რომ არა, პლეი ოფის მესამე მატჩში ყველაფერი დამთავრდებოდა — მიაჩნია რუსთავის „აზოტის“ მწვრთნელს ოთარ ხმელიძეს



ვახტანგ კოპალეიშვილი

ჩვენი ადგილი ჩრდილოეთში

2000 წლიდან ქართულ რაგბიში ახალი დროება იწყება

ექვსი ერის B ჯგუფი 2000

6 თებერვალი, სტუმრად	პორტუგალია
20 თებერვალი, შინ	მაროკო
5 მარტი, სტუმრად	ესპანეთი
19 მარტი, შინ	ჰოლანდია
2 აპრილი, შინ	რუმინეთი

ჯაფარ კეცხოველის ფოტო

პალიკო ჯიმშელაძისა (№10) და მისი თანაგუნდელებისთვის ტონგელებთან შეხვედრა ძნელი გამოცდაც იყო და ის აუცილებელი გამოცდილებაც, გაისიდანვე დიდად რომ გამოადგებათ

უძლიერესი ჩრდილოური სარაგბო ქვეყნის სახელისთვის 2000 წლიდან ხუთის ნაცვლად ექვსი ქვეყნის რჩეული მორაგბეები იბრძოლებენ. ბოლო ხანს რაგბის საერთაშორისო საბჭოში ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ამ უმთავრეს სარაგბო ტურნირში სხვა ქვეყანათა ჩართვის თაობაზე ბევრს ბჭობდნენ, თუმცა ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ბობოლები დანარჩენთ გვერდზე არ გაიკარებდნენ და საამისოდ აკი ქვედა ლიგები შექმნეს, რითაც ყველას თავისი ადგილი მიუჩინეს. რაგბის ქართველი გულშემატკივრების გასახარად, ბორჯღალოსნების ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მნიშვნელოვნად აამაღლა ქართული რაგბის რეიტინგი, ჰოდა, რაგბის საერთაშორისო საბჭოს ხელმძღვანელობამაც ჩვენს მორაგბეებს B ჯგუფში ანუ მეორე ლიგაში მიუჩინა ადგილი ესპანელ, პარტუგალიელ, ჰოლანდიელ, მაროკოელ და ჩვენს მძლეველ რუმინელებთან ერთად.

ხუთი გასამართი მატჩიდან ქართველები ორს სტუმრად, სამს შინ ითამაშებენ. პირველი დაპირისპირება ბორჯღალოსნებს პორტუგალიელებთან უწევთ 6 თებერვალს ლისაბონში. ორი კვირის მერე მაროკოელებს დაუხვდებიან, ამდენივე ხანიც და ჩვენებს ისევ სტუმრობა უწევთ, ამჯერად ესპანეთში. 19 მარტს და 2 აპრილს კი ქართველები მასპინძლები იქნებიან — ჯერ ჰოლანდიელებისა, მერე რუმინელებისა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

თვრამეტწლამდელთა მიზანი მაინც ხუთეულია

ათ დღეში შვედეთის 5 ქალაქში თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. თუ მაღლა ღმერთმა ინება და მინდორზე „კოპალას ბიჭებმა“ ივარგეს, ქართული ფეხბურთის მომავალს ძაღლი არ დაჰყეფს.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა ქართველი ჭაბუკებისთვის პირველი არ არის — ორი წლის წინ ჩვენმა თექვსმეტწლამდელებმა ითამაშეს გერმანიაში გამართულ ჩემპიონატზე, სადაც რევაზ გაგუას შეგირდები სამივე ჯგუფურ შეხვედრაში დამარცხდნენ. მაშინდელი გუნდიდან თვრამეტწლამდელთა ნაკრებს ოთხი ფეხბურთელი შემორჩა. მეხუთე, ვისაც ახლაც გოლები უნდა გაეტანა, ლაშა ჯაკობიაა. თუმცა, ლაშამ, ალბათ იცით, ერთი კვირის წინ საზარდულის ოპერაცია გადაიტანა და თანაგუნდელებს მხოლოდღა უქომაგებს.

— ლაშა ისეთი ბიჭია, გული არ მოუთმენს, ჩვენს გვერდით არ იყოს, შვედეთში აუცილებლად ჩამოვაო — გვითხრა წუხელ ნაკრების მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა, რომელსაც ტელეფონით ლევერკუზენში ველაპარაკეთ.

— დღეს პირველი საკონტროლო მატჩი გვქონდა გერმანული შეკრების მეოთხე დღეს. „შტუტგარტის“ ფარმკლუბს ვეთამაშეთ და 1:0 მოვიგეთ. გოლი ტორპედოელმა გიორგი იმედაძემ გაიტანა — ბატონი ვახტანგი შედეგით თუ თამაშის ხარისხით უკმაყოფილო არ იყო, მაგრამ ხმაში ნაღველი მაინც ერია.

კოპალეიშვილი გულღია კაცია. მისი შეგირდების აქამდელი წარმატებანი ამის შედეგიცაა. თვრამეტწლამდელთა მწვრთნელის საწუხარი ჩვენც ვიცოდით და სათქმელიც თავისთავად ითქვა.

— ჯერჯერობით მხოლოდ 13 მოთამაშე გვყავს შეკრებაზე — დინამოელები ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი და ხიზანიშვილი ხვალ უნდა შემოგვიერთდნენ. სკონტოელები მენთეშაშვილი და კორლალიძე პირდაპირ შვედეთში ჩამოვლენ. რა თქმა უნდა, ძნელია, ასე ნაწილ-ნაწილ გუნდის მომზადება საპასუხისმგებლო მატჩებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე. ლაშა ჯაკობიას ტრავმაც აღმართში ქვასავით დაგვეწია, მაგრამ ჩვენ, ყველას, მაინც ასე მეგვაჩნია, რომ იმედი ბოლოს კვდება. ადრე დასახული მიზანი არ შეგვიცვლია — ევროპის ჩემპიონატზე ხუთეულში უნდა მოვხვდეთ — დაგვაიმედა ქართველ თვრამეტწლამდელთა თავკაცმა.

ევროპულ ხუთეულში მოხვედრა ქართველ ახალგაზრდებს მსოფლიოს ჩემპიონატისკენ გაუხსნის გზას. ორ წელიწადში ოცწლამდელთა მსოფლიოს პირველობაა. ეს კი უკვე სხვა დონეა — ფიფას შეჯიბრთა ნუსხაში რიგით მეორე, ნაღდი მსოფლიოს ჩემპიონატის მერე.

— „შტუტგარტ ამატეურთან“ ცამეტივე ფეხბურთელმა ითამაშა. კარში ბედიაშვილი იდგა, დაცვაში — დევიძე, საჯაია, აბრამიძე და მუჯირი, შუა და წინა ხაზში კი ბურდული, ნოზაძე, გველესიანი, გაგუა, მიქაძე და იმედაძე.

დიმელაშვილი და გოცირიძე შეცვლაზე შეეუშვით. დაჯალებები თითქმის ყველამ ნორმალურად შასრულა. მატჩამდე იმედაძე უჩოდა მტკივან ფეხს, მაგრამ ორივე ტაიმი გაძლო. მეტოქეს ურიგო გუნდი არ ეთქმოდა, ძირითადად 25 წლამდე მოთამაშენი ჰყავდა, თუმცა უფროსებიც თამაშობდნენ, მეკარე 28 წლის იყო.

შედეგით კმაყოფილი ვარ. თამაში კი ამ შემადგენლობითაც უკეთ შეიძლებოდა.

„შტუტგარტის“ სამოყვარულო გუნდი ობერლიგაში ბადენ-ვიურტემბერგის შარშანდელი ჩამპიონია. წლეულს კი სამხრეთ რეგიონალლიგაში თამაშობს.

ვახტანგ კოპალეიშვილთან დაკავშირება გუშინწინაც არაერთხელ ვცადეთ, მაგრამ ჩვენებს მთელი საღამო თეორიული მეცადინეობა ჰქონდათ — *ჩვენი მეტოქე ესპანელების, ვიდეოფირი გავარჩიეთ, დაცვაში ტაქტიკურ ვარიანტებზეც გავამახვილეთ ყურადღება. ასეა, აქაც ვსწავლობთ, აქამდე ნასწავლის გამეორებაც არ გვაწყენს. ჩვენი მეტოქენი — იტალია, ესპანეთი და ირლანდია ტაქტიკურად თუ ფსიქოლოგიურად მალალ დონეზე იქნებიან მომზადებულნი. მათ რომ ვაჯობოთ, ჩვენც ასევე უნდა ვიყოთ მზად. შემადგენლობა ჯანსაღ კონკურენციაში უნდა გამოიკვეთოს* — ბოლოს ეს გვითხრა კოპალეიშვილმა და ყურადღებისთვის მადლობის თქმაც არ დავიწყნია.

ხვალ „კოპალას ბიჭები“ კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს ითამაშებენ, ამჯერად მათ სამი დინამოელი, ზურაბ ბათიაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი და ზურაბ ხიზანიშვილიც ეყოლებათ. მეტოქე დღეს დადგინდება. ამ უქმეების ამბებს კი სამშაბათის „სარბიელში“ შემოგთავაზებთ.

ვახტანგ ბზიკაძე

ფრთები, ფრთები გვინდა...

კუპარაჩასა და ინგასი არ იყოს, მთელი რუსეთი გუშინ „კრილიას“ მოსკოვის „სპარტაკთან“ ბრწყინვალე გამარჯვებაზე ლაპარაკობდა. მეთხუთმეტე ტურში სამარელებმა 3:1 მოუგეს გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს და ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი შეუნარჩუნეს. უფრო მეტიც. რკინიგზელები დაკარგული ქულების მიხედვით კვლავ პირველები არიან.

რუსეთის წლევანდელი ჩემპიონის გამოვლენამდე ჯერ შორია... ჩვენ კი იქაურ „გათამაშებაში“ მონაწილე ქართველ ფეხბურთელთა წარმატებები გვახარებს და ორმაგად გვსიამოვნებს ის ფაქტი, რომ თავად რუსი ჟურნალისტები არ იშურებენ საქებარ სიტყვებს ჩვენებურების მიმართ.

მრისხანე „სპარტაკის“ დამრცხებაში „კრილიას“ ქართულმა ფრთამ ლომის წილი დიდი სამარელთა კაპიტანს, ზურაბ ფოფხაძეს წარდგენა არ სჭირდება. იგი თავის დროზე რუსთავის „მეტალურგისა“ და გურჯაანის „ალაზანის“ ღირსებას იცავდა. ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშიც ითამაშა რამდენჯერმე.

მოსკოველთა წინააღმდეგ „კრილიას“ კაპიტანი დაცვაში უშეცდომოდ გაისარჯა — ასე შეფასა ფოფხაძის მიერ დებული რუსულმა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“. მისი კორესპონდენტი კი მატჩის დამთავრებისთანავე გაესუბარა ჩვენებურს:

— მთავარია, რომ მოვიგეთ, თანაც სოლიდური სხვაობით. დღემდე ვნანობ, შარშან მოსკოვში „სპარტაკთან“ ფრედ რომ ვითამაშეთ. ორბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოვახერხეთ. ახლა კი უზომოდ ბედნიერი ვარ, რადგან დიდი სიხარული ვაჩუქეთ საკუთარ თავსაც და გულშემატკივრებსაც, რომლებმაც ყველაზე ძნელ დროს ზურგი არ გვაქციეს.

— თვითონ თუ ელოდით ასეთ შედეგს?



ზურაბ ფოფხაძე დიღმის ბაზაზე, ეროვნულ ნაკრებში ვარჯიშის შემდეგ

ფოტო ალექსანდრ ტარხანოვის

— ამაზე წინასწარ არ მიფიქრია, ისე იმედიანად ვიყავი. განვლილი შეხვედრებიდან გამომდინარე, ბევრ მეტოქეს არაფერში ჩამოვუვარდებოდით. გოლებს ძირითადად სტანდარტული მდგომარეობიდან ვუშვებდით. აი, „სპარტაკის“ წინააღმდეგ კი ყველაფერი კარგად გამოგვივიდა.

— მიმდინარე სეზონში „კრილიამ“ ექვსჯერ ვერ შეძლო სასურველი ანგარიშის შენარჩუნება. თქვენი მწვრთნელი ტარხანოვი თვლის, რომ ფეხბურთელები ზედმეტად ნერვიულობდნენ.

— დღეს ყველანი მობილიზებულნი ვიყავით და დაცვაშიც უშეცდომოდ ვმოქმედებდით. მოსკოველებმა, უბრალოდ, ვერ დავვჩაგრეს.

— მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მიქაელიანმა და სტუმართა მეკარე ფილიმონოვმა ლამის ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს. როგორც კაპიტანი, მოვალე იყავით, კონფლიქტის ადგილზე გაჩენილიყავით...

— ჯერ ერთი, მოედნის ჩვენს ნახევარზე ვიმყოფებოდი და ვერ ვასწრებდი მოკამათეებთან მისვლას. მეორეც, ვხედავდი, საშიში არაფერი ხდებოდა, უბრალოდ ემოციების ზღვარგადასული გამოვლინება იყო. თანაც ბავშვები ხომ არ არიან, მუშტი-კრივი გაემართათ. მათთან რომ მიმერბინა ზონას ვტოვებდი და არ იყო გამორიცხული, „სპარტაკს“ კონტრშეტევაზე გამოვეჭირეთ. ანგარიშში სხვაობაც მინიმალური იყო — 2:1.

— მეორე ტაიმში მოსკოველები ხშირად ეკამათებოდნენ მსაჯს. ერთ ეპიზოდში თქვენი ხელით თამაშის გამო პენალტსაც ითხოვდნენ...

— იმ მომენტის ობიექტურად შეფასება მთლიანად მსაჯის სინდისზე ეკიდა. იგი კარგად ხედავდა ყოველივეს. კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთისთვის რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად ავხტი. ინერციით ხელი მაღლა ავწიე, ვიღაცამ უკნიდან მიბიძგა, მზეც თვალებს მჭრიდა და ბურთიც ხელზე მომხვდა. ასეთ დროს მსაჯს შეეძლო პენალტის დანიშვნა, მაგრამ ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა.

ფოფხაძის სიხნა ზურაბ წიკრაური რუსეთის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. მის ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს და ამ ფეხბურთელის მიმართ გულგრილი ვერ ვიქნებით. წიკლაურმა ზედიზედ მეორე შინაურ მატჩში დალაშქრა მეტოქეთა კარი. „სპარტაკთან“ გატანილი გოლი კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მის კარიერაში. ალექსანდრ ტარხანოვმა „2:1-ზე შუაში ამოდანა“ და ითამაშა. ხმელეთზე წარმატებულ ფეხბურთელს ზურაბ-ალექსის კომბინაციებს რუსული გაზეთის „სპორტსკი სპორტის“ კორესპონდენტი სწორედ ამ გოლის შესახებ გაესუბარა:

— სათადარიგოთა სკამზე ყოფნისას ოდნავ მაინც თუ გჯეროდათ, რომ მეორე ტაიმში გათამაშებდნენ?

— არა. მატჩის წინ ძალიან მტკიოდა მუხლი, რომელიც ამას წინათ ერთ-ერთ ვარჯიშზე დავიშავე.

— მინდორზე გაშვების წინ ტარხანოვმა დამატებითი მითითებები მოგცათ?

— არავითარი. თუმცა შუამარბად გამამწესა და ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ შეტევის ხაზი უნდა გამეძლიერებინა. „კრილია“ ხომ მხოლოდ ანგარიშის შესანარჩუნებლად არ თამაშობდა.

— გოლის გატანა მას მერე მოახერხეთ, როცა ადგილზე შეძელით მცველის მოტყუება. ეს ფინტი იმპროვიზაციის შედეგი იყო?

— რა თქმა უნდა. მე გავაკეთე ის, რაც ინტუიციამ მიკარნახა და მეტოქეც მინდორზე გაიშოტა.

— წინ გამოსულმა ფილიმონოვმა თითქმის დაფარა ახლო კუთხე. შორეულ ძელს ხედავდით თუ იღბლის იმედად დაარტყით?

— კარს ვუყურებდი. მთავარი იყო, შორეული ძელის ძირში დამერტყა ბურთი.

— ეს გოლი თქვენს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო?

— ასე არ ვიტყოდი. „სპარტაკთან“ მოგება ძალიან გასახარი იყო. გოლების გატანა კი თავდამსხმელის მოვალეობაა. ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი, ალბათ, მომავალში შელოდება.

მომავალში კი „კრილიას“ ქართულ ფრთას მეკარე დავით გვარამაძეც შეუერთდება და იმედია, ისიც იფრენს მოწინააღმდეგეთა მიერ დარტყმული ბურთების მოსაგერიებლად.

ხვიჩა სანიკიძე

მიხეილ ფოცხვერიას მოუშუშებელი იარა

დონეცკის „შახტიორის“ მწვრთნელად ცნობილი სპეციალისტის, ანატოლი ბიშოვეცის დანიშვნამ ქართველ ქომაგებს იმედები ისევ გაულვივა, ეგებ ახლა მაინც ითამაშოს მიხეილ ფოცხვერიამ, მით უმეტეს, ბიშოვეცმა თავადვე მოითხოვა, დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ განათხოვრებული ქართველი დამიბრუნეთო, მაგრამ...

„შახტიორი“ ორშაბათიდან უკრაინის ჩემპიონატში ჩაერთვება, მერე კი უეფას თასის მატჩებიც ელის. ბუნებრივია, გუნდი ახალი სეზონის წინ გამალებულ სამზადისში იყო, ემზადებოდა ფოცხვერიაც. „შახტიორი“ ბოლო შეკრებაზე ჩეხეთში იმყოფებოდა, იქ საკონტროლო თამაშებიც გამართა, თუმცა თავი ვერ გამოიჩინა — მხოლოდ ერთი მატჩი მოუგო მოლდოვის „ზიმბრუს“, დანარჩენი შეხვედრები კი წააგო.

ქართველებს ბიშოვეცის გვეიმედებოდა, ფოცხვერიას აუცილებლად ათამაშებსო, მაგრამ მისი გვარი ვერც ერთ ამხანაგური მატჩისას ვერ მოვიძიეთ.

რაშია საქმე? ნუთუ ანატოლი ბიშოვეციც წინამორბედ იარემჩენკოს გზას დაადგა?

რაც უნდა იყოს, გულდასაწყვეტია, რომ ფოცხვერია „შახტიორში“ ისევ ვერ თამაშობს, თუმცა ამჯერად ამის მიზეზი მწვრთნელი არაა, მიშა კვლავ მუხლის ტრავმას შეუწუხებია და დონეცკში დროზე ადრე გადაფრენილა, „შახტიორი“ კი ჩეხეთიდან გუშინ დილით დაბრუნდა სამშობლოში. ბუნებრივია, ჩვენ ჩვენებურის ბედი გვაინტერესებს, ამიტომ, გუშინ დონეცკურ კლუბს დავუკავშირდით:

— ფოცხვერია ჩეხეთში ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა და იძულებული გახდა, შეკრებიდან ნაადრევად გათავისუფლებულიყო. ახლა ყველაფერი სამკურნალო პროცესზეა დამოკიდებული. ვიმედოვნებთ, იგი მალე მომჯობინდება და სათამაშო ფორმასაც აღიდგენს — გვითხრა „შახტიორის“ წარმომადგენელმა.

ერთი სიტყვით, ასეა. ჩვენებურს იღბალი არ წყალობს. ხან მწვრთნელის ახირება, ხანაც ტრავმა. საბედნიეროდ, მიხეილ ფოცხვერიას მუხლი საოპერაციო არაა.

გიორგი ვაშაკიძე

ციმბირელი პაპა

რუსეთის მეორე დივიზიონის აღმოსავლეთ ზონას „ამურ-ენერგია“ ერთპიროვნულად ლიდერობს. გუნდი მართლაც ამართლებს თავის სახელს. უშველებელი მდინარის, ამურის ენერგიის წყალობით ლამის ნახევარი რუსეთის „ილიჩის ნათურები“ კაშკაშებს. ბლაგოვეშჩენსკელი ფეხბურთელებიც გაკაჟებულან მისი ნაპირის ახლომახლო ვარჯიშით და არავის ინდობენ. 12 ტურის შემდეგ გუნდის ანგარიშზე 10 მოგება და ორი წაგება, 19 გატანილი და მხოლოდ 4 გაშვებული ბურთი ჰქონდა.

ჰოდა, ეწვია მე-13 ტურში „ამურ-ენერგია“ ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცს“ და ისეთ ალში გაეხვია, ამურის წყალი კი არა, წყნარი ოკეანეც ვერ უშველიდა. მავანი იკითხავს, აბა, რა ჩვენი საქმეა ვიღაც ოცდაორი ციმბირელის ბურთის გორების ამბავიო.

უცნაურია ეს ცხოვრება, ფეხბურთელ მერაბ მეგრელაძესავით უცნაური. მეგრელაძემ, ამ მართლაც ქართული ფეხბურთის ცოცხალმა ისტორიამ, კვლავ შეგვახსენა თავი. უბერებელი მეგრელაძე სწორედ ნოვოსიბირსკში აგრძელებს კარიერას და... 8 ივლისს „სპორტ-ეკსპრესის“ მეხუთე გვერდზეც ამოყო ჭაღარა თავი. მეორე დივიზიონის სამზონიანი გათამაშების მიმოხილვას ასეთი სათაური აქვს: „43 წლის მეგრელაძეს ისევ გაუქვს, ამჟამად ციმბირში“.

რადგან ქართველი ვეტერანი რუსმა კოლეგებმა შეგვახსენეს, უმჯობესია, სწორედ მათ მოვუსმინოთ:

„ჩკალოვეც“ — „ამურ-ენერგიას“ შეხვედრა 29-გრადუსიან სიცხეში მიმდინარეობდა... მეორე ნახევრის დასაყისში სტუმრებმა ოთხი მოთამაშე შეცვალეს და რამდენიმეწუთიან უპირატესობასაც დაეუფლნენ. თუმცა ნოვოსიბირსკელთა დაცვა საიმედოდ მოქმედებდა. 75-ე წუთზე ლიდრიკმა ანგარიშის სხვაობა გაზარდა — 3:1.

2 წუთში ეფრემოვმა კვლავ გააღვივა ინტრიგა, სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა — 3:2. და აი, მოედანზე გამოჩნდა მერაბ მეგრელაძე. 43 წლის ქართველ თავდამსხმელს, რომელიც ვეტერანად ჯერ კიდევ მაშინ ითვლებოდა, როდესაც სსრკ-ს პირველობაზე თამაშობდა, საუკეთესო თვისებები ჯერაც არ დაუკარგავს. სწრაფი კომბინაციისას, რომელშიც ლიდრიკი ფიგურირებდა, მეგრელაძე ყველაზე წინდახედული გამოდგა, დამატებაზე პირველი გაჩნდა ბურთთან — და შეხვედრის საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირა. ეს იყო მიმდინარე სეზონში ქართველი ლეგიონერის პირველი და როგორც ჩანს, არაუკანასკნელი გოლი.

აქ კომენტარი მართლაც ზედმეტია.

ერთს კი მაინც დავამატებთ — ფეხბურთელი მერაბ მეგრელაძე ჯერ მხოლოდ 43 წლისაა...

მერაბ მეგრელაძე

სპორტ-ეკსპრესის ფოტო

ხვიჩა სანიკიძე

დარასელიას ისრაელს ელიან

ორი წელია, გიორგი დარასელია ისრაელში თამაშობს და ებრაულ „ლიგალომითს“ თავიდანვე იოლად გაუშინაურდა. პირველი წელი გიორგისთვის წარმატებული გამოდგა — მისი გუნდი თელ ავივის „ჰაპოელი“ ჩემპიონატის ბოლოს მეორე იყო. დარასალია ებრაელებმა დროულად დააფასეს და მისი წვლილის აღნიშვნაც არ დავიწყნიათ, თუმცა იმ წელს გიორგის და „ჰაპოელს“ მეტი, ჩემპიონობაც შეეძლოთ — ჩემპიონ „ბეითართან“ ბრძოლა ფინიშზე ოდენ ქულით წააგეს.

შარშან დარასელიას, რომ არ სჩვევია, ისეთი სეზონი ჰქონდა — მისმა ახალმა გუნდმა ჰულონის „ზაფრირიმმა“ ისრაელის უმაღლეს ლიგაში წელიწადზე მეტი ვერ გაძლო.

სუსტ გუნდში გიორგის მოხვედრა უკეთესის დიდხანს ლოდინმა გამოიწვია. ახალი სეზონი დარასელიამ სამტრედიის „იბერიაში“ დაიწყო და მასთან ერთად აღებული ჩინებული სტარტი იბერიელებს მერვე ადგილზე გასვლაში დაეხმარა.

„ძუკუ“ კი, თუმც დაგვიანებით, ისევ ისრაელს გაეშურა — მენეჯერმა დებიუტანტი „ზაფრირიმი“ ურჩია. ეს უკვე გახურებულ ჩემპიონატში, თორემ სეზონთშორისში ქართველი გამთამაშებლის მსურველი სხვაც ბევრი იყო.

„ზაფრირიმს“ ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გავრი ლევის ვაჟი გაი წვრთნიდა — თავიდან საკმაოდ კარგადაც, ჰულონელები ლიგის ზედა რვა გუნდში ერიენენ.

ებრაულმა პრესამ ფედერაციის პრეზიდენტს თავი მოაბეზრა, შვილს ეხმარებაო და „ზაფრირიმიც“ გავრი ლევიმ და ლამის მთელმა ისრაელმა გასავარდნად გაწირა.

გიორგის ებრაელებთან რვათვიანი კონტრაქტი აკავშირებდა, მაისში საქართველოში გამოეშვა და ფოთის „კოლხეთში“ თამაში და გოლის გატანაც მოასწრო ინტერტოტოს თასზე.

ახლა დარასელიას ისევ ისრაელში ელიან — შარშანდელ სეზონში მერვე ადგილზე გასული ქვარ სავას „ჰაპოელი“ მას ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

— თუ ებრაელებმა შემოთავაზებული პირობები შეასრულეს, ჩათვალეთ, ისრაელში კიდევ ერთ წელს ვითამაშებ. სანამ შემიძლია, უცხოეთში დავრჩები, კარიერას კი საქართველოში დავასრულებო, გვითხრა 30 წლის ქართველმა ნახევარმცველმა, რომლის აქტივში 9 სანაკრებო მატჩში, გატანილი 2 გოლი საქართველოს ჩემპიონატის, 1 ვერცხლის და ორიც ბრინჯაოს მედალია. ჩვენს ჩემპიონატში დარასელიას 105 გოლი აქვს გატანილი.

ვახტანგ ბზიკაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

წლეულს თემურ ჩლაიძე საიმედოდ იცავდა დებიუტანტ „არსენალის“ კარს

შანსის მომლოდინე

უცხოეთში თამაშზე ადვილი რა არის. ერთი გაქნილი მენეჯერი და იქა ხარ, ოღონდ სოლიდური საფეხბურთო ქვეყნის სოლიდურ კლუბში არა და, ჩვენნაირად დაბეჩავებულ ქვეყნებში ადვილად მოეწყობი. მერე ინყება ათასგვარი ზღაპარი და უცხოეთში რომ გგონია ფეხბურთელი, მაინცდამაინც ის შეგხვდება რუსთაველზე.

ადრე თითო-ოროლა ტრანსფერი ხორციელდებოდა, მაგრამ არ იყო გამოცდილება. ვინც საზღვარგარეთ მიდიოდა, ის მართლა თამაშობდა და არც სათადარიგოთა სკამის ხეხვა უწევდა. თუ ვინმე უკან ბრუნდებოდა, მართლაც ცუდი პირობების გამო.

— იქნებ პოლონეთიდან არც უნდა დაბრუნებულიყავი, მაგრამ 17 წლის ბიჭისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ვერაფერი ვნახე. სახლი მენატრებოდა, თანაც მარტო ხელფასისთვის ვთამაშობდი. ჩვენში არანაკლები დონის ჩემპიონატი ტარდებოდა, ფეხბურთელები კი არ გარბოდნენ, პირიქით, აქეთ ჩამოდიოდნენ ლეგიონერები. საფეხბურთო ბუმი იყო და მეც ამიტომ გადავწყვიტე დაბრუნება. ახლა თქვენ თქვით, სწორად მოვიქეცი, თუ არა.

— ერთხანს უეცრად დაიკარგე ქართული ფეხბურთიდან, ორი წელი არ ჩანდი.

— ტრავმის ბრალი იყო. ამას, მართალია, დროებითი, მაგრამ მაინც სხვა პრობლემებიც მიემატა და ფეხბურთსაც ამიტომ ჩამოვშორდი.

— აქამდე უცხოეთში დაბრუნება თუ გიცდია?

— სხვების შემხედვარეს, წასვლაზე სერიოზულად არც მიფიქრია. წავლენ, წინ და უკან წანწალში დიდ დროს დაკარგავენ და მაინც ბრუნდებიან, რა თქმა უნდა, ფორმადაკარგულები. თუ წახვალ, მიზანმიმართულად უნდა მიდიოდე, დაინტერესებაც უნდა გქონდეს, სხვაგვარად რა აზრი აქვს. ისევ აქ დარჩენა მირჩევნია. ფორმაში ვიქნები და არც სათამაშო პრაქტიკა მომაკლდება.

— თანამედროვე ფეხბურთში მეკარე როგორი წარმოგიდგენია?

— მეკარე ნებისმიერი გუნდისთვის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახდა. თავი დავანებოთ ათლეტურობას, რეაქციას, ფეხით უნაკლო თამაშს. მეკარე თამაშს უნდა კითხულობდეს, რიტმს უნდა გრძნობდეს და არეგულირებდეს. დღეს გუნდის თითქმის ყველა შეტევა მეკარისგან იწყება. რაც უფრო იზღუდებიან მეკარეები, მით უფრო იმატებს მათი როლი. ახლა ერთი ბურთის ხელში აღებას თუ აგვიკრძალავენ, თორემ სხვა აღარაფერი დარჩა. ეს ექვსი წამიო, ოთხი ნაბიჯიო და ასე შემდეგ.

— თანამედროვეობის უდიდეს მეკარედ ვის დაასახელებდი?

— ეს გემოვნების საკითხია, რაზეც არ დაობენ. და მაინც, მე თუ მკითხავთ, პეტერ შმაიხელთან ახლოს ვერავინ მიჯა. ამხელა კაცი ასე თავისუფლად, ასე სხარტად და სწრაფად მოძრაობდეს, სხვა თუ გინახავთ. როცა ფორმაშია, მას არაფერი ეშლება. მართალია, წლევანდელი სეზონის მეორე ნახევარი მთლად უშეცდომო ვერ გამოუვიდა, მაგრამ გადამწყვეტ მატჩებში საიმედოდ იდგა. „ბავარიასთან“ ფინალურ მატჩში „იუნაიტედმა“ ანგარიში რომ გაათანაბრა, შმაიხელის დამსახურებაც არ იყო? ამხელა დეკაცი კუთხურისას მეტოქის საჯარიმოში რომ გამოჩნდება თავისთავად დაძაბულობას გამოიწვევს. ცუდი ის არის, რომ ძაიხელი, ასაკის გამო, ალბათ, მალე გამოეთხოვება დიდ ფეხბურთს. მსოფლიოში უპირველესი თამაში კი უდიდეს მეკარეს მოისაკლისებს.

— ქართველი მეკარეები რატომ ვერ აღწევენ უმაღლეს დონეს?

— ეს ჩვენი ჩემპიონატის დაბალი დონის ბრალია. ხომ ხედავთ, ევროპაში როგორ ტემპში მიმდინარეობს მატჩი. ყველა თამაშში დატვირთულია მეკარე, მოდუნების საშუალება არ ეძლევა. საქართველოში თუ ორი-სამი ამგვარი შეხვედრა გამოერია სეზონში, მადლობელი უნდა იყო. ამიტომაც გვიჭირს. იმას რა დიდი მტკიცება უნდა, რომ მარტო ვარჯიშო კლასს ვერ აიმაღლებ. არსებობს მეორე ფაქტორიც, სპეციალისტთა ნაკლებობა. კი არიან, მაგრამ არასაკმარისად, მეკარეს სხვანაირი მომზადება უნდა.

— ახლა ორიოდ სიტყვა საკუთარ თავზეც გვითხარი. შენ რა, აკმაყოფილებ მოთხოვნებს?

— ძნელია საკუთარ თავზე საუბარი, თუმცა სხვებისგან არც მე განვსხვავდები. არა მიშავს ხაზზე, შედარებით მოვიკოჭლებ გამოსვლებზე თამაშისას, დიდი სამუშაო მაქვს ფეხით ბურთის ატანაშიც. მოკლედ, ისეთი ვარ, როგორც ყველა ქართველი მეკარე.

— საერთოდ მეკარეებს განსაკუთრებული თავისებურებები გამოარჩევთ სხვა მოთამაშეებისგან. შენ რა რიტუალს ასრულებ მატჩის დაწყებამდე?

— განსაკუთრებით რამეს ყურადღებას ვაქცევ-მეთქი, ვერ ვიტყვი. მინდორზე ჩვეულებრივად გავდივარ, საჯარიმოში შესული გეზს რომელიმე ძელისკენ ავიღებ, ხელით შევეხები და პირჯვარს ვიწერ. სულ ეს არის. თამაშში ჩართულს კი ირგვლივ არაფერი მაინტერესებს, მხოლოდ ბურთი და დაცვაა ჩემი საფიქრალი.

— საქართველოს ნაკრების აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი ერთხელ შენი თამაშის სანახავადაც მოვიდა. ნაკრებში აპირებდა შენს გამოცდას, მაგრამ მაინცდამაინც ის მატჩი ჩაგივარდა...

— გუცაევი თამაშს თუ დაესწრებოდა, თავიდან არ ვიცოდი. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. რატომღაც ავიკვიატე და თამაშამდე საათით ადრე საჯარიმოები მოვარწყვე ვინე. ზედმეტი მოუვიდათ. 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი გავუშვი. ატალახებულ მინდორზე ჩავეფლე. რეაქცია რომ გამეკეთებინა, ალბათ, ავიღებდი დარტყმულს, მაგრამ... მერე ავირიე და... მოკლედ, არ ღირს სალაპარაკოდ. მაშინ შანსი ხელიდან გავუშვი.

— და როდის მოგეცემა იგი?

— ნაკრებში თამაშზე ვოცნებობ. მე ჩემსას ვეცდები და კიდევ ერთ შანსს დაველოდები. დარწმუნებული ვარ, მომეცემა. ვარჯიში არ მეზარება და დროც საკმარისი მაქვს. დღეს ქართველი მეკარეებიდან ისეთი არავინ მეგულება, კონკურენცია ვერ გავუწიო და თავი შევიკავებინო.

— „არსენალზე“ რას გვეტყვი, უფრო მეტის მიღწევა თუ შეგეძლოთ?

— შეიძლებოდა საფეხურით მაღლა ვყოფილიყავით, მაგრამ გუნდის გამოცდილებიდან გამომდინარე, მეტის მიღწევა ვერ შევძელით, დასანანი ქულები დავკარგეთ, ამას კი არავინ გაპატიებს. ისე, „არსენალი“ შეკრული, ბრძოლისუნარიანი გუნდი იყო. მეტი სტიმული და გამოცდილება რომ ყოფილიყო, ხუთეულშიც შევაღწევდით.

თემურ ჩლაიძე იმ გამონაკლისთაგანია, რომელსაც გოლიც გაუტანია. 1997 წელს, ბოლნისის „სიონის“ წევრმა ფოთის „კოლხეთს“ გაუტანა თერთმეტმეტრიანი. ის მატჩი ფრედ, 2:2 დამთავრდა.

მისთვის უცხო არც ნახევარმცველობა გახლავთ. 1995 წელს, თელავის „კახეთის“ მოთამაშემ „ბათუმთან“ გასვლით შეხვედრაში საყრდენადაც ივარგა. ის მატჩიც ფრედ, 0:0 მორჩა.

„ბისკვიტა“, ჩვენი ჩემპიონატის პირობებში, ჩინებული მეკარეა, კარგი პენალტისტი და საიმედო საყრდენიც ყოფილა, მაგრამ როგორც მეკარეს, გაცილებით მეტი შეუძლია, თანაც ჯერ მხოლოდ 25 წლისაა.

მამუკა კვანტალიანი

არ ეჩხუბოთ გიორგას!

ახალი ჩემპიონატისთვის სამზადისში „გორდა“ რამდენიმე დღის წინ ჩაება. როგორც იცით, გუნდის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება კლუბის ხელმძღვანელებმა შეძლეს, გუშინწინ კი პირველი ახალწვეულებიც გამოჩნდნენ. ლაშა ბუკია გასულ ჩემპიონატში თსუ-ს ღირსებას იცავდა, ამჯერად კი რუსთაველთათვის მოუწევს გარჯა. ახალ ჩემპიონატს „გორდაში“ შეხვდება საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველის ზურაბ ხიზანიშვილის ძმა გიორგი ხიზანიშვილიც. რუსთაველები კიდევ რამდენიმე მოთამაშის დამატებასაც აპირებენ, რაც უახლოეს მომავალში გადაწყდება.

მზადების ციკლით გათვალისწინებული ერთი საკონტროლო შეხვედრა „გორდამ“ უკვე ჩაატარა და „ფოლადზე“ მეორეჯგუფელ „ხალიბს“ სძლია — 5:2.

რუსთაველთა კიდევ ერთ შენაძენზე არ ვთქვათ, არ იქნება — იასონ ალადაშვილს ფეხბურთელების ფიზიკურად მომზადებაში, აღმოსავლური ორთაბრძოლების ცნობილი ქართველი ოსტატი ტარიელ ბიწაძე ეხმარება. იგი რუსთაველია და, ბუნებრივია, თავისი ქალაქის კლუბზე გული შესტკივა, „გორდასაც“ თავისებურად უდგას მხარში — ფეხბურთელებს შტანგაზე, ორძელზე და გამძლეობის ამაღლებაზე ავარჯიშებს.

თქვენ ისა თქვით, ბატონმა ტარიელმა ფეხბურთელთა მომზადების საქმეში „აღმოსავლური ელემენტებიც“ თუ გამოურია... ამ ინფორმაციას, ალბათ, გულისყურით მოეკიდებიან ქართულ ფეხბურთში მოღვაწე მსაჯები.

პაატა კვანტალიანი

დილა ქუთაისში

გორის „დილა“ მეთერთმეტე ჩემპიონატისთვის გამალებით რომ ემზადება და სოლიდური მიზნებიც დაუსახავს, მათი ქმედებებიდანაც ჩანს.

კლუბის ხელმძღვანელობამ საქართველოს სხვადასხვა გუნდებში მიმოფანტული თითქმის ყველა ფეხბურთელი დაიბრუნა. მხოლოდ გიორგი ბალაშვილი შერჩა „ლოკომოტივს“, რომ მარღიშვილისა და ზურაბ ხორგუაშვილის გადაბირების ამბავი კი დასასრულს უახლოვდება.

„დილა“ ახლა შეკრებაზეა. გორში ორჯერადი ვარჯიში და სამჯერადი ყუათიანი კვება თურმე პრობლემა არ ყოფილა. ფეხბურთელებიც დღითი-დღე უმატებენო, იმედიანადაა მწვრთნელთა კორპუსი.

დღეს „დილა“ ქუთაისს ესტუმრება და უეფას თასისთვის მოვარჯიშე „ტორპედოს“ ამხანაგურად გაეჯიბრება.

მამუკა კვანტალიანი

კიდევ ერთი შერიფელი

გიორგი რევაზიშვილი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი გიორგი რევაზიშვილი ბოლო დროს უგუნდოდ იყო.

მას შემდეგ, რაც ფეხბურთელი რუსული „კრილია სოვეტოვიდან“ წამოვიდა და „შინიკის“ ვარიანტიც ჩაიშალა, თურქულ „ვანსფორში“ უნდა გადაბარგებულიყო, მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა.

გიორგი გუშინწინდლამდე გორში ემზადებოდა ინდივიდუალურად, მაგრამ საღამოს სასწრაფოდ სამგზავროდ გაამზადეს და მოსკოვში გადააფრინეს. იქედან კი ტირასპოლს ეწვია.

ალბათ, მიხვდებოდით, მოლდოვა ხომ ქართველთა ახალი ნავსაყუდელი შეიქნა. იქაურ „შერიფში“ აქამდე ვაჟა თარხნიშვილი, დიმიტრი არსოშვილი, დავით მუჯირი და თამაზ პერტია ირიცხებოდნენ.

გუნდთან შეგუება არც გიორგის უნდა გაუჭირდეს. ქართველობას რომ თავი დავანებოთ, იქ მას ორი ყოფილი თანაგუნდელი დახვდება, თარხნიშვილი (დილაში) და მუჯირი (ახალგაზრდულ ნაკრებში).

შეგახსენებთ, რომ რევაზიშვილის ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია, თბილისში, ესტონეთის უპირველესი გუნდის წინააღმდეგ.

მამუკა კვანტალიანი

საჩუქარი დინამოსგან

პირველი ლიგის დებიუტანტი „თბილისი“ უკვე რამდენიმე დღეა, ორკვირიან შეკრებაზეა გადასული. ყოფილ „შვილობილს“ (გეხსომებათ, „თბილისს“ ცოტა ხნის წინ „დინამო 2“ ერქვა) „დინამომ“ მართლაც მშვენიერი საჩუქარი უძღვნა. როგორც იცით, სამი ივლისიდან ბოსკამპის შეგირდები საწვრთნელ-მოსამზადებლად მთავარი მწვრთნელის სამშობლოს, ჰოლანდიას სტუმრობენ და დიღმის ბაზაც დებიუტანტებს დარჩათ. აბა თბილისელთა ახლადდანიშნული მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე გუნდის მოსამზადებლად ამაზე კარგ ადგილს სად გამონახავდა. ჰოდა, „თბილისიც“ დიღომში ემზადება, თუმც არასრული შემადგენლობით, რადგან „თბილისის“ შვიდი ფეხბურთელი ვახტანგ კოპალეიშვილმა იახლა თვრამეტწლამდელთა გერმანულ შეკრებაზე. თანაც ამ ფეხბურთელთა მომავალი საბოლოოდ არც არის გარკვეული, რადგან ადვილი შესაძლებელია, ახალი სეზონიდან ისინი ბოსკამპის „დინამოში“ აღმოჩნდნენ.

თითქმის გადაწყვეტილია ვიტჯორჯიელი რევაზ ქემოკლიძის საკითხი. იგი დღეს გუნდთან ერთად ემზადება და, ოთარ კორღალიძის თქმით, სავარაუდოდ მომავალი სეზონისთვის „თბილისის“ რიგებში იასპარეზებს.

მოსამზადებელი ეტაპის დროს ოთარ კორღალიძის შეგირდები ამხანაგურ მატჩებსაც გამართავენ. დღეს ისინი მეორეჯერ დაუპირისპირდებიან რკინიგზელებს (პირველი შეხვედრა „ლოკომოტივმა“ 2:1 მოიგო), შემდეგ კი ექვსი დღის ინტერვალში სამ მატჩს გამართავენ „დილასთან“, საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებთან და „ვიტ ჯორჯიასთან“.

პაატა კვანტალიანი

რეორგანიზაციასთან დაკავშირებით
შ.პ.ს. „ფილოველი-444“ განიცდის ლიკვიდაციას.
დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით
შემდეგ მისამართზე: კრილოვის ქ. № 15
შ.პ.ს. „ფილოველი-444“-ის დირექცია

სრულიად საიდუმლოდ

რა უნდა ბას კიევში? გაიკვირვა კახა კალაძემ

კახა კალაძე და ალექსანდრ შოვკოვსკი თბილისში საქართველო — უკრაინის მატჩის მერე

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ წლეულს უმაღლესი ლიგის კლუბებს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. ქვეყნის მერვე ეროვნული ჩემპიონატი ივნისის მეორე ნახევარში დასრულდა. ორშაბათს, 12 ივლისს, კი მეცხრე პირველობა იწყება. უკრაინაში მოთამაშე ქართველთაგან ყველაზე მეტად, ცხადია, საქართველოს ნაკრების მცველი კახა კალაძე გამოირჩევა, რომელმაც კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული.

კალაძისათვის, ისევე როგორც დანარჩენი დინამოელებისათვის, გასული სეზონი ძალიან დაძაბული და მძიმე გამოდგა. მისი დამთავრების შემდეგ ფეხბურთელებმა დასვენება რიგიანად ვერც მოასწრეს, ისე შეუდგნენ მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებას.

„დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ გუნდი 26 ივნისს შეკრიბა და იალტაში წაიყვანა შეკრებაზე, საიდანაც კიეველები გუშინწინ დაბრუნდნენ.

აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ იალტაში ერთი საკონტროლო მატჩიც არ გაუმართავს. ეს თავად ლობანოვსკის გადაუწყვეტია.

„შეკრებამ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა, ლობანოვსკიმ, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდი დატვირთვით გვავარჯიშა. მიუხედავად ამისა, დაღლილობა არ გვეტყობა, ყველანი ნორმალურად გამოვიყურებით. მართალია, შემადგენლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი დანაკლისი განვიცადეთ, მაგრამ მიზნები კვლავაც ძველი გვაქვს“ — გვითხრა გუშინ კახამ, რომელსაც კიევში დავუკავშირდით.

მომავალ სეზონს კიეველები მართლაც მნიშვნელოვნად შესუსტებული ხვდებიან. ანდრეი შევჩენკოს „მილანში“ და ოლეგ ლუჟნის ლონდონის „არსენალში“ გადასვლის ამბავი, თავადაც მოგეხსენებათ, იალტაში კი ალექსანდრ შოვკოვსკი და ალექსანდრ ხაკკევიჩი გამოაკლდნენ გუნდს. შოვკოვსკის მსუბუქი ტრავმა მიუღია და დღე-დღეზე ვარჯიშსაც დაიწყებს, ხაკკევიჩი კი პირველ წრეში „დინამოს“, ალბათ, ვერ დაეხმარება. მორიგმა გამოკვლევამ ერევანელ ნახევარმცველს სპორტსენინსოვს ბაკალოდ ძმიმე დიაგნოზი, ჰეპატიტი დაუდგინა. ცხადია, ამ ფეხბურთელებს დროულად შემცვლელი სჭირდება, შევჩენკოს დარი ფეხბურთელი კი ლობანოვსკის ჯერ-ჯერობით არსად ეგულება.

ერთი პერიოდი გიორგი დემეტრაძის გადმოყვანაზე იყო საუბარი, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი გარკვეული მიზეზების გამო არ შედგა. მას შემდეგ შევჩენკოს შემცვლელზე არაფერი თქმულა, თუმცა უახლოეს მომავალში, ალბათ, ყველაფერი გაირკვევა — ასეთი იყო ამასთან დაკავშირებით კალაძის პასუხი.

ბოლო დროს, უკრაინული სააგენტოები „მილანის“ ფრანგი (წარმოშობით სენეგალელი) ლეგიონერის იბრაჰიმ ბას კიევის „დინამოში“ შესაძლო გადმოსვლაზე საუბრობდნენ, თუმცა ამ ხმებს გუშინწინ თავად ბამ მოუღო ბოლო, როცა ესპანეთის პრიმერადივიზიონში ხელახლააღზევებულ „სევილიაში“ განათხოვრების წესით მომავალი წლის ბოლომდე გადავიდა. ბას „დინამოში“ შესაძლო გადმოსვლის ამბავი კი კალაძემ ძალიან გაიკვირვა. „რაა? ბაა? საიდან მოიტანეთ“ — გვიპასუხა კითხვაზე.

ისე კალაძემ რომ „დინამოს“ შესაძლო ახალწვეულთა ვინაობა არ იცოდეს, არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენი უკრაინელი კოლეგების ცნობით, ამ ამბავს კიევური კლუბის ხელმძღვანელობა ფრიად საიდუმლოდ ინახავს.

განო ოძროპირიძე

საზაფხულო მიდი-მოდი

ქართული კლუბების შემადგენლობაში გუშინ დიდი ცვლილებები არ მომხდარა: ერთი ამხანაგური მატჩის ანგარიში, „ვიტ ჯორჯიას“, „სამგურალის“, „გორდასა“ და „თბილისის“ რამდენიმე ახალწვეული დაზუსტა

«ა» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
დინამო *იოჰან ბოსკამი*	ლ.მიქაძე(თბილისი),ა.მუჯირი,ტულუში(ბათუმი),გვარამაძე(კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), შ. ჩომახიძე (ლოკომოტივი), კვარაცხელია (თბილისი),მ.მაჭავარიანი,გოგინიაშვილი (?)	ს.გიგაძე,ვ.გიგიაძე(იბერია),გ.შენგელია(დინამო),ჭიჭვეიშვილი,სიჭინავა,ხომერიკი(ბათუმი),ხიზანიშვილი,ხიზანეიშვილი(თბილისი),თ. კობიაშვილი,შაშიაშვილი (თსუ),ლომაია(მერანი),დევაძე(ირონი,აშდოდი,ისრაელი)	ერევანი 0:0, ქიაფაზი 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდემი(ჰოლანდია) 10:0
ლოკომოტივი *მურთაზ ხურცილავა*	ზ.არჩვაძე(ბათუმი),დ.მუჯირი(მერიფი,მოლდოვეთი),კ.გოგოლაძე(ერევანი,სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), შ. ხუჯაძე (ტორპედო), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), დოლაბერიძე, დუმბაია, ქოიავა, ლუდუმაური, ვ. კლასონი (?)	შ. ჩომახიძე(დინამო),ტრაპაიძე,კალანდაძე,მ.ქობულაძე(კოლხეთი),დ. ციონიძე (მერანი), ასლანაძე,გლუნჩაძე(სამგურალი),ვ.გველესიანი(არსენალი),ბაოამიძე, გოლეთიანი(ლარნაკა),ოდიშარია(ცხუმი)	დილა 0:3,თბილისი 2:1,ცხუმი 5:0
ბათუმი *ჯანი კარნეკვალე*	თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (დინამო), მაქაცარია (?)	ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი.ბახტაძე (კოლეჯი)	
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	ვ.მაისურაძე(ტორპედო),ვ.ქუთათელაძე,გვირჯიშვილი(თსუ),ქემოკლიძე(თბილისი)	კოტორაშვილი(ლოკომოტივი),ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(დილა)	დილა 2:1
არსენალი *დავით ნახავა*	ზირაქიშვილი(ტორპედო),ჩლაიძე,ყოლბაია(ყარაბალი,აზერბაიჯანი),ვ.გველესიანი(ლოკომოტივი),ტარიელაშვილი,მ.მაისურაძე(?)		
სამგურალი *რევაზ ბურკაძე*	აფციაური(ერევანი,სომხეთი),ბურნაძე(ვანსფორი,თურქეთი),მახვილაძე(ტორპედო),ასლანაძე,გლუნჩაძე(ლოკომოტივი),ახალაძე(თსუ),გ. შენგელია(დინამო),გიორგობიანი(ლუჩი,რუსეთი),გ.კილასონია(?)	იობიძე(გურია),ბრეგვაძე,ფაიქიძე(სულორი),ჭყონია(?)	
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	ლ.გაგუა(კოლხეთი),გუგუნავა,ძნელაძე,კ.გოდერძიშვილი,დ.ბერიძე,ტყავაძე(?)		
თბილისი *ოთარ კორღალიძე*	შაშიაშვილი,ხიზანიშვილი,ხიზანეიშვილი(დინამო)	კვარაცხელია (დინამ ო), ხუციშვილი, ბაჯელიძე (მერანი), ლ. მიქაძე (დინამო), ქემოკლიძე(ვიტ ჯორჯია)	ლოკომოტივი 1:2

«ბ» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*		ვ.მაისურაძე(ვიტ ჯორჯია),ზირაქიშვილი(არსენალი),შ.ხუჯაძე(ლოკომოტივი), სიდამონიძე(გორდა),მახვილაძე(სამგურალი),გ.კვეტენაძე(მერანი)	დინამო 1:3
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	მ.ქობულაძე,კალანდაძე,ტრაპაიძე(ლოკომოტივი),ე.გვასალია(ერევანი,სომხეთი)	ლ.გაგუა(სიონი)	ცემენტარნიცა(მაკედონია) 2:4, 0:4
მერანი *სერგო გაბელაია*	ლომაია(დინამო),გელა ქორიძე(ბათუმი),ხუციშვილი,ბაჯელიძე(თბილისი),დავითნიძე (ლოკომოტივი)		
იბერია *სოსო ფრუიძე*	ს.გიგიაძე,ვ. გიგიაძე(დინამო)		
დილა *მერაბ ხუციშვილი*	ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(ვიტ ჯორჯია),მდივანი(?)	სოლოლაშვილი(დინამო),მარლიშვილი,ხორგუაშილი(ლოკომოტივი)	ვიტ ჯორჯია 1:2,ლოკომოტივი 3:0
გორდა *იასონ ალადაშვილი*	რ.მახარაძე(მერცხალი),სიდამონიძე(ტორპედო),ვ.მაჭავარიანი,კალმახელიძე, პ.მესხი(?)	ბუკია(თსუ),გ. ხიზანიშვილი(აკადემია)	ხალიბი 5:2
თსუ *კოტე დოლიძე*	თ. კობიაშვილი,შაშიაშვილი(დინამო),ბუკია(გორდა)	ახალაძე(სამგურალი),ვ.ქუთათელაძე,გვირჯიშვილი(ვიტ ჯორჯია)	
ხობი *ფრიდონ გოცირიძე*	ონიანი(ნისტრუ,ოტაჩი,მოლდოვა),ლ.გვაზავა(?)		

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯეროობით საბოლოო არ არის



ნეტავ რას არიგებს ლუქსემბურგო რონალდოს?

39a. Copa América Paraguay '99

პალერმოს თუ მოუნდა

საინტერესო ჩემპიონატია. დასაწყისს არა უშავდა, ჯგუფური ტურნირის მეორე ტურმა უცნაურად ჩაიარა, პირველი ეტაპი კი ისე დასრულდა, ძალიან საინტერესო მეოთხედფინალური წყვილი შექმნა — 11 ივლისს, „კოპა ამერიკას“ ბოლო მეოთხედფინალში, ბრაზილია არგენტინას ხვდება, მანამდე კი — მექსიკა პერუს, პარაგვაი ურუგვაის, ხოლო კოლუმბია ჩილეს.

სამხრეთ ამერიკის ორი უძლიერესი ნაკრები დაუპირისპირდება ერთმანეთს — არგენტინა ბრაზილიის წინააღმდეგ, გნებავთ პირიქით, ძირძველი მოწინააღმდეგეები კვლავ წარსდგებიან ერთმანეთის პირისპირ. ორივე გუნდი თავისებურ ფეხბურთს თამაშობს და მათი შეხვედრები ყოველთვის საინტერესოა. ახლა, როცა წინ მეოთხედფინალია და მოგება აუცილებელი, დაძაბულ შეხვედრას უნდა ველოდოთ.

ბრაზილია ყველა ტურნირის ფავორიტად მიიჩნევა, ასეა ამჯერადაც. გუნდი, რომელმაც ორი წლის წინ „კოპა ამერიკა“ მოიგო, ხოლო შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშა, მწვრთნელი გამოიცვალა, მაგრამ დღესდღეობით კვლავ უძლიერესთა შორისაა. კაცმა რომ თქვას, მუდამ ასე იყო და ახლა რატომ უნდა შეცვლილიყო რაიმე?

ვანდერლეი ლუქსემბურგომ, ბრაზილიელთა მწვრთნელმა, უდავოდ კარგი ნაკრები შექმნა, რომელიც არათუ უპირველესი შემადგენლობით, სათადარიგო ფეხბურთელებითაც მეტოქეთა რისხვაა. „კოპა ამერიკაზე“ ბრაზილიელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ. არგენტინელთაგან განსხვავებით, იმ ვარსკვლავებში, რომელიც მწვრთნელმა ნაკრებში მიიწვია, თამაშზე უარი არავის განუცხადებია, რაც ლუქსემბურგოს საშუალებას აძლევს, ორი წლის წინ მოპოვებული ტიტულის შენარჩუნებაზე იფიქროს.

მწვრთნელი გუნდის უძლიერეს მხარედ თავდასხმას მიიჩნევს და სამართლიანადაც — რონალდო, რივალდო, ამოროზო და ჭაბუკი რონალდინიო ნამდვილი მეგოლეები რომ არიან, ეს მათ უკვე დაამტკიცეს, არაერთი გოლი გაიტანეს და თან ბევრი მათგანი ლამაზადაც. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბრაზილიელი ფორვარდები შესანიშნავ ფორმაში არიან, ხოლო არგენტინის დაცვაში ხარვეზები შეიმჩნევა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხერმან ბურგოსს, არგენტინელთა მეკარეს, გვარიანი პრობლემები შეექმნება.

რას ფიქრობენ არგენტინელები? კოლუმბიელებთან განადგურებამ ისინი საკუთარ უძლეველობაში დააეჭვა, თუმცა სწორედ იმ შეხვედრაში სამი პენალტის ვერგამტანი მარტინ პალერმო ამბობს, რომ იგი ბრაზილიელებთან თავის სიძლიერეს დაამტკიცებს.

დღესდღეობით ისე ჩანს, თითქოს ბრაზილია უკეთესი გუნდია, ვიდრე არგენტინა, თანაც ამ უკანასკნელთა უძლიერესი ლეგიონერების არყოფნაც თავის როლს თამაშობს, თუმცა ვინ იცის? განა მექსიკა არ იყო, ბრაზილია ერთი ტაიმის განმავლობაში საკუთარ კარს რომ მიაჯაჭვა. ამიტომ არ ღირს ამა თუ იმ გუნდზე გადაჭრით საუბარი — მალე ყველაფერი გამოჩნდება.

...ბრაზილიას არგენტინასთან თამაში ყოველთვის უჭირდა. ცხადია, არც არგენტინისთვის იყო ბრაზილიასთან დაპირისპირება ადვილი. მათი შეხვედრები მუდამ ძნელადპროგნოზირებადია. ვერც ახლა იტყვი, ვინ მოიგებს. ერთის მხრივ ბრაზილია, რადგან რონალდო და რივალდო ჰყავს და კიდევ იმიტომ, რომ არგენტინელებს ლიდერები აკლიათ, მაგრამ პალერმომ დანაპირები რომ აასრულოს და ლუქსემბურგოს გუნდს კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელობა რამდენიმე გოლით დაუმტკიცოს?

აღდგომა და ხვალეო...

ლაშა გოდუაძე

არგენტინა — ბრაზილია წინა შეხვედრები

20.09.14	ბუენოს აირესი	3:0	20.12.45	რიო დე ჟანეირო	2:6	30.06.74	ჰანოვერი	1:2
27.09.14	ბუენოს აირესი	0:1	23.12.45	რიო დე ჟანეირო	1:3	06.08.75	ბელუ ორიზონტე	1:2
10.07.16	ბუენოს აირესი	1:1	10.02.46	ბუენოს აირესი	2:0	16.08.75	როსარიო	0:1
03.10.17	მონტევიდეო	4:2	05.02.56	მონტევიდეო	0:1	27.02.76	ბუენოს აირესი	1:2
18.05.19	რიო დე ჟანეირო	1:3	18.03.56	მეხიკო	2:2	19.05.76	რიო დე ჟანეირო	0:2
01.06.19	რიო დე ჟანეირო	3:3	08.07.56	ბუენოს აირესი	0:0	18.06.78	როსარიო	0:0
25.09.20	ვინია დელ მარი	2:0	03.04.57	ლიმა	3:0	02.08.79	რიო დე ჟანეირო	1:2
12.10.20	ბუენოს აირესი	3:1	07.07.57	რიო დე ჟანეირო	2:1	23.08.79	ბუენოს აირესი	2:2
02.10.21	ბუენოს აირესი	1:0	10.07.57	სან პაულუ	0:2	04.01.81	მონტევიდეო	1:1
15.10.22	რიო დე ჟანეირო	0:2	04.04.59	ბუენოს აირესი	1:1	02.07.82	ბარსელონა	1:3
22.10.22	სან პაულუ	1:2	22.12.59	გუაიაკილი	4:1	24.08.83	ბუენოს აირესი	1:0
18.11.23	მონტევიდეო	2:1	13.03.60	სან ხოსე	2:1	14.09.83	რიო დე ჟანეირო	0:0
02.12.23	ბუენოს აირესი	0:2	20.03.60	სან ხოსე	0:1	17.06.84	სან პაულუ	0:0
09.12.23	ბუენოს აირესი	2:0	26.05.60	ბუენოს აირესი	4:2	05.05.85	სალვადორი	1:2
13.12.25	ბუენოს აირესი	4:1	29.05.60	ბუენოს აირესი	1:4	10.07.88	მელბურნი	0:0
25.12.25	ბუენოს აირესი	2:2	12.07.60	რიო დე ჟანეირო	1:5	12.07.89	რიო დე ჟანეირო	0:2
30.01.37	ბუენოს აირესი	1:0	24.03.63	ლა პასი	3:0	24.06.90	ტურინი	1:0
01.02.37	ბუენოს აირესი	2:0	13.04.63	სან პაულუ	3:2	27.03.91	ბუენოს აირესი	3:3
15.01.39	რიო დე ჟანეირო	5:1	16.04.63	რიო დე ჟანეირო	2:5	27.06.91	კურიტიბა	1:1
22.01.39	რიო დე ჟანეირო	2:3	03.06.64	სან პაულუ	3:0	17.07.91	სანტიაგო	3:2
18.02.40	სან პაულუ	2:2	09.06.65	რიო დე ჟანეირო	0:0	18.02.93	ბუენოს აირესი	1:1
25.05.40	სან პაულუ	3:0	07.08.68	რიო დე ჟანეირო	1:4	27.06.93	გუაიაკილი	1:1
05.03.40	ბუენოს აირესი	6:1	11.08.68	ბელო ორიზონტე	2:3	23.02.94	რესიფე	0:2
10.03.40	ბუენოს აირესი	2:3	04.03.70	პორტუ ალეგრი	2:0	17.07.95	რივერა	2:2
17.03.40	ბუენოს აირესი	5:1	08.03.70	რიო დე ჟანეირო	1:2	08.11.95	ბუენოს აირესი	0:1
15.02.45	სანტიაგო	3:1	28.07.71	ბუენოს აირესი	1:1	29.04.98	რიო დე ჟანეირო	1:0
16.12.45	სან პაულუ	4:3	31.07.71	ბუენოს აირესი	2:2			

მათი ბოლო ხუთი

WOMEN'S WORLD CUP USA 99 FIFA

ᲓᲦᲔᲡ ფეხბურთელი ქალები, ლოს ანჯელესში, თავიანთი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს გამართავენ: აშშ — ჩინეთი. მსოფლიოს ჩემპიონატი, თუნდაც ქალთათვის, მსოფლიოს ჩემპიონატია და სასწორზე ბევრი რამ დევს. ამიტომაც ჩაკეტილან როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის მოთამაშეები თავიანთ საწვრთნელ ბაზებზე და შეხვედრისთვის ემზადებიან.

სანამ გუნდები ემზადებიან, ქალთა ფეხბურთში კალამგაწაფული მიმომხილველები კომპიუტერებში იქექებიან და იძიებენ, რამდენჯერ, სად, როგორ, რისთვის შეხვედრიან ერთმანეთს დღევანდელი მეტოქეები და რა შედეგი მოჰყოლია მათ დაპირისპირებას. შედეგი ასეთია: 11-5-5 ამერიკელთა სასარგებლოდ. ამ მატჩებიდან ყველა ყოფილა დაძაბული, სწრაფი და 15 მათგანში ან ერთი გოლი გასულა ან სულაც არ გადაუკვეთია ბურთს კარის ხაზი.

აქ მოგვყავს ამერიკელთა და ჩინელთა ბოლო ხუთი შეხვედრის მოკლე შეჯამება.

1998 წლის 17 მარტი.
აშშ — ჩინეთი 4:1
ლულე. პორტუგალია.

ამდენი გოლი ამერიკელებს ჩინელების კარში ერთ თამაშში არ გაუტანიათ. ოთხიდან სამი მია ჰამმა შეაგდო, რომელსაც იმ დღეს 26 წელი შეუსრულდა. ჰამის სამი გოლიდან ორი პირველი და მეორე ტაიმების ბოლო წუთზე გავიდა.

„ისეთი ძლიერი გუნდის დამარცხება, როგორიც ჩინეთია, ყოველთვის საკუთარი თავის რწმენას გმატებს. მიხარია სამი გოლი რომ გავიტანე, რადგან სამზე მეტი შესაძლებლობა ვგონებ არც მქონია“ — თქვა მაშინ ჰამმა.

1998 წლის 27 ივლისი.
აშშ — ჩინეთი 2:0
ლონგ აილენდი, აშშ.

ეს გახლდათ კეთილი ნების თამაშების ფინალი. აღარავის ეგონა, თუ მია ჰამის ოსტატობა მეტად შეიძლებოდა წარმოჩენილიყო, მაგრამ ჰამმა ყველა გააოცა და ორი უმაღლესი კლასის გოლით დაამარცხა ჩინელების გუნდი. საქმე ის გახლავთ, რომ წინა ორ შეხვედრაში მან ზედიზედ ჰეთ-თრიკები შეასრულა.

„ამ შეხვედრაში მიამ მაიკლ ჯორდანის სიძალეებს — ჩაღრეცა, ისეთი გოლები გაიტანა, როგორიც მხოლოდ ვირტუოზ ოსტატებს გააქვთ. ვგონებ, ჩინელებმა მეორე ტაიმში ცოტა გვაჯობეს, მაგრამ მიას წინაშე ვერაფერს გახდნენ“ — ამბობდა მწვრთნელი ტონი დიჩიკო.

1999 წლის 20 მარტი.
ჩინეთი — აშშ 2:1
ლულე, პორტუგალია.

ამერიკის ნაკრებმა თამაშით აჯობა მოწინააღმდეგეს, მაგრამ კონტრშეტევებისას გაშვებული ორი გოლის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

„ჩვენ ნებისმიერი თამაშის წაგება გვძულს, მაგრამ ძლიერ მოწინააღმდეგესთან თამაში ყოველთვის ძალიან სასარგებლოა“ — განაცხადა გუნდის კაპიტანმა კარლა ოვერბეკმა.

იმ დღეს ამერიკელებმა ჩინელების კარში 16-ჯერ დაარტყეს, ხოლო ჩინელებმა მათ კარში 7-ჯერ.

1999 წლის 22 აპრილი.
აშშ — ჩინეთი 2:1
ჰირში, აშშ.

ამერიკის ნაკრებმა დიდებულად ითამაშა და მსაჯის დამატებული დროის მეორე წუთზე შეძლო ძლიერი ჩინეთის დამარცხება. ამ შეხვედრას 15 257 ადამიანი ესწრებოდა.

„ამ საღამოს ჩვენ ჩინელთა ძალიან კარგად მოთამაშე გუნდის დამარცხება შევძელით“ — თქვა ტონი დიჩიკომ — „განსაკუთრებით პირველი ტაიმის აღნიშვნა მსურს. ასე ძლიერად ძალიან დიდი ხანია არ გვითამაშია. ასეთი შეხვედრები ბევრს გვასწავლის და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტოქე გვყავდა დიდებული, არამედ იმიტომაც, რომ თავს ზევით ძალის პოვნის ხელოვნებას ვეუფლებით.“

1999 წლის 25 აპრილი.
ჩინეთი — აშშ 2:1
ისტ რუთერფორდი, აშშ.

აქამდე ამერიკელ ქალებს შინ 50 მატჩის განმავლობაში არ წაეგოთ, მაგრამ ამ შეხვედრაში, მსაჯის დამატებულ დროში გაშვებულმა გოლმა სარეკორდო სვლა ჩაუშალათ.

„სათამაშო გეგმას ცოტა გადავუხვიეთ და ბოლოს ყველანი შეტევაში გავგზავნეთ. მაგრამ არა უშავს, წაგება სასარგებლოა, რადგან გუნდმა უნდა შეიგრძნოს სიმწარეც. დამარცხება და ფრეც შედეგია, განა მარტო მოგება არსებობს“ — განაცხადა ტონი დიჩიკომ.

პაპუნა ძედია

REUTERS კლერმონტიდან

დარაზმულ ჩინელებს (ზედა ფოტოზე) ტონი დიჩიკოს დამოძღვრილ ამერიკელებთან მოუწევთ საქმის დაჭერა

REUTERS კლერმონტიდან

იყო ასეთი თასი...

GUERIN SPORTIVO

მიტროპას თასის 1987 წლის გამარჯვებული იტალიის „ასკოლი“

იყო ასეთი თასი, რომელსაც მიტროპას თასი ერქვა. ერთ დროს ეს გათამაშება ყველაზე პოპულარული იყო ევროპაში და პრესტიჟულადაც ითვლებოდა, მაგრამ შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. მიტროპას თასის გათამაშება ნელ-ნელა ჩემპიონთა თასმა, უეფას თასმა და თასების მფლობელთა თასმა დაჩრდილეს, 90-იანი წლების დასაწყისში კი 70 წელს მიტანებული მიტროპას თასი ისტორიის კუთვნილება გახდა.

მიტროპას თასის გათამაშების იდეა ავსტრიელ უგო მაისლს ეკუთვნის. სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოგვინახა მისი ბიოგრაფია, მაგრამ მისმა იდეამ, ცხადია, ევროპაში საერთაშორისო საფეხბურთო ურთიერთობების გაღვივებას შეუწყო ხელი. მაისლის ჩანაფიქრი 1927 წელს განხორციელდა, როცა მიტროპას თასი პირველად გათამაშდა, თუმცა, როგოც ჩანს, უიღბლობა დაებედა — მას თან სდევდა ომები, გათამაშება რამდენიმე წლით შეწყდა, ხანაც დაიწყო, მაგრამ ვეღარ დასრულდა. მუდმივად იცვლებოდა მისი ჩატარების ფორმულაც...

მეორე მსოფლიო ომამდე მიტროპას თასის გათამაშება ევროპაში ერთადერთი საკლუბო შეჯიბრება იყო. გათამაშებაში ძირითადად უნგრეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის და იტალიის კლუბები მონაწილეობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ პირველ გათამაშებაში, 1927 წელს, აპენინური გუნდები განზე გადგნენ. თავად ტურნირის სახელწოდებაც — „მიტროპას“ თასი — გათამაშებაში მონაწილე ქვეყნების გეოგრაფიული მდგომარეობიდან მომდინარეობს. გერმანული „მიტელი“ ქართული შუის შესატყვისია, „ევროპა“ — გასაგებია. აქედან გამომდინარე „მიტროპა“, რომელიც „მიტელის“-ის პირველი და „ევროპა“-ს ბოლო ნაწილისგან შედგებოდა, ევროპის შუაში, კონტინენტის ცენტრალური ქვეყნების კლუბების თასს აღნიშნავდა.

მიტროპას თასის გათამაშების ფორმულა მუდმივად იცვლებოდა. ეს კი, ცხადია, შეჯიბრების პრესტიჟზე უარყოფითად აისახებოდა.

1927 წელს, როცა მიტროპას თასი პირველად გათამაშდა, მასში უნგრეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის და იუგოსლავიის ორ-ორი კლუბი ჩაერთო. ორი წლის შემდეგ, 1923-ში, იუგოსლავიური კლუბები იტალიურმა გუნდებმა შეცვალეს, რადგან პირველებმა დიდი ფინანსური დანახარჯები განიცადეს და ჯგუფში მონაწილეობა უაზრობად მიიჩნიეს. 1934 წლიდან მოყოლებული უნგრეთი, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია და იტალია მიტროპას თასის გათამაშებაში უკვე ორი გუნდით კი არა, ოთხით ჩაერთვნენ, ხოლო ორ წელიწადში მათ ამდენივე შვეიცარიული კლუბი შეუერთდათ. ერთ წელიწადში ისევ მოხდა ცვლილება — გათამაშების მონაწილეებს რუმინეთიც დაემატათ, თუმცა 1937 წლის გათამაშებაში რუმინეთი, შვეიცარია და იუგოსლავია, სხვებისგან განსხვავებით, სამ-სამი კლუბით ჩაერთვნენ.

1938 წელს ავსტრია, მიტროპას თასის ჩატარების ინიციატორი ქვეყანა, გერმანიას შეუერთდა. ამ ფაქტის გამო მიტროპას თასის გათამაშებაში ავსტრიას (დამოუკიდებლობის დაბრუნებამდე) გუნდები აღარ წარუდგენია, ხოლო უნგრეთმა, ჩეხოსლოვაკიამ და იტალიამ, დანარჩენმა სამმა მთავარმა მონაწილემ, ტურნირი ძველებურად ოთხ-ოთხი მონაწილით დაიწყეს.

30-იანი წლების მიწურულს ევროპაში ომის საშიშროება შეიქმნა. ამიტომაც იყო, მიტროპას თასის გათამაშებაში მონაწილე ქვეყნებში გუნდების რაოდენობა რომ შეამცირეს — 1939 წლის ტურნირში დიდი სამეული (იტალია, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია) ორ-ორი კლუბით ჩაება, რუმინეთი და იუგოსლავია კი — თითოთი.

1940 წელს მიტროპას თასის მეთოთხმეტე გათამაშება კი დაიწყო, მაგრამ კონტინენტი ომმა მოიცვა და ფეხბურთისთვის აღარავის ეცალა. იმ გათამაშების ფინალში უნგრული „ფერენცვაროში“ რუმინეთის „რაპიდს“ უნდა შეხვედროდა, მაგრამ...

უგო მაისლის აზრით, მიტროპას თასის გათამაშებაში მხოლოდ კლუბები უნდა ჩაბმულიყვნენ. რამდენჯერაც გათამაშდა ეს თასი, მუდამ კლუბები მონაწილეობდნენ, თუმცა ერთხელ გამონაკლისი მოხდა — კლუბის ნაცვლად გამარჯვებულად ქვეყანა გამოცხადდა.

ეს მოხდა 1960 წელს. მიტროპას თასის გამარჯვებული უნგრეთი შეიქნა, რადგან ამ ქვეყნის კლუბებმა დანარჩენი მონაწილეების — იუგოსლავის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის და ავსტრიის გუნდებს აჯობეს.

50-იან წლებში ფრანგთა ინიციატივით ევროპაში სხვა საკლუბო თასების გათამაშებები დაიწყო, რამაც დასცა მიტროპას თასის გათამაშების პრესტიჟი — მასში უკვე ძირითადად ის კლუბები მონაწილეობდნენ, რომლებიც ჩემპიონთა, უეფას და თასების თასზე ბევრი ვერაფრით დაიკვეხნიდნენ. 80-იანი წლების დასაწყისიდან მიტროპას თასი საერთოდაც გაუფერულდა და ერთ-ერთ ჩვეულებრივ გათამაშებად იქცა. ეს კი იმან გამოიწვია, რომ 1980 წელს, ტურნირის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, გათამაშებაში მონაწილეობის უფლება ქვეყნების მეორე დივიზიონის ჩემპიონებსაც მიეცათ.

მიტროპის თასის გათამაშება თავისთავად საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტურნირი ძველებურად პოპულარული აღარ იყო, სწორედ ეს შეჯიბრი გახლდათ ოციანი-ოცდაათიანი წლების ვარსკვლავების ერთადერთი საერთაშორისო ასპარეზი.

დასასრულს ერთი საინტერესო ამბავიც გავიხსენოთ, რომელმაც იტალიურ „ბოლონიას“ ფინალის გარეშე არგუნა მიტროპას თასი.

1932 წელს, როცა „ბოლონია“ უკვე ფინალში გახლდათ, ხოლო მეორე იტალიური კლუბი, ტურინის „იუვენტუსი“ საპასუხო ნახევარფინალურ შეხვედრაში მაშინდელი ჩეხოსლოვაკიის, კონკრეტულად კი პრაღის „სლავიას“ მასპინძლობდა, საინტერესო შემთხვევა მოხდა.

„იუვენტუსს“ პირველი მატჩი 0:4 წაეგო, თუმცა საპასუხო თამაშის მეათე წუთისთვის უკვე 2:0 იგებდა. „სლავიას“ ფეხბურთელებმა დროის გაყვანა დაიწყეს, განსაკუთრებით პრაღელთა მეკარე ფრანტიშეკ პლანიჩკა აქტიურობდა, ეს კი, ცხადია, „ტიფოზებს“ არ მოსწონდათ. მასპინძელთა ქომაგებმა მოედანზე სხვადასხვა ნივთების სროლა დაიწყეს, ერთი მათგანი პლანიჩკასაც მოხვდა, რომელმაც მოედანი დატოვა. მეკარეს მთელი გუნდი გაჰყვა და მათ თამაში იუარეს. „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობას კი 1500 პოლიციელის მიყვანა დასჭირდა, რათა გაგულისებულ ქომაგებს პრაღელები არ ჩაექოლათ. წესრიგისდამცველები „ტიფოზების“ შემოტევას ზუსტად ორსაათნახევარი იტანდნენ, მერე კი ვნებათაღელვა ჩაცხრა. მიტროპას თასის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა მომხდარზე ხუთი საათი იმსჯელა და ორივე კლუბი გათამაშებიდან მოხსნა.

თასიც „ბოლონიას“ დარჩა.

ლაშა გოდუაძე

მიტროპას თასის ფინალები

1927	სპარტა (ჩეხოსლოვაკია) — რაპიდი (ავსტრია)	6:2, 1:2
1928	ფერენცვაროში (უნგრეთი) — რაპიდი (ავსტრია)	7:1, 3:5
1929	უიპეშტი (უნგრეთი) — სლავია (ჩეხოსლოვაკია)	5:1, 2:2
1930	რაპიდი (ავსტრია) — სპარტა (ჩეხოსლოვაკია)	2:0, 2:3
1931	ვიენა (ავსტრია) — ვიენერი (ავსტრია)	3:2, 2:1
1932	ბოლონია (იტალია)	
1933	აუსტრია (ავსტრია) — ამბროზიანა (იტალია)	1:2, 3:1
1934	ბოლონია (იტალია) — ადმირა (ავსტრია)	2:3, 5:1
1935	სპარტა (ჩეხოსლოვაკია) — ფერენცვაროში (უნგრეთი)	1:2, 3:0
1936	აუსტრია (ავსტრია) — სპარტა (ჩეხოსლოვაკია)	0:0, 1:0
1937	ფერენცვაროში (უნგრეთი) — ლაციო (იტალია)	4:2, 5:2
1938	სლავია (ჩეხოსლოვაკია) — ფერენცვაროში (უნგრეთი)	2:2, 2:0
1939	უიპეშტი (უნგრეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი)	4:1, 2:2
1951	რაპიდი (ავსტრია) — ვაკერი (ავსტრია)	3:2
1955	ვოროში (უნგრეთი) — პრაღა (ჩეხოსლოვაკია)	6:0, 2:1
1956	ვაშაში (უნგრეთი) — რაპიდი (ავსტრია)	3:3, 1:1, 9:2
1957	ვაშაში (უნგრეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია)	4:0, 1:2
1959	ჰონვედი (უნგრეთი) — მტკ (უნგრეთი)	4:3, 2:2
1960	უნგრეთი	
1961	ბოლონია (იტალია) — სლოვანი (ჩეხოსლოვაკია)	2:2, 3:0
1962	ვაშაში (უნგრეთი) — ბოლონია (იტალია)	5:1, 1:2
1963	მტკ (უნგრეთი) — ვაშაში (უნგრეთი)	2:1, 1:1
1964	სპარტაკი (ჩეხოსლოვაკია) — ბრატისლავა (ჩეხოსლოვაკია)	0:0, 2:0
1965	ვაშაში (უნგრეთი) — ფიორენტინა (იტალია)	1:0
1966	ფიორენტინა (იტალია) — იედნოტა (იუგოსლავია)	1:0
1967	სპარტაკი (ჩეხოსლოვაკია) — უიპეშტი (უნგრეთი)	2:3, 3:1
1968	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — სპარტაკი (ჩეხოსლოვაკია)	0:1, 4:1
1969	ინტერი (ჩეხოსლოვაკია) — ტეპლიცე (ჩეხოსლოვაკია)	4:1, 0:0
1970	ვაშაში (უნგრეთი) — ინტერი (ჩეხოსლოვაკია)	1:2, 4:1
1971	ჩელიკი (ჩეხოსლოვაკია) — აუსტრია (ავსტრია)	3:1
1972	ჩელიკი (ჩეხოსლოვაკია) — ფიორენტინა (იტალია)	0:0, 1:0
1973	ტატაბანია (უნგრეთი) — ჩელიკი (ჩეხოსლოვაკია)	2:1, 2:1
1974	ტატაბანია (უნგრეთი) — ჟილინა (ჩეხოსლოვაკია)	3:2, 2:0
1975	ინსბრუკი (ავსტრია) — ჰონვედი (უნგრეთი)	3:1, 2:1
1976	ინსბრუკი (ავსტრია) — ველეჟი (იუგოსლავია)	3:1, 3:1
1977	ვოივოდინა (იუგოსლავია)	
1978	პარტიზანი (იუგოსლავია) — ჰონვედი (უნგრეთი)	1:0
1980	უდინეზე (იტალია)	
1981	ტატრანი (ჩეხოსლოვაკია)	
1982	მილანი (იტალია)	
1983	ვაშაში (უნგრეთი)	
1984	ეიზენშტადტი (ავსტრია)	
1985	ისკრა (იუგოსლავია)	
1986	პიზა (იტალია) — დებრეცენი (უნგრეთი)	2:1
1987	ასკოლი (იტალია) — ბოჰემიანსი (ჩეხოსლოვაკია)	1:0
1988	პიზა (იტალია) — ვაც იზო (უნგრეთი)	3:0
1989	ბანიკი (ჩეხოსლოვაკია) — ბოლონია (იტალია)	2:1, 2:1
1990	ბარი (იტალია) — ჯენოა (იტალია)	1:0
1991	ტორინო (იტალია) — პიზა (იტალია)	2:1
1992	ბორაცი (იუგოსლავია) — ბუდაპეშტი (უნგრეთი)	1:1 (პენ.5:3)

ფეხბურთის რუკასთან

იტალიის სერია A-ს ბინადარ „ვენეციას“ მატჩების ტელეტრანსლაციის უფლება იტალიის ტელეკომუნიკაციათა გიგანტმა STREAM-მა იყიდა. ამ სამწლიანი გარიგების საფუძველზე, რომელიც გუშინ დილით გაფორმდა, ვენეციელები ყოველწლიურად 16 მილიონ გირვანქას მიიღებენ.

სამხრეთაფრიკელი ნახევარმცველით კინტონ ფორტუნით, რომელიც ესპანურ „ატლეტიკო B“-ში თამაშობს, ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაინტერესდაო, გახაცხადა მადრიდული კლუბის წარმომადგენელმა. როცა ეს ინფორმაცია გავრცელდა, ფორტუნი, რომელიც უკანასკნელი 4 წლის მანძილზე „ატლეტიკო B“-ს ღირსებას იცავდა, თითქმის „ვალიადოლიდის“ წევრი იყო. „იუნაიტედს“ ნამდვილად უნდა ფორტუნის გადაბირება, მაგრამ დარწმუნებით ვერც იმას ვიტყვი, რომ იგი „ვალიადოლიდში“ არ გადავა. საბოლოო სიტყვა თავად ფეხბურთელს ეკუთვნის“ — გახაცხადა მადრიდული გუნდის დირექტორმა მიგელ ანხელ ხილმა.

იტალიურმა „უდინეზემ“ თანამდებობიდან გაანთავისუფლა მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი. მის მაგივრად უდინელთა გუნდს უხელმძღვანელებს სერია B-ში მოთამაშე „პესკარას“ აწ უკვე ყოფილი თაკაცი ლუიჯი დი კანიო. გვიდოლინის მოხსნა მოულოდნელობა იყო, ვინაიდან მან გასულ სეზონში გუნდი მეექვსე ადგილზე გაიყვანა და უეფას თასის საგზურისთვის პლეი ოფში თვით „იუვენტუსი“ დაამარცხა.

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მცველი სეზარი სან პაულუს „პორტუგეზადან“ პარიზულ პსჟ-ში გადავიდა. ფრანგებმა ბრაზილიელის სანაცვლოდ, რომელმაც ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, 32 მილიონი ფრანკი (5,3 მილიონი დოლარი) გაიღეს. სეზარი, რომლის სრული სახელი სეზარ აუგუსტო ბელი მიჩელონია, პსჟ-ს „კოპა ამერიკას“ დასრულებისთანავე შეუერთდება.

ჰოლანდიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბენკ კორტჰალსმა განაცხადა, რომ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჩასულ ხულიგან გულშემატკივართა წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღებას აპირებს. ამასთან, ნიდერლანდების პარლამენტის ახლახან მიღებული კანონის თანახმად, იმ გულშემატკივარს, რომელიც უწესოდ მოიქცევა, პოლიცია 12 საათით დააკავებს. „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ უსიამოვნებანი თავიდან ავიცილოთ და ტურნირი მაღალორგანიზებულად ჩატარდეს. ისე, გულშემატკივრებს ახლავე ვურჩევდი, თუ მაღაზიების ვიტრინების მტვრევას აპირებენ, უჯობთ, სტადიონის ნაცვლად ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მიაკითხონ“ — განაცხადა კორტჰალსმა.

ინგლისური „ქოვენთრი სიტი“ თანახმაა, „ასტონ ვილას“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი ჯორჯ ბოტენგი მიჰყიდოს, თუ ბირმინგემელები მის სანაცვლოდ 4,3 მილიონ გირვანქას გაიღებენ. „ასტონ ვილა“ ბოტენგით პირველად გასულ მარტს დაინტერესდა, თუმცა მაშინ „ქოვენთრიმ“ ჰოლანდიელ ფეხბურთში 5 მილიონი გირვანქა მოითხოვა, ბირმინგემელები კი მხოლოდ 3 მილიონის გადახდაზე იყვნენ ყაბულს.

ქირავდება
ერთოთახიანი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
Tel: 93 15 72

დემოკრატიასა და ფეხბურთს შორის

აზიელებმა მდგომარეობა გაამწვავეს — ბოიკოტს აპირებენ, ამბობენ, თუ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მონაწილეობისთვის დამატებით ადგილს არ გამოგვიყოფთ, შესარჩევ ტურნირს საერთოდ არ ჩავატარებთ და რაც გინდათ ის ქენითო. ესე იგი, თუ აზიაში შესარჩევი შეჯიბრება ჩაიშლება, გამოდის, რომ ამ კონტინენტიდან მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას მხოლოდ ორი მასპინძელი გუნდი იაპონია და კორეა მიიღებს, ხოლო კიდევ ორი ადგილი დაიკარგება ან სხვას გადაეცემა. ეს, ბუნებრივია, არაფრით ეხამება ფიფას მაგისტრალურ, დემოკრატიულ და საყოველთაო პოლიტიკას. თამაშიც სწორედ ამ კოზირზეა აწყობილი.

„აზიასთან ხუმრობა არავის შერჩება. ვიცით, რომ გადაწყვეტილება ბოიკოტის შესახებ საბედისწეროა როგორც მსოფლიო ფეხბურთისთვის, ასევე ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერისთვის, მაგრამ ჩვენი წევრები უკიდურესად ერთსულოვანნი არიან“ — განაცხადა აზიის ფეხბურთის კონფედერაციის ჟალაიზიელმა გენერალურმა მდივანმა პიტერ ველაპანმა.

გაუგებრობა აქვე გამოვრიცხოთ: რამდენიმე დღის წინანდელი ცნობა იმის თაობაზე, რომ ევროპამ ანუ უეფამ თავისი თხუთმეტი ავტომატური ადგილიდან ერთი პლეი-ოფად აქცია და განაცხადა, ჩვენსა და აზიის შესარჩევიდან გამოსულ რომელიმე გუნდს შორის თამაშით გავარკვიოთ მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელის ვინაობაო, სიმართლე გახლდათ, მაგრამ ევროპელთა ამ დიდსულოვან დათმობას აზიელები არ დაყაბულდნენ. მათ „ნახევარი ადგილის“ დამატება არ აკმაყოფილებთ, რადგან ერთი და ნაღდი, ავტომატური საგზური სურთ. სიცხადისთვის ისიც ვთქვათ, რომ ევროპელები ხსენებულ დათმობას მხოლოდ ერთჯერადად აპირებდნენ.

მოდით, მტყუან-მართლის გარჩევა ვცადოთ. ერთი მხრივ, როდესაც ფიფა ხარ და ამა თუ იმ კონფედერაციას მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას აძლევ, ოცდათორმეტი ადგილიდან ოთხზე მეტი კი უნდა გამოუყო, თორემ შემოგიბრუნდება და გეტყვის ეგ რაღა დემოკრატია და პატიოსნება გამოდისო. მეორე მხრივ, სპორტული სამართლიანობის პრინციპი სხვას მოითხოვს: რა ლოგიკით უნდა წაართვა საგზური ყველაზე წარმომადგენლობით ევროპას და მისცე აზიას? რა სჯობს მსოფლიოს ფეხბურთისთვის და გულშემატკივრისთვის, ფინალურ ეტაპზე, ვთქვათ, პორტუგალიამ ითამაშოს თუ უზბეკეთმა ან ერაყმა?

არადა, ხომ ფაქტია, აზია, რომ გაიძახის ადგილი გამომიყავითო, გულში ევროპის შემცირების იმედი აქვს და იცის, ფიფა თუ დათანხმა, ისიც ევროპას მიადგება. რატომ? იმიტომ რომ რიცხობრივი თვალსაზრისით ყველაზე მეტი გუნდის გაყვანის უფლება ევროპას აქვს.

მოკლედ, აზიელები თავიანთი კონფედერაციის საგანგებო ყრილობის მოწვევას აპირებენ და თან რაც მალე, მით უკეთესიო, ამბობენ.

ამწუთას კი როგორც აზიელები, ასევე ევროპელები, აფრიკელები, სხვები და სხვები, ლოს ანჯელესში იმყოფებიან, სადაც ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება და იქვე ფიფა დიდ კონგრესს მართავს. მასში გუშინ (საქართველოს დროით კი, ალბათ, ამ დილით) 203 ქვეყნის დელეგატებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

„არაფერი მსმენია ბოიკოტის შესახებ“ — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ჟურნალისტების თავიდან მოსაშორებლად, როდესაც კონგრესისწინა სადილზე მიეშურებოდა — „ახლა, თქვენგან მესმის, პირველად“.

ჟურნალისტები ძალიან ეცადნენ, მაგრამ ვერაფრით დაადგინეს დაესწრნენ თუ არა სადილს აზიური ფეხბურთის ჩინოვნიკები.

ბლატერისგან განსხვავებით უეფას აღმასკომის ბელგიელი წევრი, მიშელ ჰოოგი ენაწყლიანი გახლდათ:

„ჩვენ აზიელებს დიდსულოვნად დავუთმეთ ნახევარი ადგილი, მაგრამ მხოლოდ ერთი ჩემპიონატისთვის. ვგონებთ ეს სამართლიანი ნაბიჯი იყო. ამას აზიელებთან გარიგებას ვერ დავარქმევთ, რადგან გარიგება სახიფათო სიტყვაა, მაგრამ ნამდვილად გვაქვს იმედი, რომ ისინი, მომავალში, გარკვეულ საპასუხო დახმარებას გაგვიწევენ. აზიელების დახმარება კი ნამდვილად დაგვჭირდება, რადგან ფიფა ბოლო დროს სულ ჩვენს წინააღმდეგაა“.

ფიფასა და უეფას შორის დაპირისპირება მრავალი წვრილმან-მსხვილმანიდან მოდის. მაგალითად, ბოლოდროინდელი ამბავი მოვიტანოთ: იაპონელებმა და კორეელებმა ფიფას მსოფლიოს 2002 ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დროში დაძვრა სთხოვეს. მათ წვიმების სეზონის თავიდან ასაცილებლად სურთ პირველობა მაისის ბოლოს დაიწყონ.

„ეს უბრალოდ დაუშვებელია“ — განაცხადა ჰოოგმა — „უეფა კატეგორიულად წინააღმდეგი წავა. ჩვენ შეიძლება მასპინძლებს შეჯიბრების 2 ივნისს დაწყება შევთავაზოთ, ვინაიდან ერთი კვირით ადრე, ევროპული კალენდარი ვერ მოიცლის. ნახეთ, რა ხდება: საკონტინენტთაშორისო თასი, კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატი, ახლა კიდევ ეს, მსოფლიოს ჩემპიონატის ადრე დაწყება, ეს ყველაფერი უეფას საწინააღმდეგოდაა მიმართული. დროა ამას ბოლო მოეღოს. აზიისთვის ნახევარი ადგილი გავიღეთ და ვგონებ, ეს, სოლიდარობის თვალსაჩინო და სრულიად საკმარისი აქცია იყო. მეტ დათმობაზე კი ვეღარ წავალთ“.

პაპუნა კედია

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ოროგკომიტეტის კორეელი წარმომადგენელი პარკ სე იეკი



ვაჰმე!

ინგლისურ ჟორიკანა გაზეთთა დედოფალმა, „სანმა“, გამოჩხრიკა, რომ ამაყმა, დიდების შარავანდედით მოსილმა, დედოფლისგან რაინდად წოდებულმა, მდიდარმა, ერთობ უხიაგმა და საყოველთაოდ საყვარელმა შოტლანდიელმა, ალექს ფერგიუსონმა, თავისი გუნდის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავს, დევიდ ბექემს თაფლობის თვე სამი დღით შეუკვეცა — ათი ჰქონდა, შვიდი გაუხადა.

ბექემმა, მოგეხსენებათ, წინა შაბათს, ირლანდიაში, „სფაის გელზის“ ვარსკვლავი, ვიკტორია ადამსი შეირთო და 800 კაციანი სუფრა გადაიხადა. მიწვეულთა შორის მრავალი ცნობილი ადამიანი იყო.

მათ რიცხვში გახლდათ, სერ ელტონ ჯონი, რომელსაც ფეხბურთთან სხვა კავშირიც აქვს (მისი გუნდი, „უოტფორდი“ პრემიერლიგაში აღზევდა).

ახალდაქორწინებულნი თაფლობის თვის გასატარებლად ინდოეთის ოკეანეში, პარადაის კუნძულზე წავიდნენ, რაც ქართულად კუნძულ-სამოთხეს ნიშნავს, მაგრამ ვინ აცალა, ფერგიმ ბექემს შეუთვალა ორშაბათს ბაზაზე უნდა იყო, სეზონისწინა შეკრებაზე ჩინეთსა და ავსტრალიაში მიგვყავხარო.

„ის რაც დევიდს მოუვიდა ენით აუწერელია. სიტყვა წყენა არაფერს გამოხატავს. ის და ვიკტორია გაგიჟდნენ“ — უთხრა „სანის“ კორესპონდენტს „იუნაიტედთან“ დაკავშირებულმა ვიღაცამ, ვისი სახელის გამჟღავნებაც გაზეთმა არ ისურვა.

რას იზამ, ასეთია ცხოვრება. აბა, ცხოვრება ასეთი რომ არ იყოს ქმრისთვის ფოტოებზე გამოსახული ამ გოგოს საქორწილო სარეცელიდან აცლა შეიძლებოდა?

ბოლოს კი იმაზე, რატომ არ ჭაჭანებს დევიდს და ვიკტორიას ქორწილის ფოტოები. საქმე ისაა, რომ მათი გადაღების ექსკლუზიური უფლება, ნეფე-პატარძლისგან, მხოლოდ ერთმა ინგლისურმა წყარომ იყიდა მილიონ გირვანქად.

გაშლიდნენ 800 ათასად (თან დოლარებში) სუფრას, აბა რა იქნებოდა.

ბრაზილიელი ელადაში

საბერძნეთის ჩემპიონმა ათენის „ოლიმპიაკოსმა“ ესპანური „ბარსელონასგან“ 6,13 მილიონ დოლარად ბრაზილიელი ნახევარმცველი ჯოვანი შეიძინა. „როგორც იქნა, მოლაპარაკება დასრულდა და შეთანხმებას მივაღწიეთ. ჯოვანის ათენში მომავალ კვირას ველით“ — განაცხადა ბერძნული კლუბის წარმომადგენელმა. ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, რომელიც გასული სეზონის ბოლოს ლუის ვან გაალის იმ ცხრაკაციან სიაში მოხვდა, „ბარსელონას“ რომ უნდა გაესხვისებინა, ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ბერკოვიჩს დაიერი გვირჩევნიაო

შოტლანდიურმა გლაზგოს „სელტიკმა“ 5,5 მილიონ გირვანქად ლონდონის „ვესტ ჰემისგან“ ისრაელის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ეიალ ბერკოვიჩი შეიძინა. მოლაპარაკება, რომელიც საკმაოდ დიდ ხანს მიმდინარეობდა, გუშინ დილით ბერკოვიჩის „სელტიკ პარკზე“ ჩასვლით დასრულდა. „ახლა შემიძლია დაგარწმუნოთ, ეიალს ურთიერთობა სხვა კლუბთან აღარ აკავშირებს“ — განაცხადა შოტლანდიური კლუბის დირექტორმა კენი დალგლიშმა. რაც შეეხება „ვესტ ჰემს“, ლონდონელები ებრაელი ფეხბურთელის გაყიდვით მიღებული ფულით „იფსვიჩ თაუნისგან“ ახალგაზრდა ინგლისელი მოთამაშის, კიერონ დაიერის გადაბირებას ცდილობენ.

თავისუფალი მოხუცი

გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ ვეტერანი მცველი ტომას ჰელმერი მომავალი სეზონიდან პრემიერლიგაში აღზევებულ „სანდერლენდში“ ითამაშებს. „ბაიერნი“ გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილ წევრში ვერაფერს მიიღებს, რადგან ჰელმერს იანვარში გაუვიდა მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტის ვადა და, ბოსმანის წესების თანახმად, თავისუფალი აგენტია. ტომას ჰელმერი „სანდერლენდს“ მომავალ კვირას შეუერთდება და ახალ კლუბს დანიურ ტურნეშიც წაჰყვება.

დედაქალაქიდან დედაქალაქში

იტალიურმა „რომამ“ ლონდონური „ჩელსისგან“ შესაძლოა ურუგვაელი ნახევარმცველი გუსტავო პოიეტი შეიძინოს. რომაულმა კლუბმა პოიეტის საყიდლად 9 მილიონი გირვანქა გამოყო. „ჩვენ შევხვდით „ჩელსის“ აღმასრულებელ დირექტორ კოლინ ჰათჩინსონს და ყველანაირი პრობლემა გადავწყვიტეთ, ახლა სადავო არაფერია“ — განაცხადა „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ. აღსანიშნავია, რომ ურუგვაელის შეძენა გასული სეზონის ინგლისის ჩემპიონ და თასის მფლობელ „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ სურს.

ახალი ტრიო დორტმუნდში

მომავალ კვირას გერმანიის ლიგის თასის გათამაშებაში მეტად საინტერესო მატჩი გაიმართება — 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის მომგები დორტმუნდის „ბორუსია“ ბერლინის „ჰერტას“ შეხვდება.

ქართველ გულშემატკივართა ინტერესს განსაკუთრებით „ბორუსიას“ თამაში იწვევს, რომელიც ბოლო სეზონში არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა, მაგრამ ახალი სეზონისთვის მან ფრედი ბობიჩი, ვიკტორ იკპება და კრისტიან ვიორნსი შეიმატა.

— დღესდღეობით უძლიერესი თავდასხმა გვყავს. მაშ, რატომ არ უნდა ვითამაშოთ სამი თავდამსხმელით — განაცხადა დორტმუნდელთა თავკაცმა მიქაელ სკიბემ. მისივე თქმით, მომავალ თამაშში „ბორუსიას“ თავდასხმას ბობიჩ-იკპებასთან ერთად ყოველთვის ნახევარდაცვაში მოთამაშე ანდრეას მიოლერი შეადგენს.

სარბიელის არქივიდან

უკეთესი რონალდო

რონალდოზე კვლავაც ბევრს საუბრობენ, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იმდენს არა, რამდენსაც მანამდე. გასული ორი წელი რონალდოსი იყო — ბრაზილიელი ჭაბუკი, მიუხედავად იმისა, რომ 23 წლისაა, ყველას სჯობდა და თავისი ბრწყინვალეებით სხვებს ჩრდილავდა.

ახლა ასე აღარაა — რონალდო, სხვებისთვის მიუღწეველი რომ იყო, მიწაზე დაეშვა. დღეს მას თავდამსხმელის ეტალონად აღარ განიხილავენ, თუმცა უძლიერესთა შორის ისევ და ისევ რომაა, ამას თქმა არ უნდა.

დღესდღეობით რონალდო პარაგვაიშია და „კოპა ამერიკას“ მოსაგებად იბრძვის. მისი თქმით, გაისად იგი გაცილებით ძლიერად ითამაშებს, ვიდრე აქამდე.

— ვფიქრობ, „კოპა ამერიკას“ მოგება უნდა გაგიჭირდეთ. რაც უნდა იყოს, ევროპაში მძიმე სეზონი გადაიტანეთ.

— ჩვენ, ბრაზილიელები, ამაზე არ ვფიქრობთ. მე ბრაზილიის ნაკრებში ვთამაშობ, გუნდში, რომელიც ყოველთვის მზადაა სათამაშოდ და მოსაგებად. ჩვენ გვსურს, გავიმარჯვოთ.

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბრაზილიის ნაკრებს მწვრთნელი შეეცვალა. მოგწონთ ის სტილი, რომლითაც ვანდერლეი ლუქსემბურგო გუნდს ათამაშებს?

— დიახ, ძალიან. ვისურვებდი, რომ „ინტერიც“ ასე თამაშობდეს.

— მწვრთნელთან კარგი ურთიერთობა გაქვთ, თუ გიჭირთ მასთან კავშირი?

— ის ნამდვილი ჯენტლმენია. ფეხბურთელებს, როგორც მეგობრებს, ისე გვესაუბრება, მასთან ბრწყინვალე დამოკიდებულება გვაქვს მეც და სხვებსაც. ეს კი შესანიშნავია. როცა ბრაზილიის ნაკრები „ბარსელონას“ ეთამაშებოდა, ლუქსემბურგოსთან ორი დღე დავყავი — მან თავისი უშუალობით დამაოცა. კარგი პიროვნებაა, სასიამოვნო.

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში პირველად სწორედ „ბარსელონასთან“ შეხვედრაში ითამაშეთ. გგიჭირდათ გუნდში დაბრუნება?

— მანამდე ნაკრებში 12 ივლისს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ვითამაშე. ის დღე არასდროს დამავიწყდება. მას შემდეგ რვა თვე გავიდა, სანამ გუნდს შევუერთდი. „ბარსელონასთან“ თამაშის წინ ძალიან ვღელავდი — ამდენი ხნის მერე კვლავ ნაკრებში ვთამაშობდი. თან „ბარსელონასთან“ დაპირისპირება ზუსტად მას შემდეგ მომიხდა, რაც „ინტერი“ შინ „უდინეზესთან“ დამარცხდა 1:3. ეს წაგება ძალიან განვიცადე. თუმცა ნაკრებმა ხასიათი გამომიკეთა — „ბარსელონასთან“ პაექრობა შესანიშნავი მოგონებაა.

— ძალიან ლამაზი გოლი გაიტანეთ. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ჰო, ლამაზი გოლი იყო. ძალიან ბედნიერი ვიყავი. მიხაროდა ნაკრებში დაბრუნება. თან ბარსელონაში ვთამაშობდი, ჩემთვის ძალიან საყვარელი გულშემატკივრების თვალწინ. მიხაროდა, რომ ქომაგებს კვლავ ვუყვარდი, მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონაში“ მხოლოდ ერთ წელიწადს გავჩერდი.

— კიდევ ერთმა სეზონმა ჩაიარა. როგორი იყო თქვენთვის იგი — ძნელი თუ ადვილი. ტკბილად მოგაგონდებათ თუ...

— ჩემი გადასახედიდან რთული სეზონი იყო, გნებავთ, ბრაზილიის ნაკრებში, გნებავთ, „ინტერში“. გახსენებით, რომ გითხრათ, ტკბილად გამახსენდება-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ არც ისეთი წელიწადი იყო, მისი მოგონება არ მსურდეს. ცუდიც იყო და კარგიც, თუმცა ახლა წარსულზე არ ვფიქრობ. „ინტერი“ ახალ სეზონს ნულიდან იწყებს. ვფიქრობ, წლეულს გაცილებით მეტს მივაღწევთ, ვიდრე, ვთქვათ, შარშან.

— ახლა „ინტერს“ მარჩელო ლიპი გაწვრთნის. თუ ესაუბრეთ მას?

— რა თქმა უნდა. გამაოცა იმან, თუ რაოდენ სურს მას გამარჯვება. მარჩელოს თავის ტაქტიკა აქვს და ჩვენც, ფეხბურთელებს, მისი მითითებებით მოგვიწევს თამაში. ლიპი ძლიერი მწვრთნელია. თუნდაც „იუვენტუსი“ გაიხსენეთ. რა თქმა უნდა, მე, როგორც „ინტერის“ ფეხბურთელი, ლიპის გულშემატკივარი ვერ ვიქნებოდი, მაგრამ მისი ძალის დაკნინება ან დაუნახაობა უაზრობა იქნებოდა. მან კარგად იცის, როგორ შექმნას ძლიერი გუნდი. ვფიქრობ, სწორედ ლიპის დარი მწვრთნელი სჭირდებოდა „ინტერს“. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნება, თუ იგი იმ ტაქტიკით გვათამაშებს, როგორც ეს ჰოჯსონმა გააკეთა „რომასთან“ შეხვედრისას — მაშინ მე, სამორანო და რობერტო ბაჯო წინ ვიყავით გამწესებული და ხუთი გოლიც გავიტანეთ. ბაჯოსთან ერთად თამაში, ეს უდიდესი სიამოვნება, ფანტასტიკაა.

— თქვენს ტრავმებზე რას იტყვით. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ერთიორი თამაშის შემდეგ დასვენება თითქოს აუცილებელი იყო.

— საშინელება იყო. იცით, როგორი შეგრძნება მქონდა? თითქოს ტრავმას ვიშუშებდი, თითქოს ტკივილიც მიქრებოდა, მაგრამ სწორედ მაშინ იწყებოდა ყველაფერი თავიდან. ინვარში „ბოლონიასთან“ რომ წავაგეთ, მივხვდი, რომ ასეთი ტკივილებით ვეღარ ვითამაშებდი, არადა, ამ მატჩამდე ათი დღე არ ვვარჯიშობდი — უბრალოდ, აუზში ვცურავდი. ხალხი ამბობდა, რომ თვითრწმენა დაკარგე. მართლებიც იყვნენ — ძალიან დავიტანჯე და უკვე აღარაფრის მჯეროდა. მერე, როგორც იქნა, ყველაფერი დასრულდა — გიჟივით ვვარჯიშობდი და საბედნიეროდ, ტრავმებს თავი დავაღწიე. იცით, ასე მგონია, რონალდო რომ არ ვყოფილიყავი, ფეხბურთს ვეღარასოდეს დავუბრუნდებოდი.

— ოდესმე თუ შეგშინებიათ, რომ ფეხბურთთან გამოთხოვება მოგიწევდათ?

— არა, ამაზე სერიოზულად არასდროს მიფიქრია, თუმცა იყო დრო... ხანდახან ტრავმები მტანჯავდა და თამაშის საშუალება არ მქონდა. იყო დღეები, არც ვიცოდი, სად ვიყავი, რატომ? რისთვის? ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ვთამაშობდი, ჩემი გონება კი სხვაგან ქროდა. საშინელება იყო. საბედნიეროდ, ახლა სხვა სიტუაციაა. იცით, მივხვდი, რომ ადამიანის ყველაზე დიდი მტერი თავად იგია.

— სეზონის ბოლოს მარცხით გაწაწყენებულმა გულშემატკივრებმა ფეხბურთელებს პროტესტი გამოგიცხადეს. თქვენ მათ წინააღმდეგ სერიოზულად გაილაშქრეთ.

— მესმის, რომ გულშემატკივრები განაწყენებულნი იყვნენ. ჩვენ ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ რომელი ფეხბურთელი მოითმენს, როცა ბოთლებს, ხურდებს ესვრიან. ანაც მანქანას უმტვრევენ? ეს ყოველგარ წესებს სცილდება! მოვითმენ სტვენას, გულისწყრომას, ყვირილს, მაგრამ ბოთლის სროლას, ხურდების ყრას — ვერა.

— თქვენს ავტომობილს, თუ არ ვცდები, ბოთლები ესროლეს.

— დიახ. ამან ძალიან გამაღიზიანა, თანაც მანქანაში ოჯახით ვიყავი. პატარა დისშვილს ისე შეეშინდა, ატირდა. მაშინ ვიფიქრე, ყველაფერს მივატოვებ და წავალ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. ემოციებს არ უნდა აჰყვე, ვიღაც ჭკუანაღრძობის გამო აწყობილი ცხოვრება არ უნდა დაანგრიო. თან მე ხომ „ინტერის“ მეწილე ვარ.

— ამბობდნენ, რომ თქვენი „ინტერის“ კაპიტნად არჩევას ბევრი ფეხბურთელი უარყოფითად შეხვდა. მართლა ასე იყო?

— არასდროს მითხოვია, კაპიტანი ვიქნები-მეთქი, მაგრამ როცა ამირჩიეს, შევცბი. რა თქმა უნდა, ასეთი კლუბის კაპიტნობა ჩემთვის დიდი პატივი იყო, მაგრამ... ისიც ვიგრძენი, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა დამეკისრა. სხვათა შორის, კაპიტნად რომ ამირჩიეს, გუნდს ლუჩანო კასტელინი წვრთნიდა.

— თანაქალაქელი „მილანის“ გაჩემპიონებაზე რას ფიქრობთ?

— ფორტუნა უძლიერესს უღიმის. გამიხარდა, ჩემი მეგობარი ლეონარდო ჩემპიონი რომ გახდა, მაგრამ, ვფიქრობ, „ლაციო“ უფრო იყო ჩემპიონობის ღირსი. ისინი უძლიერესნი იყვნენ.

— მართალია რომ თქვენი შეძენა „რეალს“ უნდოდა?

— საინტერესოა. პირველად მესმის. ისე, „ინტერშიც“ ბედნიერი ვარ.

— როგორი „ინტერის“ ხილვა გსურთ გაისად?

— მსურს, „ინტერი“ იყოს ძლიერი კლუბი, რომელიც მოთამაშეებს ყველაფერს მისცემს და მათგანაც მაქსიმუმს მიიღებს. ერთი უეფას თასით ვერ დავკმაყოფილდები. მინდა, კლუბს უფრო დიდი წარმატებები მოვუტანო. ახლა, როცა კრისტიან ვიერიც ჩვენთან გადმოვიდა, ვფიქრობ, ყველაფრის მოგება ძალგვიძს, თუმცა პირველად, რა თქმა უნდა, ჩემპიონატი უნდა მოვიგოთ.

— რონალდოს აზრით, რაში მდგომარეობს „სკუდეტოს“ საიდუმლო?

— ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ვერ შევძელით შარშან. თავიდანვე ძლიერად უნდა დავიწყოთ, სტაბილურად უნდა ვითამაშოთ და... ჩემდათავად ვამბობ, რომ 1999 წელი ჩემი წელიწადი იქნება. კიდევ მაქვს ექვსი თვე გულშემატკივართა გასახარად. მსურს, კვლავ უძლიერესი გახდე. მომავალ სეზონში გაცილებით უკეთესი ვიქნები. მე, რონალდო ამას გპირდებით.

„უორლდ სოკერი“-დან
თარგმნა ლაშა გოდუაძემ

გიო ახვლედიანის

სვეტი

პალერმო

პალერმო ქალაქია სიცილიაზე, ბუენოს აირესში კი უბანს ჰქვია. ოდესღაც ამ უბანში ცხოვრობდა ყველაზე ცნობილი არგენტინელი (მარადონაზე მეტად ცნობილი!) ხორხე ლუის ბორხესი. ბორხესი მწერალი გახლდათ და ფეხბურთისა არაფერი გაეგებოდა, თუმცა, უბან პალერმოს ამბავი, იქაური ძველბიჭობა და დანების ტრიალი ტანგო და ასეთები მშვენივრად აღწერა თავის ნაწერებში.

ბორხესმა ერთ-ერთი თავის გმირ მხცოვან ქუჩის ბიჭს მეორესთვის ათქმევინა:

კაცი რომელიც დღეში ხუთ წუთზე მეტს ფიქრობს საჭმელზე, ქალებსა და მსგავს ზიზილ-პიპილოებზე, კაცი არ არისო. ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, არაკაციაო. ვისაც უთხრა, იმან არ დაიჯერა და ქალის გულისთვის მოკლეს.

თუ არა ვცდები, „ბოკა ხუნიორსის“ გმირი ფორვარდი მარტინ პალერმო, სწორედ იმ წელიწადს დაიბადა, როცა ხორხე ლუის ბორხესი საბოლოოდ დაბრმავდა. ზღვისპირა უბან ბოკაში ძველბიჭობა ტრადიციული რამეა. მარტინ პალერმო კი კიდევ ერთი პალერმოა ჩვენს სვეტში. ეგზოტიკური იერის ბიჭია, მისი გვარი კი მარიო პიუზოს „ნათლიის“ დონ ვიტოს გვახსენებს, რომელსაც გვარის მაგვირად ამერიკულ საბაჟოზე მისი დაბადების ადგილს, კორლეონეს ჩაუწერენ. ვიტო ანდოლინი ვიტო კორლეონედ იქცევა. ეგებ მარტინ პალერმოს იტალიელ წინაპარსაც ამგვარად მიეწბეა გვარი. მოკლედ, პალერმო (მარტინი) გმირია და სიმართლე ითქვას ნაღდი მეგოლეც გახლავთ. (ოღონდ გაჩერებულ ბურთს არ უნდა მიაკარო).

ხუმრობა იქით იყოს და „კოპას“ პალერმოს გამოც ველოდი. ერთადერთი რაც მაეჭვებდა მისი იერი იყო. არა ვარ მე იმ გაქნების ჯეელი მეტიჩრულად თმაგაწყობილ ბიჭებს რომ მხოლოდ ამ მეტჩირობის გამო ვაგინო. თვით მარადონასაც კი ჰქონია ბოკური ოქრო თმაში და საერთოდ, გაჩეჩილი არგენტინული ამბავი გაუჩო-პონტებში გადის და მეტიჩრული კი არა, სწორედ რომ უძველბიჭურესი, დანისტური რამეა. მაგრამ, აბა უყურე პალერმოს — ბუცები თეთრი (კაი, ბატონო) ამ ძველურ („მუეიკური“) ცხვირპირზე და ახოტრილი თმა და წინაც ჩალისფრად შეღებილი „ჩუბჩიკი“. აი, სწორედ ეს ჩუბჩიკი მაეჭვებდა იმიტომ რომ იმ მხცოვანი ძველის ნათქვამი მახსენდებოდა ბორხესის წიგნიდან: თუ ეგეთს აწვებიო, მაშინ ეს, ეს და ეს, შენთვის არ შეიძლებაო.

გაგიხარიათ დავრწმუნდი (არა მარტო ვარცხნილობით) რომ მარტინ პალერმო ძალიან ბევრს ფიქრობს იმაზე, თუ როგორ გამოიყურება, როგორ უნდა გადაირიონ გოგოები მის გამო და ა.შ.

სამი პენალტი! ამას ხომ გაბედვა უნდა. ამას ხომ მოხერხება უნდა — ერთი ხერხით დაარტყა და გააფუჭო სამი პენალტი. (აქედან ორი გადამწყვეტ წუთებში). გეყოს თავხედობა და მესამეც დაარტყა! სამივე თვითონ გააკეთა. ღვინოს ვინც წურავს, სულ იმან რომ დალიოს, რა გამოვა? როცა შენს გვერდით სიმეონე და ძანეტი არიან, გვიან გაბრწყინებულ კაცს მეტი ფიქრი გმართებს. ბოლოსდაბოლოს ბატისტუტას ცვლი (ვერასდროს შეცვლი). ისეგ მეო.

ეგრეა, როცა ტვინი იმაზე თუ გყოფნის, რომ ოფოფივით მოირთო. სარეოთდ კი, არ შეიძლება ისიც იყო და ისიც, ცალი ფეხით ბიჭობას მიაწვე, მეორეთი შოუმენობას.

პალერმოში (უბანში) ასე არასოდეს იქცეოდნენ. შენ კი ძველბიჭურად შლი ხელებს და ძალიან ბევრს ფიქრობ საჭმელზე, ქალებსა და ზიზილ-პიპილოებზე. ამას ბორხესი ამბობდა. ცხონებულმა პალერმოზე ბევრად დიდი რამეები იცოდა ხუთი თითოვით.

ისე კი, რას ვერჩი მარტინ პალერმოს — სამ მატჩში სამი გოლი შეაგდო. მაგრამ ეგაა, რომ ეს სამი, ექვსი უნდა ყოფილიყო.

— აბა, რას მეტყვი იმ ბიჭის შესახებ?

— მარტინი?

— დიახ, სენიორ მარტინი...

— იმათ ფრჩხილად არ მიღირს.

— იმათ რატომ ადარებ?

— წესი მაქვს ეგეთი.

— სხვას შეადარე.

— ვიცი, რაც გინდა. გინდა ვთქვა, რომ დუაიტ იორკს ჯობსო.

— არგენტინელი როგორ არ ჯობს ტრინიდადელს?

— ეგ სულელური ლაპარაკია.

— ფეხბურთელობას ვგულისხმობ.

— მითუმეტეს.

— მარტინ პალერმოს რომ ის სამი პენალტი არ აეცილებინა, გაისად „რეალში“ ითამაშებდა.

— „რეალში“ ლამის არის მე და შენ ვითამაშოთ.

— არ ხდება ეგრე? დაითარსა კაცი.

— ეგ იმ ანეკდოტს ჰგავს, შინაგანი ხმა რომ გკარნახობს.

— რაო?

— რაო და მიყავს შინაგან ხმას კაცი და ეუბნება, აქეთ გაუხვიეო, იქით გაუხვიეო. მერე ყაჩაღები დახვდებიან და კაცი ეკითხება ახლა რა ვქნაო. დაგერხაო, პასუხობს შინაგანი ხმა.

— არაფერიც... იმის მერე მშვენიერი გოლი შეაგდო.

— ათასი შეაგდოს. ვდმუნდო უფრო სერიოზული კაცი გამოდგა, ვიდრე ეგა.

— რა კარგი გოლები გააქვს!

— ისე იქცევა, თითქოს ყველას მაგისი ვალი აქვს.

— საიდან მოიტანე?

— ისე იქცევა, თითქოს ათი წელი მჯდარიყოს და გამოსვლის დღეს ბევრი ქალები დაენახოს ქუჩაში, მისვლა კი ვერ გაებედოს.

— რაც გინდა ისა თქვი და ბევრ დიდ კლუბს დაამშვენებდა.

— ვიღას უნდა, ორი თავი ვისა აქვს?

— დაივიწყებენ მაგ ამბავს.

— რა თქმა უნდა, ისევე როგორც თვითონ მაგას დაივიწყებენ.

— პენალტი არავის აუცილებია?

— როგორ არა. წინა „კოპაზე“ მარსელო გალიარდო ყველა თამაშში თითო პენალტს აფუჭებდა, მაგრამ იმავ თამაშში მეორეს ურტყამდა და გაჰქონდა.

— რამდენი პენალტებია?

— „კოპა“ პენალტების შეჯიბრია.

— და სულ რატომ აფუჭებენ?

— ეგ ტრადიციაა. მაგრამ ევროპელებს არ ესმით ამ ტრადიციისა და პალერმოს აღარ იყიდიან.

— მაინც ვერ გავწირავ. მშვენიერი ფეხბურთელია.

— არასერიოზული კაცია.

— ცოტა გინახავს არასერიოზული?

— ბევრზე ბევრი.

— ვთქვათ?

— ვთქვათ... სერჟინიო.

— სერჟინიოს მიდარებ?

— იგივეა.

— კიდევ?

— კიდევ, კარლტონ პალმერი.

— ვის მიდარებ, არ გრცხვენია?

— ეგრეა.

— და გაზა?

— გაზა...

— სერიოზულია?

— სერიოზულად ამბობ?

— სერიოზულად.

— წადი, გაესინჯე.

— ხომ არის არასერიოზული?

— და რა იყო არ გახსოვს? პალერმო იყო?

100 იუბილარი

ნაღდი ვიკინგები

ვიკინგის დამაარსებლები

VIKING F.K. 1899 STAVANGER — ვიკინგი, სტავანგერი

დაარსდა 1899 წლის 10 აგვისტოს
ჩემპიონი (8) — 1958, 1972, 1973, 1974, 1975, 1979, 1982, 1991
თასის მფლობელი (4) — 1953, 1959, 1979, 1989
პრეზიდენტი: მარტინ ლარსენი
მწვრთნელი: პოულ ერიკ ანდრეასენი
სტადიონი: სტავანგერი (17 000)

სტავანგერი ნორვეგიის ერთ-ერთი საპორტო ქალაქია და ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. მას მეზღვაურებისა და მეთევზეების ქალაქსაც უწოდებენ. წვიმები იქ ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა და თურმე ზოგჯერ კვირების განმავლობაში გრძელდება.

ადგილობრივები მეთევზეების გარდა საფეხბურთო გუნდითაც ამაყობენ და ახლა საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად ემზადებიან. კლუბის პრეზიდენტ მარტინ ლარსენს ოფიციალური საზეიმო პროგრამაც შეუდგენია და აგვისტოს დასაწყისში სტავანგერში დიდი ამბებია მოსალოდნელი.

ნორვეგიის კლუბთა უმრავლესობა მეოცე საუკუნის დასაწყისში დაარსდა, „ვიკინგი" კი „კონგსვინგერთან" (1892) და „ლინთან" (1896) ერთად იმ „ბებერ სამეულს" ეკუთვნის, რომლებიც წინა ასწლეულში შეიქმნა და ამით თავსაც იწონებენ.

1938 წლამდე ნორვეგიის ჩემპიონატი არ ტარდებოდა და ოფიციალურ შეჯიბრად ქვეყნის თასის გათამაშება ითვლებოდა, რომელიც 1902 წლიდან იღებს სათავეს. „ვიკინგი" თასის ფინალში პირველად 1933-ში გავიდა და „მიონდალენთან" (1:3) წააგო. თოთხმეტი წლის შემდეგ სტავანგერელებს ისევ მოეცარათ ხელი, ამჯერად ფინალში „სკეიდთან" დამარცხდნენ (0:2). 1953-ში კი კლუბის ისტორიაში გამარჯვების პირველი ფურცელი ჩაიწერა, „ვიკინგმა" „ლილესტრიოს" 2:1 მოუგო და ეროვნული თასი მოიპოვა. ხუთ წელიწადში სტავანგერელები ქვეყნის ჩემპიონებიც გახდნენ, როცა პლეი ოფის სერიის გადამწყვეტ შეხვედრაში ოსლოს „სკეიდს" ორი უპასუხო ბურთი გაუტანეს. მერე „ვიკინგმა" კიდევ შვიდჯერ შეძლო ნორვეგიის პირველობის მოგება, ოქროს ხანად კი 70-იანი წლები ითვლება. ამ დროს ვიკინგებს ქვეყანაში კონკურენტი არ ჰყავდათ. ისინი ლაღ, შემტევ ფეხბურთს თამაშობდნენ, განსაკუთრებით ძლიერი კი ნახევარდაცვა ჰყოლიათ, სადაც ნორვეგიის ნაკრების კაპიტანი კვია და ვალენი გამოირჩეოდნენ. სვეინ კვია საერთოდ გუნდის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია, თანაც „ვიკინგში" 551 მატჩი ჩაუტარებია.

ბოლო დროს „ვიკინგი", ისევე როგორც ნორვეგიული გუნდების უმრავლესობა, „რუსენბორგის" ჩრდილში მოექცა. 90-იან წლებში სტავანგერელებმა მხოლოდ ერთხელ, 1991 წელს მოახერხეს პირველობა, ათწლეულის დანარჩენ ჩემპიონატებში „რუსენბორგმა" იმარჯვა. ეროვნულ ნაკრებში კი როჯერ ნილსენი და მეკარე ტომას მირე თამაშობდნენ, თუმცა დღეს ორივე საზღვარგარეთ აგრძელებენ კარიერას. ბოლო წლების საუკეთესო მეგოლე ეგილ ოსტენსტადი გახლდათ. საინტერესოა, რომ 1996 წელს 24 შეხვედრაში მან 23 ბურთი გაიტანა და ამით კლუბის თავისებური რეკორდიც დაამყარა.

დღეს გუნდის მწვრთნელი ვინმე პოულ ერიკ ანდრეასენია, მეტ-ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელებიდან კი ისლანდიელი მცველის, რიკარდურ დადასონის დასახელება შეიძლება.

ევროთასებზე „ვიკინგი" 1972 წლიდან მონაწილეობს. თუ იქაურებს ჰკითხავთ, ყველაზე ღირსეულად 1992 წელს ჩემპიონთა თასზე ესპანურ „ბარსელონასთან" გამართული ბრძოლები მიაჩნიათ. პირველ მატჩში ბარსელონელმა ამორმა მხოლოდ 86-ე წუთზე შეძლო გამარჯვების გოლის გატანა, საპასუხო შეხვედრა კი ფრედ 0:0 დამთავრდა.

ნორვეგიის წლევანდელ ჩემპიონატში 14 ტურის შემდეგ „ვიკინგს" 19 ქულა აქვს და მეშვიდე ადგილზეა.

სოლომონ გულისაშვილი

ვიკინგი ევროთასებზე

1972-73	უ თ	ვიკინგი — ვესტმანაიარი (ისლანდია)	1:0, 0:0
		კიოლნი (გფრ) — ვიკინგი	0:1, 9:1
1973-74	ჩ თ	სპარტაკი (ჩეხოსლოვაკია) — ვიკინგი	2:1, 1:0
1974-75	ჩ თ	არარატი (სსრკ) — ვიკინგი	2:0, 4:2
1975-76	ჩ თ	მოლენბეკი (ბელგია) — ვიკინგი	1:0, 3:2
1976-77	ჩ თ	ბანიკი (ჩეხოსლოვაკია) — ვიკინგი	1:2, 2:0
1979-80	უ თ	მიონხენგლადბახი (გფრ) — ვიკინგი	1:1, 3:0
1980-81	ჩ თ	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ვიკინგი	3:2, 4:1
1982-83	უ თ	ვიკინგი — ლოკომოტივი (გდრ)	1:0, 2:3
		დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) — ვიკინგი	3:1, 0:0
1983-84	ჩ თ	პარტიზანი (იუგოსლავია) — ვიკინგი	0:0, 5:1
1985-86	უ თ	ლეგია (პოლონეთი) — ვიკინგი	1:1, 3:0
1990-91	თ თ	ლიეჟი (ბელგია) — ვიკინგი	2:0, 3:0
1992-93	ჩ თ	ბარსელონა (ესპანეთი) — ვიკინგი	1:0, 0:0
1995-96	უ თ	ვიკინგი — ტამპერე (ფინეთი)	4:0, 1:3
		ოსერი (საფრანგეთი) — ვიკინგი	1:1, 1:0
1997-98	უ თ	ვიკინგი — ვოივოდინა (იუგოსლავია)	2:0, 0:2 (5:4პ)
		ქსამაქსი (შვეიცარია) — ვიკინგი	3:0, 1:2



Stavanger Aftenblad

100 წლის იუბილესადმი გამოშვებული ვიკინგის დღევანდელი გუნდის პლაკატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედგარ დავიდსი „იუვენტუსს" ალბათ დასტოვებს

დავიდსი კუნძულზე

ტურინის „იუვენტუსი" კიდევ ერთი ფეხბურთელის გასხვისებას აპირებს — ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დავიდსი შესაძლოა ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდეს.

ალექს ფერგიუსონმა, ინგლისის ბოლო წლების უძლიერესი კლუბის შოტლანდიელმა მწვრთნელმა, დავიდსის გადაბირება, როგორც რამდენიმე დღის წინ განაცხადა, დეკემბერში გადაწყვიტა, ახლა კი საკარაუდოდ აისრულებს კიდეც გულისწადილს.

სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების განცხადებით, თუ ტრანსფერი შედგა, ინგლისელებს „იუვენტუსის" სასარგებლოდ 10 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევთ.

ჰოლანდიელი ფეხბურთელის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა ჯერ ოფიციალურად გადაწყვეტილი არაა. თუ გუნდსა და ნახევარმცველს შორის ხელშეკრულება არ გაფორმდა, ედგარ დავიდსი იტალიაში დაბრუნებამდე მეორე პრემიერლიგური კლუბის, „ლივერპულის" წარმომადგენლებს შეხვდება.

„ბარსელონას" მაისურაზე სარეკლამო წარწერა არასდროს ყოფილა, თუმცა ახლა შესაძლოა მასზე „ნაიკი" გამოისახოს

ნაიკი ბარსას მაისურაზე

NIKE

ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა" ამერიკულ ფირმა „ნაიკთან" ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს — კატალონიურ კლუბს ამ ფირმის ნაწარმის რეკლამირება განუზრახავს. „ბარსელონას" მაისურაზე კლუბის არსებობის ასი წლის მანძილზე არანაირი სარეკლამო წარნერა არ ყოფილა, ახლა კი ტრადიცია, როგორც ჩანს, დაირღვევა.

„ბარსელონას" ხელმძღვანელების განცხადებით, მათ „ნაიკთან" თანამშრომლობა მხოლოდ და მხოლოდ კლუბის საკეთილდღეოდ წამოიწყეს. მათივე თქმით, რეკლამიდან შემოსული თანხა გუნდის კიდევ უფრო გაძლიერებას მოხმარდება.

„ბარსელონა" „ნაიკისგან" რეკლამების სანაცვლოდ წელიწადში 20 მილიონ გირვანქას მიიღებს, ხელშეკრულება კი, სავარაუდოდ, ხუთწლიანი იქნება.

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინტერტოტო. მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები

10.07	ნიური (ჩრდ. ირლანდია) — დუისბურგი (გერმანია)	(15,0 - —)	5,0	3,2	1,6
	როსტსელმაში (რუსეთი) — ცემენტარნიცა (მაკედონია)	(1,1-5,0)	1,2	5,0	9,0
	ვარტექსი (ხორვატია) — ბრანი (ნორვეგია)	(4,0-1,15)	1,8	3,0	4,0
	ლუსტენაუ (ავსტრია) — რუდარი (სლოვენია)	(1,1-5,0)	1,7	3,1	4,4
	პოლონია (პოლონეთი) — კოპენჰაგენი (დანია)	(— - 15,0)	1,6	3,2	5,0
	მონპელიე (საფრანგეთი) — ყარაბაღი (აზერბაიჯანი)	(— - 25,0)	1,05	8,0	14,0
	სტ. ტრუიდენი (ბელგია) — არარატი (სომხეთი)	(— - 25,0)	1,1	6,0	12,0
	ვაშაში (უნგრეთი) — ქსამაქსი (შვეიცარია)	(1,05-7,5)	1,8	3,0	4,0
	ფლორიანა (მალტა) — იოკერიტი (ფინეთი)	(2,5-1,35)	2,2	2,9	3,0
	იედინსტვო (ბოსნია) — ჩაჰლაული (რუმინეთი)	(2,3-1,4)	2,0	2,9	3,4
11.07	პობედა (მაკედონია) — პერუჯა (იტალია)	(5,0-1,1)	4,7	3,0	1,7
	ბობი (ჩეხეთი) — ბაზელი (შვეიცარია)	(1,5-2,0)	2,0	2,8	3,5
	აკრანესი (ისლანდია) — ლოკერენი (ბელგია)	(7,5-1,05)	3,0	2,9	2,2
	მეცი (საფრანგეთი) — ჟილინა (სლოვაკეთი)	(1,25-3,1)	1,25	4,4	8,0
	გომელი (ბელარუსი) — ჰამარბი (შვედეთი)	(25,0 - —)	2,5	2,9	2,5
	ქოჯაელი (თურქეთი) — ვენტსპილსი (ლატვია)	(1,1-5,0)	1,25	4,4	8,0

შვეიცარიის ჩემპიონატი. II ტური

10.07	აარაუ — ივერდონი	1,5	3,3	6,0
	ლოზანა — სტ. გალენი	1,5	3,3	6,0
	ლუცერნი — დელემონი	1,5	3,3	6,0
	სერვეტი — ლუგანო	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
11.07	ციურიხი — გრასჰოპერი	3,0	2,9	2,2

რუსეთის ჩემპიონატი. გადადებული მატჩები

11.07	ზენიტი — ცსკა	2,6	2,8	2,5
	სპარტაკი — როტორი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

შვედეთის ჩემპიონატი. XIV ტური

11.07	ჰალმსტადი — ჰელსინგბორგი	2,3	2,8	2,9
	მალმიო — დიურგარდენი	1,7	3,1	4,4

ნორვეგიის ჩემპიონატი. XV ტური

11.07	მოლდე — კონგსვინგერი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	რუსენბორგი — ლილესტრიომი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	სტაბეკი — ოდ გრენლანდი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	სტრომგოდსეტი — ბოდო გლიმტი	2,1	2,9	3,2
	ვიკინგი — მოსი	1,5	3,3	6,0
	ვალერენგა — სკეიდი	1,6	3,2	5,0

გერმანიის ლიგის თასი (ნეიტრალურზე)

10.07	ლევერკუზენი — კაიზერსლაუტერნი	1,9	2,8	3,8
11.07	ჰერტა — დორტმუნდი	3,0	2,9	2,2

კოპა ამერიკა. მეოთხედფინალი

10.07	პერუ — მექსიკა	3,0	2,9	2,2
	პარაგვაი — ურუგვაი	1,5	3,4	5,6
11.07	კოლუმბია — ჩილე	2,2	2,9	3,0
	ბრაზილია — არგენტინა	1,8	3,0	4,0

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ფინალი

10.07	აშშ — ჩინეთი	1,5	3,2	4,4

მატჩი მესამე ადგილისთვის

	ნორვეგია — ბრაზილია	1,6	3,3	4,7

ფორმულა 1. VIII ეტაპი. დიდი ბრიტანეთი. სილვერსტოუნი

ერეკლეს ბიბლიოთეკა

პილოტები	I ადგ.	I-III	I-VI
ჰაკინენი (ფინეთი, მაკლარენი)	1,8	1,3	1,15
მ. შუმახერი (გერმანია, ფერარი)	2,0	1,4	1,2
ირვინი (ირლანდია, ფერარი)	4,0	1,5	1,35
კულჰარდი (ბრიტანეთი, მაკლარენი)	4,0	1,5	1,35
ფრენცენი (გერმანია, ჯორდანი)	25,0	3,5	1,7
რ. შუმახერი (გერმანია, უილიამსი)	30,0	4,0	2,0
ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი)	30,0	4,0	2,0
ბარიკელო (ბრაზილია, სტიუარტი)	30,0	4,0	2,0
ჰილი (ბრიტანეთი, ჯორდანი)	30,0	4,0	2,0
ჰერბერტი (ბრიტანეთი, სტიუარტი)	30,0	4,0	2,0
ვილნევი (კანადა, BAR)	40,0	5,0	2,5
ალეზი (საფრანგეთი, ზაუბერი)	40,0	5,0	2,5
ვურცი (ავსტრია, ბენეტონი)	50,0	6,0	3,0
პანი (საფრანგეთი, პროსტი)	50,0	6,0	3,0
ძანარდი (იტალია, უილიამსი)	50,0	6,0	4,0
ტრული (იტალია, პროსტი)	60,0	10,0	4,0
დინიცი (ბრაზილია, ზაუბერი)	60,0	10,0	4,0

პირველი სამეული დაკავებული ადგილების მიხედვით — 10,0

პირველი ექვსეული დაკავებული ადგილების მიხედვით — 100,0

გუნდებს შორის გამარჯვებული

მაკლარენი	1,7	ბენეტონი	8,0	ზაუბერი	15,0
ფერარი	2,0	უილიამსი	8,0	პროსტი	15,0
ჯორდანი	5,0	სტიუარტი	10,0		

ფორმულა I-ის ფსონების გადამრავლება სპორტის სხვა სახეობებზე არ შეიძლება. შეიძლება მხოლოდ სამეულში მოხვედრის (არაუმეტეს სამი პილოტისა) ან ექვსეულში მოხვედრის (არაუმეტეს ექვსი პილოტისა) კოეფიციენტების გადამრავლება.

ჯვირას 11 ივლისს კროკოს ცენტრალური ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე აღ იმუშავებს. ყველა დანარჩენ მიუხედავად ფსონები მიიღება ჩვეულებრივი განრიგით.

რეალური გუნდი გამარჯვების

მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბეშიქთაში	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა	50,0
რეინჯერსი	50,0

ჩემპიონთა თასი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

რეალი ქვეყნის წარმომადგენელი გამარჯვების

იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

უეფას თასი

UEFA CUP

რეალი ქვეყნის წარმომადგენელი გამარჯვების

იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
იუგოსლავია	25,0
ხორვატია	25,0
შვედეთი	25,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0
საბერძნეთი	50,0
რუმინეთი	50,0

რეალი გუნდი გამარჯვების

იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
ბენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტესსკი	25,0
ლოკომოტივი (მოსკოვი)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტეგორგი	50,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია (პრაღა)	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (ბუქარესტი)	50,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება. იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ცუდი მსაჯობა რომ არა, მესამე მატჩში ყველაფერი დამთავრდებოდა

— ბატონო ოთარ, უკვე საკმაო დროა გასული, რათა ცივი გონებით შევაფასოთ მერვე ეროვნული ჩემპიონატის ფინალური მატჩები. ნუთუ ასე ძნელი გახდა იმ ერთადერთი გამარჯვების მოპოვება, რომელიც „აზოტს“ ნანატრ ჩემპიონობას მოუტანდა?

— პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ გადამწყვეტი მატჩის შემდეგ ვალდებული ვიყავი იქვე, მოედანზე, მეტოქისათვის გამარჯვება მიმელოცა, მაგრამ იმდენად ვიყავი აღელვებული, რომ არ ვიცი როგორ აღმოვჩნდი ჩვენი გუნდის გასახდელში. ეს იმ გულშემატკივრების გასაგონად მინდა ვთქვა, რომლებსაც არ დაუნახავთ და არც გაუგიათ, რომ ოთარ ხმელიძე ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა ვითელთა ოთახში და ალალი გულით მიულოცა ზედიზედ მეშვიდე გაჩემპიონება.

ჩვენი დამარცხების უმთავრეს მიზეზად უსაშველოდ გაწელილი ჩემპიონატი მიმაჩნია. სად გინახავთ, რომ ჩვენს გარდა ეროვნული ჩემპიონატი 9-10 თვე გრძელდებოდეს. ამ ხნის განმავლობაში კი ჩავარდნების გარეშე თამაში გამორიცხულია. ამას დაემატა საკვალიფიკაციო ტურნირი შვეიცარიაში, სადაც ეროვნულ ნაკრებში აზოტელებმა ჯაფარიძემ, გოგობერიშვილმა და ჟღენტმა ითამაშეს, ხოლო ვითელთაგან — არავინ. ხუთ დღეში ხუთი უმძიმესი მატჩის შემდეგ კალათბურთელებს ენერგიის აღსადგენად ერთი თვე მაინც სჭირდებათ. ჩვენ კი ერთ კვირაში პლეი ოფის ურთულეს მარათონს შევუდექით, რომელიც ძალზე დაძაბული გამოდგა. ნაკრებში თამაშის შემდეგ გუნდის ლიდერები ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად გადაღლილები ჩანდნენ და საბოლოოდ ჩვენ დავზარალდით. შეიძლება ჩემი ბრალიც იყო, რომ რეგულარულ ჩემპიონატს დიდი ენერგია შეკალიეთ და ძალები პლეი ოფისათვის ვერ შემოვინახეთ. მსაჯებიც არ გვწყალობდნენ და ასე აღმოვჩნდით მეორე ადგილზე. არც ვიცე-ჩემპიონობაა ურიგო, მაგრამ ჩვენ მეტის სურვილი გვქონდა.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ რომ პლეი ოფისათვის დასვენებული ვყოფილიყავით, „ვითას“ დამარცხების გაცილებით მეტი შანსი გვექნებოდა, მაგრამ მე ის კაცი ვარ, რომელიც მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გადის და არ შეუძლია ბოლომდე არ დაიხარჯოს. ამიტომ შევალეთ მთელი ენერგია რეგულარულ ჩემპიონატს და პლეი ოფისათვის გადავიღალეთ.

ამით სულაც არ მინდა ჩრდილი მივაყენო „ვითას“, რომელსაც ძლიერი ხასიათის კალათბურთელები, ნაღდი ვაჟკაცები ჰყავს და ისინიც ბოლომდე იბრძვიან — განსაკუთრებით გადამწყვეტ შეხვედრებში. იგივეს ვიტყვი ჩემს სპორტსმენებზეც, რომლებმაც რაც შეძლეს გააკეთეს. ეგ არის, რომ „ვითას“ 10 შემსრულებელი ჰყავდა, ხოლო ჩვენ 6-7 კაცის იმედად ვიყავით.

განსაკუთრებთ იმაზე მწყდება გული, რომ ზედიზედ მეორე წელია რეგულარულ ჩემპიონატს 4-6 ქულის სხვაობით ვიგებთ, მაგრამ პლეი ოფში ვერა და ვერ დავძლიეთ „ვითას“ ბარიერი.

— თუ შეიძლებოდა, რომ ჩემპიონატი დროულად დამთავრებულიყო?

— როგორც იქნა ვერის ბაღში გათბობას ვეღირსეთ და თავისუფლად შეიძლებოდა ჩემპიონატის დამთავრება შვეიცარიის ტურნირამდე.

— შემსრულებლების სიმცირეს განვიცდიდიო, ამბობთ და ამ დროს სკამზე გიზით გამოცდილი ილია კოჭლამაზაშვილი, რომელმაც ლომის წილი დაიდო სამი წლის წინ სდასუს დამარცხებასა და რუსთაველთა პირველი მედლის (ბრინჯაოს) მოპოვებაში...

— კოჭლამაზაშვილი ბოლო დროს ავადმყოფობდა, ჰემოგლობინმა დაუწია და 9-10 კილოგრამიც დაიკლო. გუნდის ექიმის რჩევით, ნახევარფინალში არ ვთამაშე, ხოლო ფინალში ნაკადმყოფარი კაცის დატვირთვას მოვერიდე.

— გეთანხმებით, რომ „აზოტი“ უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ მეგ ეროვნულში მუდამ საბრძოლო განწყობილებით გადიოდა მოედანზე, მაგრამ ბოროტი ენები ამბობენ, „აზოტს“ მეოთხე წრის ბოლოს თსუ-თან გადადებულ შეხვედრაში, რომლის მოგებითაც სტუდენტები პლეი ოფში მოხვდნენ, გამარჯვებისათვის ბოლომდე არ უბრძოლია და ისე დაუთო შეხვედრა სტუდენტებსო...

— პლეი ოფში „აზოტთან“ შეხვედრის პრეტენზიას მეოთხე წრის ბოლოს თსუ და „დინამო“ აცხადებდნენ. უდიდეს პატივს ვცემ როგორც „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ ბატონ ლევან მოსეშვილს, ასევე თსუ-ს ხელმძღვანელობას, სადაც ჩვენი გუნდის რამდენიმე კალათბურთელი სწავლობს. თსუ-ს კალათბურთელების დამატების შანსი აღარ ჰქონდა, ხოლო „დინამო“ მაისურაძის, ხოშტარიასა და ირაკლი ვამაკიძის დამატების შემდეგ პლეი ოფისათვის ბეჟანიშვილით გაძლიერებასაც აპირებდა. კომენტარის გარეშეც ნათელია, ჩვენთვის რომელი გუნდი უფრო სასურველი იქნებოდა ნახევარფინალში.

მიუხედავად ამისა, მოედანზე წასაგებად ნამდვილად არ გავსულვართ, მაგრამ ვალიარებ, რომ არც თავი შეგვიკლავს მეტოქისათვის. ვისაც უფრო სჭირდებოდა გამარჯვება, იმან მეტი მონდომებითაც ითამაშა და წარმატებასაც მიაღწია.

— ფინალური მარათონის პირველ მატჩებზე რას გვეტყვით. სად და როგორ ემზადებოდით. „აზოტის“ დიდებული სტარტი რამ განაპირობა?

— ოცდაორი წელია მწვრთნელად ვმუშაობ და გუნდის ხელმძღვანელების ასეთი მზრდაჭერა არ მახსოვს. ყველაფრით უზრუნველყოფილი ვიყავით და დიდებული შეერებაც მოგვიწყვეს ტაბახმელაში, სადაც ვარჯიშისა და დასვენების ყველა პირობა გვქონდა შექმნილი. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ „აზოტს“ ჩინებული სტარტი ჰქონდა და ასე ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან, მაგრამ შემდეგ ამოქმედდა მსაჯების მანქანა და...

— ჯერ პირველ და მეორე შეხვედრაზე ვისაუბოროთ დანარჩენი კი შემდეგ იყოს.

— წინ კიდევ რამდენიმე შეხვედრა იყო ჩასატარებელი და ამიტომ მსაჯებმა ინამუსეს და ობიექტურად იმსაჯებს. ბიჭებმა მშვენივრად ითამაშეს და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ.



ოთარ ხმელიძე

რუსთავის „აზოტი“ ფინალური მატჩის წუთმესვენებაზე

შეკრებაზე „ვითას“ რამდენიმე მატჩი გავარჩიეთ და გადავწყვიტეთ ინდივიდუალური დაცვა გვეთამაშა. ვიცოდით, რომ მეტოქე დიდ ყურადღებას გაამახვილებდა ირაკლი ჯაფარიძის მიმართ, რომელსაც საჯარიმოს გარედანაც მშვენივრად შეუძლია ითამაშოს, ამიტომაც გამოგვყავდა ჯაფარიძე ცენტრიდან გარეთ, ხოლო მის ადგილს მიხეილ ბერუაშვილი იკავებდა. „ვითას“ ყველა კომბინაცია გარჩეული გვქონდა. ჩვენის მხრიდან მეტოქეს ერთი-ორი სიახლე შევთავაზეთ, რომელმაც საბედნიეროდ გაამართლა.

მეორე შეხვედრაშიც ობიექტური მსაჯობა იყო. ეტყობა, „ვითამ“ საფუძვლიანად შეისწავლა პირველი შეხვედრის ვიდეოჩანაწერი და ამჯერად მოედანზე თანაბარი სიტუაცია იყო. საფინალო სირენამდე ძნელი იყო რომელიმე გუნდისათვის მიგენიჭებინა უპირატესობა. საბედნიეროდ ფორტუნამ ჩვენ გაგვიმართლა.

— თქვენ ამბობთ, რომ მხოლოდ „აზოტის“ სასარგებლოდ დამთავრებულ შეხვედრებში იყო ობიექტური მსაჯობა, ხოლო რუსთაველთა მიერ წაგებულ მატჩებში კი — არა. სწორად გავიგე?

— მეოთხე შეხვედრაშიც, როდესაც მოგებათა ანგარიში გათანაბრდა, ობიექტური მსაჯობა იყო. მაშინ „აზოტმა“ ვერ ითამაშა, რადგან ბიჭები ძალზე გადაღლილები იყვნენ და „ვითამაც“ დამსახურებულად გაიმარჯვა.

მესამე და მეხუთე მატჩებში კი, სიტყვებიც არ მყოფნის, მსაჯების მოქმედებას რა ვუწოდო. როგორ შეიძლება კაცს მურმან ქურიძის პროფესიონალიზმში ეჭვი შეეპაროს, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი უმსაჯია ქალთა შორის, მაგრამ მესამე შეხვედრაში, განსაკუთრებით მის მეორე ტაიმში, მისი მოქმედება აშკარად მიკერძოებული იყო.

შესვენებაზე ჩემი ყურით გავიგონე, როგორ თქვა ქურიძემ: დანით მემუქრებიან, დაცვა დამიყენეთ, თორემ თამაშს არ გავაგრძელებო. შემდეგ კი პრესასა და ტელევიზიაში გამოდის და სრულიად საპირისპიროს ამბობს. მაშინ გამოდის, რომ ბატონ მურმანს განზრახ შეუტანია განხეთქილება ჩვენს გუნდში, რომლის კალათბურთელებმაც გაიგეს რაშიც იყო საქმე და მსაჯის ყველა გადაწყვეტილება უკვე ძალაუნებურად საეჭვო გახდა. ისედაც ემოციური „აზოტისათვის“ ნაპერწკალიც კი საკმარისი იყო და ყველას ნერვები აეშალა, მათ შორის მეც.

სტატისტიკის მოყვარულთა ვურჩევ ნახონ რეგულარული ჩემპიონატის ოქმები, სადაც საჯარიმოების სროლაში ჩვენ ყველაზე კარგი შედეგი გვაქვს. აღნიშნულ შეხვედრაში კი ნერვული სტრესის გამო 15 საჯარიმო გავფუჭეთ.

არ მინდა „ვითას“ დამსახურებული გამარჯვება დავუკარგო, მაგრამ ცუდი მსაჯობა რომ არა, მესამე თამაშში ყველაფერი დამთავრდებოდა.

ფედერაციას მხოლოდ შემდეგდა გაახსენდა, რომ მსაჯები ყველასგან იზოლირებულნი და სპეციალურად დაცულნი უნდა იყვნენ, რათა მავანთა გავლენის ქვეშ არ მოექცნენ.

— მეხუთე, გადამწყვეტი მატჩის დასაწყისში „აზოტს“ ყველაფერი გამოსდიოდა. თქვენ კი რატომღაც ანალგაზრდა ჯიმშელეიშვილი ჩართეთ თამაშში.

— მხოლოდ იძულებით. გადაღლილი კალათბურთელები შეცვლას ითხოვდნენ.

— თუ შეიძლებოდა ზონური დაცვის დაშლა, რომელიც მეტოქემ დაგიყენათ და საბოლოოდ საწადელსაც მიაღწია?

— „ვითას“ ზონაში თამაში იძულებითი იყო, რადგან ფარზე ჯაფარიძე და ბერუაშვილი ბატონობდნენ. ჩვენ შევძელით ზონური დაცვის დაშლა, მაგრამ ამჯერად შორიდან სროლები არ წაგვიიდა.

— იმ თამაშებზე, სადაც, თქვენი აზრით ობიექტური მსაჯობა იყო, „ვითას“ წარმომადგენლებს საწინააღმდეგო აზრი ჰქონდათ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დამარცხებული გუნდი ჯობის გადატეხვას მსაჯებზე ცდილობს.

— ძალიან ბევრი დამადასტურებელი ფაქტები მაქვს იმის, რაც ხდებოდა პლეი ოფებისა და საერთოდ ჩემპიონატის ირგვლივ, მაგრამ მე ის კაცი არ ვარ, ავდგე და ყველაფერი გამოვიტანო წინაშე ვთქვა. ბაბილოდან ბოლომდე ყველაფერი დაიმალება და ვინც ძალიან დაინტერესდება, ჩემს გარეშეც გაიგებს.

— „აზოტი“ ემოციებს ვერა და ვერ მოერია და ამის გამო ხშირად ზარალდებოდა...

— ემოციებს ვერც „ვითას“ დაუწუნებს კაცი, მაგრამ რატომღაც ჩვენზე აშახვილებენ ყურადღებას.

ჩემს კალათბურთელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ხშირად ვერც მე ვიკავებ თავს. ვსარგებლობ შემთხვევით და კალათბურთის მოყვარულთ მინდა ბოდიში მოვიხადო ფინალის მეხუთე შეხვედრაში მოედანზე შესვლისა და მსაჯის დავით ბერეკაშვილის შეურაცხყოფის გამო. ნამეტანიც ნუ განმსჯიან ჩემი საქციელისათვის, რადგან კალათბურთს მთელი ჩემი ცხოვრება შევალიე და მინდა შედეგიც მივიღო.

ამ დღეებში კლუბის პრეზიდენტ ბატონ გოგი გოგოლაძესა და ვიცე-პრეზიდენტ სოსო არეშიძესთან გვქონდა შეხვედრა. დაგვამშვიდეს და მკაცრადაც მიგვითითეს, რომ მომავალში დისციპლინის დამრღვევი მკაცრად დაისჯება.

— ჭორის დონეზე გავიგეთ, რომ ხმელიძე რუსეთში გადახვეწილ რუსთაველ მწვრთნელთან ერთად აპირებს მუშაობის გაგრძელებასო...

— ალბათ ვლადიმერ შეხოვცევი გყავთ მხედველობაში. ვოვა ჩემი უახლოესი მეგობარია და დღემდე არ გაგვიწყვეტია ერთმანეთთან ურთიერთობა. რუსეთში ცოლშვილთან ერთად იმყოფება. რუსთავში დაბადებული კაცია და მშობლები ახლაც აქ ჰყავს. ბევრს არ ითხოვს ის კაცი. ბინა აქვს და საარსებო პირობებზეც თანახმაა. ჩემი აზრით, კარგ დუეტს შეკქნით. ვოვა კარგი თეორეტიკოსია, მე კი თავს პრაქტიკოსად ვთვლი.

— მერედა თქვენს გეგმებს რა ელოდება.

— კლუბის ხელმძღვანელობასთან დალაპარაკებაა საჭირო.

— აზოტის ქარხანა კალათბურთელებზე გულს ხომ არ აიცრუებს?

— არა მგონია. შეიძლება ითქვას, რომ გოგი გოგოლაძე უკვე კალათბურთით მოწამლული კაცია. სპორტის სასახლე ხომ გვიქირავა თბილისში. მართალია ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს რუსთავის და საქართველოს კალათბურთის ზეიმი იყო. უნდა გენახათ რუსთავში რა ხდებოდა იმ დღეებში, მთელი ქალაქი კალათბურთით ცოცხლობდა.

პრეზიდენტმა საკალათბურთო დარბაზის ჭერი შეგვირემონტა, იატაკი შეაღებინა, შუქფარს ამონტაჟებენ, დრეკადი კალათები ჩამოიტანეს და ფარების შეძენესაც აპირებენ. უახლოეს მომავალში დაგეგმილია რუსთავში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ვერის ბაღში მდებარე საკალათბურთო დარბაზის ტიპის 2 ათას ადგილიანი დარბაზის მშენებლობა.

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, კორაჩის თასზე ასპარეზობის პრობლემა არ უნდა გქონდეთ.

— ჯერჯერობით არ გადაგვიწყვეტია, მაგრამ მე მგონი ვიასპარეზებთ.

— „ვითასავით“ თქვენც უცხოელის დამატებას ხომ არ აპირებთ?

— უცხოელისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოში კი გვყავს ერითორი მოთამაშე შეგულებული.

— კონკრეტულად ვისზეა საუბარი?

— მაგას ჯერჯერობით ვერ გეტყვით.

— თქვენი აღზრდილის ლევან წიკლაურის შესახებ რას გვეტყვით?

— ლევანი ტაქტიკაში მოისუსტებს, თორემ უდიდესი ტექნიკისა და ფიზიკური მონაცემების კალათბურთელია. მოულოდნელად სეზონის წინ გუნდიდან წასვლა მოითხოვა. მე შევახსენე, რომ იგი გვჭირდებოდა, რადგან სერიოზული გეგმები გვქონდა დასახული. როცა შევატყვე გუნდიდან წასვლა სერიოზულად ჰქონდა გადაწყვეტილი, ხელი აღარ შემიშლია.

ახლა გავიგე, წიკლური „დინამოდან“ წამოსულა. ვლადიმერ ბოისათვის უთქვამს, თუ ოთარი „აზოტში“ არ დამბრუნებს, კალათბურთის თამაშს თავს დავანებებო. მე არ ვთხოვ, მაგრამ თუ თვითონ მოვა, დიდი სიამოვნებით ვთამაშებ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ლევან წიკლაურს ყველა მონაცემები აქვს, კარგი კი არა, დიდი კალათბურთელი გახდეს.

როლანდ ლაგუჩიძე

ჩვენი ადგილი რაგბის ამქარში

დასაწყისი პირველ გვერდზე

ქართველთა შესაძლებლობებს თუ შევაფასებთ, რა თქმა უნდა, ბორჯღალოსნებს საკუთარ სარბიელზე წარმატების მეტი შანსი აქვთ. თუმცა არც ისეა საქმე, სტუმრად ორივე მატჩი დავთმოთ, შინ კი სამივე მოვიგოთ.

ესპანელები პორტუგალიელებზე ძლიერები არიან და ეს მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზეც დადასტურდა. ასე რომ, შანსები მათთან უფრო ნაკლები გვაქვს, ვიდრე პორტუგალიელებთან, რომლთაც თავის დროზე, ორი წლის წინ, უკვე მოახერხეს ქართველთა ძლევა. იმის შემდეგ ჩვენებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თამაშის ხარისხი, რასაც ვერ ვიტყვით პორტუგალიელებზე. ერთი სიტყვით, სტუმრად წარმატების მიღწევა პორტუგალიასთან უფრო იქნება შესაძლებელი, ვიდრე ესპანეთთან.

ჩვენთან ჩამომსვლელთაგან ყველაზე კარგად ქართველები რუმინელებს იცნობენ. ჩვენი ბიჭები ხომ გასულ წლებში არაერთგზის სტუმრებიან ამ ქვეყანას და იქაურ რჩეულ მორაგბეებთანაც უბურთავიათ. B ჯგუფის ფავორიტებად სწორედ რუმინელები მიიჩნევიან და ამდენად მათთან წარმატების მიღწევა ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. ეს ირლანდიაში მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე ქართველ და რუმინელ მორაგბეთა დაპირისპირებამაც დაადასტურა. მაროკოს და ჰოლანდიას რაც შეეხება, ვფიქრობთ, ბორჯღალოსნებს ამ მეტოქეთა ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ.

ასე რომ, ქართველ მორაგბეებს პირველობის თუ არა, სამეულში მოხვედრის შანსი ნამდვილად აქვთ.

2000 წელი ექვსი ერი B ჯგუფის კალენდარი		
	20 თებერვალი	19 მარტი
	საქართველო — მაროკო	საქართველო — ჰოლანდია
	პორტუგალია — ესპანეთი	რუმინეთი — ესპანეთი
	ჰოლანდია — რუმინეთი	პორტუგალია — მაროკო
6 თებერვალი	5 მარტი	2 აპრილი
პორტუგალია — საქართველო	ესპანეთი — საქართველო	საქართველო — რუმინეთი
ესპანეთი — ჰოლანდია	რუმინეთი — პორტუგალია	ჰოლანდია — პორტუგალია
მაროკო — რუმინეთი	მაროკო — ჰოლანდია	ესპანეთი — მაროკო

მეთორმეტე ტური
ანონსი

თბილისი. 10 ივლისი
ლოკომოტივი 1 — ასკ

თბილისი. 11 ივლისი
ლოკომოტივი 2 — ზორდა

ბათუმი. 11 ივლისი
დათვები — უნივერსიტეტი

ამ უქმეებზე გასამართი ეროვნული ჩემპიონატის ტური რიგით მეთორმეტეა და ამავე დროს მესამე — მეორე წრეში. ასე რომ, ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრებამდე მხოლოდ ექვსი ტურია დარჩენილი და საქმეს ისეთი პირი უჩანს, მეოთხე გუნდი, რომელიც „ლოკომოტივი 1"-თან, „ყოჩებთან" და „დათვებთან" ერთად გააგრძელებს ბრძოლას მედლებისთვის, ასკ იქნება. მეოთხე ადგილს არმიელებს ზორდელები ეცილებიან, თუმცა, ვფიქრობთ, „ზორდას" გაუჭირდება არმიელებთან ჩამორჩენის ანაზღაურება.

დღევანდელი მეტოქეები ორი დღის წინაც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ოღონდ ის მატჩი პირველი წრის იყო, რომელიც თავის დროზე მიზეზთა გამო არ ჩატარდა. ფავორიტად, რა თქმა უნდა, „ლოკომოტივი 1" ითვლებოდა. დღემდე დაუმარცხებელ რკინიგზელებს არც არმიელთა ძლევა გასჭირვებია, რომელთათვისაც მთავარ ამოცანას სამი ლელოს გატანა და სპრემიო ქულის მოპოვება წარმოადგენდა. არმიელებმაც მეტოქის რვა ლელოს სამით უპასუხეს და, მართალია, 15:52 დამარცხდნენ, სანუგეშო ქულის მოპოვება შეძლეს. ბუნებრივია, დღევანდელ მატჩშიც ფავორიტებად რკინიგზელები ითვლებიან, ასკ-ს მთავარ ამოცანად კი ისევ სპრემიო ქულის მოპოვება რჩება.

ასკ-ს კონკურენტი „ზორდა" კი მეორე დღეს „ლოკომოტივი 2"-ს ხვდება. დაუმარცხებელ უფროს თანაკლუბელთაგან განსხვავებით, უმცროს რკინიგზელებს მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვთ და მის გაორებას ვერც ხვალ შეძლებენ, რადგან ლეგიონერებით გაძლიერებული „ზორდას" დამარცხება ნამდვილად არ ძალუძთ. ის კი არა, „ზორდას" ძლევა „ლოკომოტივი 1"-საც გაუჭირდა და სპრემიო ქულის გარეშე დარჩა.

ტურის ბოლო, მესამე მატჩი ბათუმში გაიმართება, სადაც „დათვები" უნივერსიტეტს დაუხვდებიან. ამ შეხვედრაშიც ყველაფერი წინასწარვეა ცნობილი — ბათუმელებს არ გაუჭირდებათ მეტოქის ძლევა. საკითხავი ისაა, ამას რა ანგარიშით შეძლებენ.

REUTERS ტანდინიდან

სამხრეთაფრიკელი „ქურციკები" ახალზელანდიელებთან შესაბმელად ემზადებიან

ჰართი შიშოგს. ბიჭებს თავში არ აუვარდეთო

ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრები სამი ერის წლევანდელ გათამაშებას, ტურნირს, რომელიც სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი შეჯიბრია, ფავორიტად იწყებს. 1996 და 1997 წლების გათამაშების გამარჯვებულებმა შარშან ზედიზედ ხუთი მარცხი იწვნიეს და ბოლო, მესამე ადგილზე გავიდნენ. მერე კი წლის ბოლოსთვის დაგეგმილ ევროპულ ტურნირზე უარი თქვეს და დასვენება არჩიეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ნაბიჯმა გაამართლა. დღესდღეობით ახალზელანდიელი მობურთალები შესანიშნავ ფორმაში არიან. ნაკრების მწვრთნელმა ჯონ ჰართმა სამხრეთაფრიკელებთან დღევანდელი მატჩისთვის გუნდში რამდენიმე ცვლილება განახორციელა — უკანა ბეკმა კალენმა და ფრთა ვილსონმა ადგილები გაცვალეს. კვლავ უხმეს ზელანდიელ მთაკაცს ჯონა ლომუს, თუმც მწვრთნელმა იგი გუშინ გამოცხადებულ ძირითად შემადგენლობაში არ დაასახელა. როგორც ჩანს, ჰართი ლომუს ბოლო მეოთხედში მისცემს თავის გამოჩენის შანსს, როგორც ეს სამოასთან შეხვედრაში გააკეთა. გარემარბყოფილ ჯეფ ვილსონის თქმით, შარშანდელი წარუმატებლობა იმით იყო გამოწვეული, რომ ძირითადი შემადგენლობის ათი კაცი მუდმივად ტრავმირებული იყო.

ცოტა ხნის წინ ფავორიტად სამხრეთ აფრიკას მიიჩნევდნენ, თუმცა უელსელებთან მატჩმა ცხადყო, რომ აფრიკელებს მთლად კარგად ვერა აქვთ საქმეები აწყობილი და გუნდი ფავორიტიდან აუტსაიდერად იქცა. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება „ქურციკთა" დამრიგებელი ნიკ მალეტი. მისი აზრით, უელსელებთან მარცხი მოგზაურობით გადაღლისა და მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობის ბრალი იყო.

მწვრთნელის აზრს იზიარებს ნაკრებში დაბრუნებული ანდრე ვემეტი: „ჩვენ ესოდენ ლამპიონები ვართ, „სამეფოს" გამარჯვებულები, ვერ გავიგეთ, რატომ მიაჩნიათ ფავორიტად ახალი ზელანდია, ნუთუ იმიტომ, რომ უელსთან დავმარცხდით? ეს ხომ შემთხვევითობა იყო."

შემთხვევითი იყო ეს, თუ არა, დღევანდელი დაპირისპირება გვიჩვენებს. საამმატჩოდ ვენეერის გარდა ნაკრებს ვეტერანი მარკ ენდრიუსიც დაუბრუნდა. გუნდშია ბრეიტონ პოულსიც, რომელმაც სტეფან ტერბლანში შეცვალა. იგი ერთადერთი ზანგია გუნდში, რის გამოც მალეტს მუდამ აკრიტიკებენ. მწვრთნელი კი თავს იმართლებს — თეთრკანიან მორაგბეთა სათამაშო კლასი ზანგებისას გაცილებით აღემატებაო.

ისე გამოდის, თითქოს ავსტრალიას პირველობის შანსი არა აქვს: რა თქმა უნდა, ასე არ არის, მაგრამ ოზებს საქმეს ის ურთულებს, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მობურთალი ტრავმირებულია. ბუქმეიკერებს თუ ვენდობით, პირველობაზე გამარჯვების ყველაზე მეტი შესაძლებლობა ახალზელანდიელებს აქვთ. კივთა თავკაცი ჯონ ჰართი თავისი გუნდის შეფასებისას ერთობ ფრთხილია... ერთი სიტყვით, ხვალინდელი მატჩი ბევრს გაარკვევს. დღევანდელ მატჩში მეტოქენი ასეთი შემადგენლობით ითამაშებენ:

სამხრეთ აფრიკა: დუ�ი, დროცკე, ვისაჯი, ენდრიუსი, ოტო, კრაიგი, ვენთერი, ტიმანი, ვან ჰოსლინი, დუ ტუა, როსოუ, მულდერი, მიულერი, პოულსი, მონტგომერი.

ახალი ზელანდია: ჰოეფლი, ოლივერი, მიუსი, მაქსველი, ბრუქი, ბლოუერსი, კრონფელდი, რენდელი, მარშალი, მერთენსი, უმაგა, გიბსონი, იერემია, კალენი, ვილსონი.

პაატა თოთაძე

ბიჭები და ცხენები

თბილისის კაპიტონ ნაჭყებიას სახელობის იპოდრომი სამ დღეს მასპინძლობდა საქართველოს ჭაბუკთა პირად-გუნდურ პირველობას ცხენოსნობაში. შეჯიბრებაში ფოთის, განათლების სკოლის, შინაგანი ჯარისა და იპოდრომის „ჟოკეი-კლუბის" 15 მხედარი მონაწილეობდა.

ბადრი ქუთელაძის ფოტო

გიორგი სამხარაძე და მისი „პაგი"

პირველი ორი დღე ორჭიდს დაეთმო. მასში სამანეჟო სვლა და დაბრკოლებათა გადალახვა შედის. აქ თავისი „ტიგრი" ყველაზე უკეთ შინაგანი ჯარების მხედარმა — გოჩა გიორგობიანმა ატარა-ახტუნავა. მეორე ადგილზე განათლების სკოლის მხედარი ლევან ფანცულაია გავიდა, მესამეზე — ფოთელი დენის ციგანკოვი.

მომდევნო ორი დღეც დაბრკოლებათა გადალახვისა იყო. „გახსნის პრიზზე" მხედრებს ერთი ცდა ჰქონდათ, რომელიც უშეცდომოდ სამმა განვლო. ამიტომ გამარჯვებულის გამოსავლენად მათში დამატებითი სტარტი დაინიშნა. ამ სამეულში ყურადღებას „ჟოკეი-კლუბის" მხედარი გიორგი სამხარაძე და მისი „პაგი" იპყრობდნენ, რადგან ცოტა ხნის წინ საქართველოს აბსოლუტური პირველობა მოიგეს. აქ ბევრი რამ ცხენზეცაა დამოკიდებული, მაგრამ ამჯერად რომ ვერ მოიპოვეს ჩემპიონობა, ამაში „პაგი" ნამდვილად უდანაშაულოა. ის მეორე ცდისას თორმეტიდან ექვსამდე შემცირებული დაბრკოლებებიდან პირველ ხუთს ისე თავისუფლად გადაახტა, ეტყობა, მხედარს ზედმეტი თავდაჯერება შესძინა. წინ ხომ მხოლოდ ერთი ძალიან იოლი დაბრკოლება იყო. გიორგიმაც მთელი სისწრაფით მიაგდო ცხენი ბარიერს, სადავეების აკრეფაც დააგვიანდა და „პაგიმაც" მას გვერდი უქცია. განმეორებით ცდაზე უპრობლემოდ კი გადახტა, მაგრამ იმ შეცდომისთვის 3 ქულით დაჯარიმდა. ამ დროს განათლების სკოლის მხედარ ირაკლი მარკოზაშვილს და მის „სადახლოს" 4 საჯარიმო ქულა ჰქონდათ. სამაგიეროდ, იმავე სკოლის მხედარმა ლევან ფანცულაიამ უშეცდომოდ ახტუნავა თავისი „სტიხი" და თასიც მოიპოვა.

შეჯიბრების ბოლო დღეს სამხარაძემ „ჭაბუკების თასზე" მაინც გაიმარჯვა, თუმცა ისევ დამატებითი ცდის შემდეგ. ამჯერად მას შინაგანი ჯარის სახელით მოასპარეზე ოჩამჩირელი ირაკლი ნარმანია ეპაექრებოდა. სამხარაძემ დამატებითი ეტაპიც უშეცდომოდ გაიარა და მეტოქის შედეგს დაელოდა, ამ უკანასკნელმა კი ასპარეზობა დრამატულად დაასრულა — ურთულეს, სამეტაპოვან მეოთხე ბარიერს მისი „ლევანი" ზედ შეასკდა, ბარიერიც წააქცია და თვითონაც დაეცა. ირაკლიმ გადმოხტომა მოასწრო და მეორე ადგილს დასჯერდა. მესამეზე მარკოზაშვილი გავიდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: შინაგანი ჯარი — 193,5 ქულა, განათლების სკოლა — 136,16; „ჟოკეი-ლუბი" — 80,33; ფოთი — 80

აგვისტოში ნავარაუდევია საქართველოს პირველობის ჩატარება ეროვნულ სახეობებში, თუ, რა თქმა უნდა, ცხენოსნობის ფედერაციამ ფული იშოვა. ამ საქმეში კი სპონსორების იმედი აქვთ, რადგან დეპარტამენტი ცხენოსნობას (რომელშიც ეს ეროვნული სახეობები შედის) საერთოდ არ აფინანსებს. გვესმის, რომ ეს არაა ოლიმპიური სახეობა, მაგრამ ჩვენს ეროვნულს თუ ჩვენვე არ მივხედეთ და დავიწყებას არ გადავარჩინეთ, უცხოელებს მისი ბედი საერთოდ არ ანაღვლებთ.

ირაკლი თავაძე



ბადრი ქუთელაძის ფოტო

თბილისის იპოდრომზე თვალმისასვლელი სხვაც არაერთია, აი, თუნდაც ცხენზე ამხედრებული ეს ლამაზმანი

სოფელი, ჩოგბურთი და დოპინგი

გშტაადი.
შვეიცარიის ღია პირველობა.
თიხნარი.საპრიზო 550 ათასი $

სოფელი

სოფელი გშტაადს მხოლოდ ფორმალურად შეიძლება დავარქვათ, რადგან ამ 3000 კაციანი შვეიცარიული დასახლების მსგავს ადგილს სხვაგან, ალბათ, ვერსად ნახავთ.

ზღვის დონიდან 1050 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სამთო კურორტი ზამთარ-ზაფხულ დაუძლეველად იზიდავს ათასი ჯურისა და სიდიდის ვარსკვლავს — ელიზაბეტ ტეილორს, როჯერ მურს, მაიკლ ჯექსონს, ჯული ენდრიუსს, ასევე სხვადასხვა სამეფო ოჯახების წარმომადგენლებს.

ატმოსფერო კი აქ მართლაც გამორჩეულია: კარტიესა და ძვირფასეულობების გვერდით შვეიცარიელი გლეხები დიდი დეკორატიული ეუნნებით დამშვენებულ საქონელს დაატარებენ. სახლები უკლებლივ ეროვნული არქიტექტურითაა ნაგები, რადგან კანონი აქ კლასიკური ხის ვილების აგების გარდა ყველაფერს კრძალავს.

ის კი არა, გშტაადში სპორტულ მანქანებსა და ლიმუზინებსაც ვერსად შეხვდებით, დასახლების ცენტრალურ ქუჩაზე მხოლოდ ფეხის მოსიარულეებს შეუძლიათ გავლა. რამდენიმე წლის წინ მთავრობამ, როგორც იქნა, მრავალმილიონიანი პროექტი დაიფინანსა და ახლა სოფლის ქვეშ კილომეტრიანი გვირაბი გადის, რომელიც მკვიდრებსა და ჩამოსულთ ხმაურსა და გამონაბოლქვს სრულიად აცილებს თავიდან.

ბუნებრივია, ჩოგბურთელები იქ სიამოვნებით ჩადიან. რამდენიმე წლის წინ, როდესაც მანქანებით გრიალი გშტაადის ქუჩებში ჯერაც არ იყო აკრძალული, ევგენი კაფელნიკოვი და ანდრეი მედვედევი აქ თავიანთი „ფერარებით" გამოცხადდნენ გერმანიიდან და ერთი ორჯერ ხუმრობით გაეჯიბრნენ კიდეც ერთმანეთს.

შარშან ბორის ბეკერი ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩავიდა მეუღლე ბარბარასა და ვაჟიშვილ ნოასთან ერთად, რათა მთელი ოჯახით გემოზე დაესვენა. ლეგენდარული ავსტრალიელი როი ემერსონი, პირველობის ხუთგზის ჩემპიონი, ყოველ ზაფხულს ჩოგბურთის საზაფხულო სკოლას აწყობს.

ორგანიზატორები ჩოგბურთელებს ოთხვარსკვლავიან სასტუმროს ახვედრებენ, გასართობად კი, გოლფის მოედნიდან დაწყებული, საჰაერო ბურთით გასეირნებით დამთავრებული, ათას რამეს სთავაზობენ.

ჩოგბურთი

წლევანდელ ტურნირს ვარსკვლავების მხრივ არც ისე გაუმართლა: მეოთხედფინალს პირველი ოთხი განთესილიდან ერთმაც კი ვერ უწია.



მარსელო რიოსი

პირველ წრეშივე გამოეთიშნენ ასპარეზობას მეორედ და მეოთხედ განთესილები — ალექს კორეტხა და გრეგ რუზეიკი.

ესპანელმა, რომელმაც დასასვენებლად და უცნაური ვირუსისგან საბოლოოდ გამოსაჯანმრთელებლად ბოლო ხუთი კვირა გამოტოვა, ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტისთან მატჩის პირველივე სეტში მუცლის კუნთი დაიჭიმა და თამაში ვეღარ გააგრძელა.

ტურნირის დებიუტანტი რუზეიკი გშტაადში საცოლე ლუსი კონორთან ერთად გამოცხადდა და ჩოგბურთის გარეშეც საკმაო საქმეები ჰქონდა — სატელევიზიო გადაღებებში მონაწილეობდა. ერთ დღეს კამერებით გარშემოტყმულმა გრეგმა მახლობელ მთაზე გაისეირნა ველოსიპედით და ულამაზესი პეიზაჟის ფონზე მოწოდებებში გაიავარჯიშა: ბურთები მწვერვალიდან პირდაპირ ვაკეში გაუშვა.

ბევრი ელოდა, რომ ასეთი სიმაღლის ხელშეწყობით ინგლისელი თავისივე მსოფლიოს თუ არა, ტურნირის რეკორდს მაინც გაუმჯობესებდა მოწოდების სიჩქარეში, მაგრამ მას ხეირიანი იერიშიც კი არ დასცალდა — 19 ეისის მოწოდების მიუხედავად, მასპინძელ მარკ როსესთან წააგო — 6:7 (2:7), 7:6 (7:4), 2:6.

„ეს შესანიშნავი ადგილია. სამწუხაროა, რომ მეტხანს ვერ დავრჩები, მაგრამ გაისად აუცილებლად დავბრუნდები" — განაცხადა ექსკანადელმა, რომელიც ზედიზედ რამდენიმე კვირიანი სატურნირო მარათონის შემდეგ ახლა ხანგრძლივ არდადეგებს მოიწყობს.

მერვედფინალში მოუხდათ აბარგება თიხნარის ოსტატებს — გუსტავო კუერტენსა (1) და მარსელო რიოსს (3).

კუერტენს ATP ტურის ყველაზე ანომალურმა ჩოგბურთელმა ვინსენტ სპედეამ მოუგო 6:2, 2:6, 7:6 (8:6). ანომალიურმა იმიტომ, რომ 24 წლის ამერიკელმა წლეულს საუკეთესო ათეულის წარმომადგენლებთან ექვსივე პირად შეხვედრაში იმარჯვა, მაგრამ ამავე დროს აპრილ-ივნისში ხუთი მატჩი პირველ ასეულს მიღმა მყოფ ბედოვლათებთან დათმო.

„არ ვიცი, ალბათ, ძლიერ ჩოგბურთელებთან უფრო ყურადღებით ვირჯები და თამაშიც მიიოლდება. როდესაც „გუსტავოსთანა მოთამაშეს დაამარცხებ, თავს ისე გრძნობ, თითქოს ყველაფერი შეგიძლია".

ბარძაყის ტრავმის გამო როლან გაროსის შემდეგ უთამაშებელმა და ორიოდ კვირის წინ საცოლეგაქცეულმა რიოსმა გშტაადში პირველი წრის მატჩიც რის ვაი-ვაგლახით მოიგო, ამჯერად კი ზორბა მაროკოელ იუნეს ელ აინაუის ვერაფერი მოუხერხა 6:7 (5:7), 6:7 (5:7).

„ვგრძნობდი, რომ მარსელო საუკეთესო ფორმაში არ იყო, რაც აუცილებლად უნდა გამომეყენებინა. ზოგჯერ საკუთარ თავზე გადახტომაც შემიძლია" — აღნიშნა მოგვიანებით აინაუიმ.

მერვედფინალი: ფელიქს მანტია (5, ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:2, 6:0; ფრანსისკო კლავეტი (6, ესპანეთი) — დონალდ ჯონსონი (აშშ) 6:4, 6:4; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — მარიანო ზაბალეტა (7, არგენტინა) 6:7 (5:7), 7:6 (7:4), 6:3; ბრნო დი პასკალი (საფრანგეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:5, 7:6 (7:3); ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 6:4, 2:6, 6:3; ალბერტ კოსტა (8, ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:7 (3:7), 6:1, 7:5.

დოპინგი

სად დოპინგ-სკანდალი და სად წყნარი გშტაადი, მაგრამ სამშაბათს ტურნირის ბურჟუაზიული სიმშვიდე ერთმა დაუპატიჟებელმა და აშკარად არასასურველმა სტუმარმა დაარღვია.

ტურნირზე მოულოდნელად შვეიცარიის ოლიმპიური კომიტეტის (SOC) ეული წარმომადგენელი გამოცხადდა ასევე ეული ჩემოდნით და მასპინძელი ჩოგბურთელების შემოწმება მოინდომა. სულ კი პირველობაზე ოთხი შვეიცარიელი ასპარეზობდა — ზემოხსენებული როსე, როჯერ ფედერერი, ლორენცო მანტა და გეორგ ბასტლი.

ტურნირის დირექტორი, ჟაკ ერმანჟა არ დაბნეულა: „ჩვენ ის საკმაოდ თბილად მივიღეთ და ვუთხარით, რომ ATP-ის საკუთარი სისტემაც ჰქონდა და არავის დახმარება არ გვჭირდებოდა. მან უფროსებს დაურეკა და ყველაფერი აუხსნა, მერე ვასადილეთ, ჩოგბურთელების ბროშურა და წესების წიგნი მივეცით და უკან გავაბრუნეთ".

ორგანიზატორთა ზრდილობიანმა ქცევამ და განცხადებამ, წინასწარ რომ შეგეტყობინებინათ, იქნებ დაგთანმხდებოდით კიდეცო, SOC-ის დოპინგ-კონტროლის სამსახურის ბოსის, ფრედ ერნსტის გულისწყრომა გამოიწვია: „კანონით ჩვენ გვაქვს უფლება, ნებისმიერი შვეიცარიელი სპორტსმენი მაშინ შევამოწმოთ, როცა გაგვიხარდება. თუ წინასწარ შევატყობინეთ, რომ მივდივართ, მაშინ ტესტს რაღა აზრი აქვს, მთავარი ხომ მოულოდნელობაა".

პასუხი არც მეორე მხრიდან დაუგვიანებიათ.

„ტურნირი ჩვენი სანქციონირებულია და ჩვენივე კანონებს ემორჩილება. ასე ნებისმიერმა ადგილობრივმა კლუბმა შეიძლება მოგვთხოვოს შემოწმების უფლება. ჩვენი პროგრამა საკმარისია, ტესტირება კი — საუკეთესო მსოფლიოში" — განაცხადა ATP-ის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა ზელიკო ფრანულოვიჩმა.

„როდესაც ტურზე ტარდება ტესტები, ყველაფერი მაღალ დონეზეა: უსაფრთხოება, მოთამაშეთა ესკორტი. აქ კი რაღაც კუსტარულ პირობებში უნდა მომხდარიყო შემოწმება — ერთი ჯენტლმენი, ერთი ჩანთა" — დააყოლა თავის მხრივ დემანჟამ.

თუმცა SOC მაინც დაიმუქრა, ზომებს მივიღებთ, რომ მსგავსი რამ არასოდეს განმეორდესო. ვნახოთ.

ავთანდილ სვანიძე

ვინსენტ სპედეა

F1

ეშვრეშ ერაპი **ბრიტანეთის დიდი პრიზი**

სილვერსტოუნი

ლონდონი, 11 ივლისი — „ლიტერატურული საქართველო"



ტრასის სიგრძე . . . . . 5.138 კმ
რბოლის დისტანცია . . . . . 60 წრე — 308.296 კმ

რბოლა დაიწყება ადგილობრივი დროით 17.00 საათზე

შარშანდელი შედეგები

1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ჰაკინენი (მაკლარენი); 3. ირვინი (ფერარი); 4. ვურცი (बენეტონი); 5. ფიზიკელა (बენეტონი) 6. რ. შუმახერი (ჯორდინი)

კვალიფიკაცია ჰაკინენი (მაკლარენი) 1:23.271

წინა წლების გამარჯვებულები

1991 — მენსელი (უილიამსი); 1992 — მენსელი (უილიამსი); 1993 — პროსტი (უილიამსი); 1994 — ჰილი (უილიამსი); 1995 — ჰერბერტი (बენეტონი); 1996 — ვილნევი (უილიამსი); 1997 — ვილნევი (უილიამსი); 1998 — მ. შუმახერი (ფერარი)

რეკორდები

ტრასის რეკორდი . . . მ.შუმახერი 1:24.475 (ფერარი, 1997)
პოულის რეკორდი . . . . ვილნევი 1:21.598 (უილიმსი, 1997)

ფერარი ახალი იარაღით იმუქრება



REUTERS ლონდონიდან

სილვერსტოუნზე ხვალინდელი რბოლით დეიმონ ჰილი ფორმულას დაემშვიდობება

დაძაბულობა ფორმულა 1 ტრასებზე ყოველი ეტაპის შემდეგ მატულობს. ჩათავდა შვიდი გრან პრი, გარკვეული კი არაფერი არ არის. კონსტრუქტორთა თასზე ლიდერობს „ფერარი" (მ. შუმახერი — ირვინი), მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის კი ჰაკინენი ჯერჯერობით რვა ქულას უგებს შუმახერს. სავარაუდოა, რომ „მაკლარენ" — „ფერარის" დუელი სეზონის ბოლომდე არ დაკარგავს მომხიბვლელობას.

ინტერესი კიდევ უფრო გაღვივდა მას შემდეგ, რაც „ფერარიმ," როგორც იქნა, გადაწყვიტა რბოლაში ახალი ძრავის გამოყენება. აქამდე 048B-ს კანადასა და საფრანგეთში მხოლოდ შუმახერის ბოლიდზე ცდიდნენ და ისიც მხოლოდ კვალიფიკაციაზე. ახალი ძრავა V 10 გაცილებით მსუბუქია და 15 ცხენის ძალით უფრო ძლიერია, ვიდრე მისი ძველი ვერსია.

საფიქრებელია, რომ ამ გადაწყვეტილების კატალიზატორად ერთი, არც თუ უმნიშვნელო ფაქტორი იქცა: სილვერსტოუნის ტრასა „მაკლარენს" უფრო უხდება ვიდრე „ფერარის" და იტალიურ გუნდს უეჭველი წაგება ელოდა. ცხადია, ავდარი ვითარებას შეცვლიდა, მაგრამ „ფერარის" ხელმძღვანელობამ როგორც ჩანს წვიმის იმედად დარჩენა არ ისურვა.

მიხაელ შუმახერის თქმით, ძრავამ წარმატებით გაიარა ტესტები წინა კვირას. „ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. ყველაფერი კარგად, თავისი გზით მიდის, რაც მრავალრიცხოვანმა ტესტებმაც დაადასტურა. ამ ძრავით გავიარეთ რბოლის მთლიანი დისტანცია. რა თქმა უნდა, სილვერსტოუნის ტრასა ჩვენს უშუალო მეტოქეს „მაკლარენს" უფრო უნდა აძლევდეს ხელს, მაგრამ ეს სულაც არ ანელებს ჩვენს, კიდევ გავიმეორებ, ოპტიმიზმსა და ენთუზიაზმს. V 10-ის ახალი ვერსია მიახლოებითი გაანგარიშებით ყოველ წრეზე 0,2 წამის ეკონომიას მოგვცემს."

დღეს სილვერსტოუნში კვალიფიკაციაზე, ხვალ კი რბოლაში ალბათ გამოჩნდება რა „ფერისაა" და მართლა საშიშია თუ არა „ფერარის" ახალი იარაღი.

მაიკლ ბერკოვიცის რჩეული საკრივო ფურცლები



თეთრცელი ოცდამეცხრამეტე

შელბი, ჩაშლილი ლას ვეგასი

შელბი პატარა ქალაქია მონტანას შტატში. იქ სულ სამიათასორასი მოსახლე ცხოვრობს და ეს მცირე რიცხვიც ყოველწლიურად კლებულობს. მონტანას ეს რეგიონი სასოფლო-სამეურნეო ალაგია, პატარა ქალაქებს აქ დიდი რაიმე პერსპექტივა არა აქვთ. შელბიში ცხოვრებას რანჩოებზე საქმიანობა სჯობს.

ახლა აღარავის ახსოვს, რომ სამოცდაცამეტი წლის წინ, 4 ივლისს, ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს, შელბიმ თავისი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი შეავსო. ამ დღეს, 1923 წლის ზაფხულში, შელბიში საგანგებოდ მოწყობილ არენაზე, ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ძმიმეწონოსანი ჩემპიონი ჯეკ დემპსი და პრეტენდენტი ტომი გიბონსი.

ასეა. ჩიკაგო და სან ფრანცისკო ხანძრების თარიღს ზეიმობენ, ნიუ იორკში დიტრიხ ნიკერბაკერის დაბადების დღეს აღნიშნავენ. შელბიში აღსანიშნავი სწორედ ეს ბრძოლაა და მეტი არაფერი.

დიდი კრივის საქმოსნები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ რომელიმე ახირებულ ადგილას გაემართათ ბრძოლები. ასეთი იყო ძველი საკრივო ტრადიცია. ქალაქი, რომელსაც ამოირჩევდნენ ეგებ პატარაც ყოფილიყო, მაგრამ რაღაცით უნდა გამოერჩიათ. ვთქვათ, გარემოებათა გამო, რომელიმე პატარა ქალაქი დიდ სარკინიგზო კვანძად უნდა ქცეულიყო. ან კიდევ, რაღაც ბუნებრივი ფაქტორით, ან ინვესტიციით. ამ ქალაქში ეკონომიკური ბუმის ნიშანი ყოფილიყო. ვთქვათ, გარშემო აღმოჩენილი ქვანახშირის ან ოქროს საბადოები, ანდა მშენებარე სარწყავი სისტემები და დიდი სამრეწველო ქარხნები...

შელბი?

დიახ, მოგახსენებთ. 1922 წელს შელბის შორიახლოს, სანბარსტის მინდორზე ბურღი დასცეს და მიწიდან ნავთობმა იხეთქა. ამ დროს შელბი წარმოადგენდა თქვენს მიერ ვესთერნებში არაერთგზის ნანახი მტვრიანი ქალაქების გვიანდელ რეპროდუქციას. აქ სულ ასამდე კომლი ცხოვრობდა. მეძროხენი, ცხვრის მკრეჭელები, ჭუჭყიანი ფერმერები. უახლოესი ქალაქი გრეით ფოლსი 50 მილში მდებარეობდა. გრეით ფოლსის მოსახლეობა ოცათას კაცს უწევდა.

შელბი ჩუმი და მტვრიანი ალაგი იყო. პარასკევობით, ხელფასის გაცემით ფხიზლდებოდა ხოლმე, როცა ბიჭები რანჩოებიდან დაბრუნდებოდნენ და უიქ ენდს ხმაურსა და სმაში გაატარებდნენ. ყველაზე დიდი ხმაური კი პირველი მსოფლიო ომის დროს იყო, როცა შელბიელი ახალგაზრდები ევროპის ფრონტებზე გაიწვიეს.

მაგრამ სურათი შეიცვალა სწორედ რომ იმ 1922 წელს. შელბის ჩრდილოეთით რომ ბურღი დასცეს. ქალაქის მოსახლეობა ერთ ღამეში გაორმაგდა. ბუშტი იბერებოდა და იბერებოდა. ნავთობი ხომ ნიშნავს დიდ ხმაურს, დიდ ფულს და მრავალ სამუშაო ადგილს? ჰოდა, შელბიმაც გამოიღვიძა... ოცნების ბუშტი წელიწადნახევარში გასკდა, როცა სანბარსტეს მინდორზე ნავთობმა ჯერკლო, მერე სულ გაქრა.

თუმცა მანამდე...

ლოი მოლუმბიმ, შტატის ამერიკული ლეგიონის კომანდორმა და შელბის გამოღვიძების დიდმა მეცადინემ გადაწყვიტა, შელბური ნავთობის გვარიანად გასახმაურებლად მტვრიან დაბას საერთო ამერიკული სანახაობა სჭირდებოდა. ისეთი რამ, რაც შელბის ამერიკის რუკაზე გამოაჩენდა. რატომ უნდა ყოფილიყო ჩრდილოდასავლეთის სარკინიგზო კვანძის ადგილად გრეით ფოლსი? შელბი არ სჯობდა? მოლუმბიმ „წამყვან მოქალაქეთა“ საბჭო შექმნა და მათვე გადაწყვიტეს: რა გაახმიანებს ჩვენს შელბის და მძიმეწონოსან მოკრივეთა მატჩიო. ჩემპიონად ვინ არისო და ჯეკ დემპსიო. ჯეკი 1917 წლიდან ჩემპიონია და ცოტას ჩხუბობსო. მაგრამ, თავის განთქმულ მატჩში ფრანგ ჟორჟ კარპანტიენსთან სამასი ათასი დოლარი მოითხოვა და აიღო კიდეცო.

საიდან ამდენი ფულიო და ოღონდ ჩემპი მოვიტყუოთ და მთელი რეგიონის ბობოლებს გამოვთხოვოთო, თქვა მოლუმბიმ.

ასე გადაწყდა და ლოიმ დემპსის მენეჯერის, ჯეკ კერნისის ძებნა დაიწყო. ტელეფონით წაასწრო ჩიკაგოს „მორისონ ჰოტელში“.

მე ესა და ეს ვარო, კომანდორიო, არის ფული და არის იდეები, ბევრი ვიფიქრეთ და ჯეკს მოწინააღმდეგე ტომი გიბონსი შევურჩიეთო. ტომი გიბონსიო?.. ის კი არ იყო, ძაან მაგარი იყო ეს ტომი გიბონსი. ალბათ საუკეთესო და ალბათ ერთადერთი, ვისაც დემპსისთვის ტიტულის წართმევა შეეძლო.

„ეს სერიოზული ბრძოლა გამოდის,“ — უთხრა კერნსმა — „ამიტომ გადახდა მოგიწევთ“.

„ფული პრობლემა არ არის. რამდენსაც მოითხოვთ.“

და მორიგდნენ: ასი ათასი ხვალვე, ასი ათასი ბრძოლამდე ორი თვით ადრე, ასიც — შელბიში ჩასვლისთანავე.

მოლუმბი ნიუ იორკში გაქანდა ასი ათასი ჩასატანად, კერნსმა კი უთხრა: „თუ ბრძოლა ჩაიშალა, ეს ფული მაინც ჩვენ გვრჩება“ ლოუ ყველაფერზე თანახმა იყო.

ტომი გიბონსი კი ვერ იყო ხასიათზე. მომგები ვარ და მის მესამედსაც არ მიხდითო, მაგრამ

დემპსიმ მაინც აჯობა შავნიფხვიან გიბონსს



შელბის არენა — კოვბოების ფულით ნაშენები ერთდღიანი ნაგებობა.



ნიუ იორკის ტაიმს სკვერზე კრივის ქომაგები შელბური ბრძოლის შედეგის გამოცხადებას ელიან. ამ ხალხს მატარებელში ჩაჯდომა და შორეულ მონტანაში გამგზავრება დაეზარა

თავისმა მენეჯერმა ედი კეინმა დაიყაბულა. მერე რეფერიზე ატყდნენ. კეინმა მინიაპოლისელი პრომოუტერი მაიკ კოლინზი წამოაყენა, მაგრამ კერნსმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. გინდა თუ არა, ნიუ იორკელი ჯიმი დოჰერტი უნდა ვამსაჯოთო. გასაგები იყო: თავისი ტერიტორიიდან უნდოდა რეფერი. გიბონსი დასავლელია, შინაური კაცი მონტანასთვის, ფული დასავლეთისაა და რეფერი ხომ მაინც უნდა იყოს აღმოსავლეთშიო.

ამასობაში კი შელბიში მზადება დაიწყეს და აღმოაჩინეს, რომ ხარჯი დიდია ჯიბე კი ვიწრო.

ორმოციათასიანი ღია ცისქვეშა არენის აშენებას გვარიანი ფული უნდოდა. უნდა დანიშნულიყო სპეციალური ქომაგთა მატარებლები ნიუ იორკიდან, ბოსტონიდან, დეტროიტიდან, კალიფორნიიდან. ჩამოვიდოდნენ კრივზე მწერლები, რადიოს ხალხი... შელბიში კი ერთადერთი ჭრიალაკიბიანი სასტუმრო იყო. ამ სირთულეებმა ნიუიორკულ გაზეთებშიც იპოვეს ადგილი. და დემპსიმ იფიქრა, ასი ათასს დამაჯერებენო.

ამიტომაც, ჯეკი ნიუიორკელ პრომოუტერ ტექს რიკარდს დაუკავშირდა და ამანაც ბრძოლის ნიუ იორკში გადმოტანაზე დაიწყო ჩალიჩი. ლუიმ ეს შეიტყო და ნიუ იორკში გაქანდა: „თქვენ აღარ აპირებთ შელბიში ჩხუბს?“

და ამერიკის ლეგიონი ამუშავდა. მან მოქალაქეებსა და შეძლებულ ხალხს ფული მოსთხოვა. ასე ვთქვათ, შემოგვწირეთო, ანუ შევაწვერეთო. ეს ყველაფერი შელბისთვის კეთდებაო.

ამასთან მოლუმბიმ, კერნსსა და დემპსის სთხოვას, ეგებ ჩამოხვიდეთ შელბიში, მცირე სარეკლამო შეხვედრა გავმართოთ სპონსორ ხალხთან ასე უფრო მოგვეხმარებითო. ისინიც დათანხმდნენ და დემპსის პირადი ვაგონით შელბის ჩავიდნენ. ლოიმ ისინი „რეინბოუ ჰოტელში“ მიიწვია.

მერე კერნსი იგონებდა, დეზებიანი ჩექმებისა და რევოლვერების მეტი არაფერი დამინახავსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემპსი და კერნსი ლოისთან შეთანხმების შემდეგ

ამაღელვებელი ტექსტი კი იცოცხლეთ გამოცხო, გიბონსი უძლიერესია მსოფლიოში, დიადი ჩხუბის მოწმენი ხდებითო, შელბი ამერიკის სკრივო დედაქალაქი გახდებაო.

მოკლედ, კოვბოები დარწმუნდნენ და ფულიც ნელ-ნელა გაჩნდა. თუმცა, მერე კვლავ პრობლემები გაჩნდა, რადგან ნიუ იორკში მხოლოდ თანხის ნახევარი ჩაიტანა. მოლუმბის ძმაკაცმა ვექილმა ფრენკ უოკერმა. კერნსმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ასე, ჩხუბი არ შედგებაო. და უოკერმა უთხრა ისტორიული სიტყვები: „ჩვენ მონტანიდან ვართ, შვილო. მონტანაში შენისთანა ბიჭებს დუჟინ-დუჟინ ჰკიდებენ ხეებზე“. კერნსი დაწყნარდა, მითუმეტეს, რომ მოლუმბის ოცმა ძმაკაცმა ხუთ-ხუთი ათასი დადო და ასიათასი შეგროვდა.

ამასობაში კი ტომი გიბონსი შელბიში, მშენებარე არენის ახლოს დასახლდა ნაქირავებ ბინაში და იქაურების ფავორიტად იქცა. დემპსის ერთი ღამეც არ გაუთევია ამ ქალაქში, მზე რომ ჩავა ვერსად გაერთობიო და საწვრთნელი ბანაკი გრეით ფოლსში დასცა, სადაც კერნსმა ერთდროულად იქირავა ბინა, დარბაზი და ბარი.

კერნსი კიდევ ერთხელ ჩავიდა შელბიში ფულზე და როცა მას შეძლებისდაგვარად გაუსწორეს ანგარიში, ქალაქში მხოლოდ ოცდახუთი ცენტი დარჩა. არა მხოლოდ ქალაქში, მთელს რეგიონშიც, ყველა ჯიბე რომ ამოგეტრიალებინა, დოლარს ვერ შეაგროვებდი. კერნსი ამბობდა, მთელს ფულს ბრძოლის ბოლომდე გავაკონტროლებო, მოლუმბი კი მთელი ამერიკიდან ელოდა მაყურებელს, რომელიც რა დასამალია და არ ჩანდა. შელბელთა საბჭომ იფიქრა და ასეთ ბრძოლებზე ბილეთის მიღებული ფასი, ოცი დოლარი ორმოცდაათამდე გაზარდა. მოლუმბიმ საგადასახადო დეპარტამენტიც კი დაარწმუნა, მთავრობას ეს უფრო უნდა აწყობდესო. მაგრამ კერნსის ნიუ იორკული სააგენტო თავის წილ ბილეთებს ათ დოლარად ყიდდა. მოქნილი მენეჯერი მცირე გადასახადით მეტ ნაღდ ფულს იგდებდა ხელში. მას მრავალი უპირატესობა გამოსტყუა ლოუს და მის თოფიან ბიჭებს.

ბრძოლა?

შედგა. ის რომ ნიუ იორკში გაემართა ტექს რიკარდს, ძალიან დიდ შერკინებად დარჩებოდა ისტორიაში.

პირველი ხუთი რაუნდი გიბონსისა იყო, ჯამში კი დემპსიმ მოიგო მსაჯთა გადაწყვეტილებით. ამის თხრობა საინტერესო არ უნდა იყოს. ბრძოლა რომ დასრულდა, კერნსი ორი მცველის თანხლებით ჩაჯდა მანქანაში, ნაღდი ფულით გაჭედილი საკვოიაჟი მუხლებზე დაიდო და გრეით ფოლსში წავიდა.

ასეა, ნიუ იორკელმა მენეჯერმა კაი ფული იშოვა და დასავლელი ქაჯები თავიანთ მტვრიან ქალაქში დატოვა.

შელბი ვერ იქცა საკრივო ალაგად. ნავთობმა იკლო და წლისთავზე საერთოდ დაწყდა.

მაგრამ ყველაზე კარგი ლოუ მოლუმბის სიტყვები იყო. ბრძოლა რომ გასრულდა კომანდორი თავისიანებს მოუბრუნდა და უთხრა: „კარგი, ძმებო, მშვენიერი ბრძოლა ვნახეთ. ახლა კი, ვინ მასესხებს სადალაქოში შესასვლელ ფულს? სამი დღეა არ გამიპარსავს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 LE TOUR DE FRANCE

ტომს ჩამოართვეს, ჩიპოს მიართვეს

„ჩემს უკან რა მოხდა, არ შემიმჩნევია. ამ გაუგებრობისას, მე უკვე გაოცებული ვიყავი. ფინიშამდე 250 მეტრამდე მიმიყვანა და მერე დამითმო ზა. სტეელსი დიდი სპრინტერია და ალბად პატივსაც ვცემ, მაგრამ ასეთი რამეები ხშირად მოსდის. ვფიქრობ, რომ დისკვალიფიკაცია სამართლიანი იყო“ — თქვა მარიო ჩიპოლინიმ, რომელმაც მეექვსე ეტაპი მეორე ადგილზე დაამთავრა, მაგრამ ჟიურის გადაწყვეტილებით რამდენიმე წუთის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადდა.

ფინიშის ხაზი კი პირველმა ბელგიელმა ტომ სტეელსმა (მაპეი) გადაკვეთა, მაგრამ „ტურ დე ფრანსის“ მსაჯებმა ჩათვალეს, რომ მან სპრინტისას სლოვაკ იან სვორადას ხელი შეუშალა და მისი დისკვალიფიკაციაც ამან გამოიწვია.

„სპრინტისას, როცა 70 კმ/სთ სიჩქარით მივქრივართ, ასე მოქცევა მეტად სახიფათოა. გაიხსენეთ, ამასწინათ „კატალონიის ტურისას“ ესპანელი სანრემა წაიქცა და სიცოცხლესაც გამოესალმა“ — განაცხადა „ჩიპომ“ ჟურნალისტებთან საუბრისას.

პკარდიიდან ნორისკენ მიმავალ გზაზე ოთხმა მრბოლმა განახორციელა ღლის მთავარი შეტევა. მცხუნვარე მზეში ფრანგებმა ფრანსუა სიმონმა, ჟილ ფენიანმა, ფრედერიკ გესდონმა და ესპანელმა ფრანისკო სერეზომ დიდი ხანი იქრილეს პელოტონს მოწყვეტილებმა და რვაწუთიანი უპირატესობის მოპოვებაც შეძლეს. თუმცა სპრინტერებმა მათ ჯაფა წყალში ჩაუყარეს, ტემში გაზარდეს და ფინიშამდე დაახლოებით ათი კილომეტრით ადრე დაწივნენ კიდეც ლტოლვილებს.

„ჩვენ სწორი ტაქტიკა ავირჩიეთ. წინწასულებს არ გამოვდგომივართ, რადგან მათ შორის ჩვენიანიც (მენიანი) იყო. ერთი ხანობა მეგონა, რომ ყვითელი მაისურას დათმობა მომიწევდა, მაგრამ სპრინტერთა გუნდებმა გაქცეულების დაწევა გადაწყვიტეს“ — თქვა საერთო ჩათვლაში პირველობაშენარჩუნებულმა ესტონელმა იან კირსიპუუმ.

ჩიპოლინიმ კი სამ დღეში სამი ეტაპის მოგება შეძლო, რაც მისი „კამპანიისიმო“ თანამემამულე ჯინო ბარტალის შემდეგ ველარავის მოუხერხებია. ბარტალიმ 1948 წელს ზედიზედ გაიმარჯვა ბრიანსონის, ექს-ლე-ბენის და ლოზანას ეტაპებზე.

REUTERS მობეჭდილიდან

ველომრბოლებს მობეჭელი ლამაზმანებიც გაეგებნენ

დღეს კვლავ სპრინტერული ეტაპია, ხვალიდან კი საქმეში ნამდვილები ჩაერევიან. კვირას მეცში ინდივიდუალურ რბოლაში გაეჯიბრებიან ერთმანეთს ველოსიპედისტები, რის შემდეგაც ერთ დღეს დაისვენებენ და სამშაბათიდან მთებსაც შეუყვებიან.

გაიოზ თალაკვაძე

მეექვსე ეტაპი

ამიენი — მობეჟი, 171,5 კმ

1 მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) — 4 სთ 11 წთ 09 წმ
2 ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
3 იან კირსიპუუ (ესტონეთი, კაზინო)
4 იან სვორადა (სლოვაკეთი, ლამპრე)
5 დამიან ნაზონი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ჟო)
6 ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, პოსტალი)
7 სილვიო მარტინელო (იტალია, პოლტი)
8 სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი)
9 ნიკოლა მინალი (იტალია, კანტინა ტოლო)
10 ლარს მიკაელსენი (დანია, ფრანსეზ დე ჟო) — ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 იან კირსიპუუ — 26 სთ 57 წთ 55 წმ
2 მარიო ჩიპოლინი — +26 წმ
3 ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი) — +31
4 სტიუარტ ოგრედი — +38
5 ერიკ ზაბელი — +38
6 ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — +46
7 აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +57
8 ჯორჯ ჰინკეპი — +58
9 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) — +1 წთ 01 წმ
10 ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი, კრედი აგრიკოლი) — +1 წთ 04 წმ



ცოტა ოდენი გეოგრაფია და ისტორია

მეექვსე ეტაპი. ამიენი — მობეჟი

მობეჟი — მერვე საუკუნეში აქ ველური ბუნება იყო და არავინ ცხოვრობდა. სწორედ ამიტომაც შეარჩია სამღვდელოებამ ეს ალაგი და დედათა მონასტერი დააარსა. მობეჟის ისტორიაც აქედან იწყება. შუა საუკუნეებში იგი თავისუფალი ქალაქი იყო და საკმაოდ ძლიერიც. კანტონ „ნორის“ ცენტრი (35 000 მაცხოვრებელი) „ტურის“ ეტაპს პირველად მასპინძლობს. 1940 წელს საჰაერო დაბომბვებისგან გაუკაცრიელებული მობეჟი ამჟამად საკმაოდ მნიშვნელოვანი ინდუსტრიული რაიონის ცენტრში მდებარე მეტალურგიული ქალაქია.

ტურის ლეგენდები

1911 წელი

გამარჯვებული გუსტავ გარიგუ



ამ „ტურში“ „ალსიონის“ მრბოლი გუსტავ გარიგუსთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. აქამდე იგი საბოლოო ჩათვლაში ხან მეორე ადგილს იკავებდა, ხან — მესამეს, ახლა კი მის გამარჯვებაში ეჭვი თითქმის აღარავის ეპარებოდა.

თუმცა რამდენიმე ეტაპის შემდეგ ჩემპიონობის კიდევ ერთი კანდიდატი გამოჩნდა. პოლ დიუბოკმა ისეთი დიდი პროგრესი განიცადა, თვით „ტურის“ მთავარი ორგანიზატორი ანრი დეგრანჟიც კი განაცვიფრა. 27 წლის ნორმანდიელმა, რომელიც ვერც განსაკუთრებულად ძლიერი ფიზიკური შესაძლებლობებით და ვერც მაღალი კლასით დაიკვეხნდა, სამხრეთში, პერპინიანში მოიგო პირველი ეტაპი.

შეუყვნენ თუ არა პირინეის მთებს ველოსიპედისტები, დიუბოკმა ახალ წარმატებას მიაღწია. იგი გარიგუსთვის უკვე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა, რადგან მას მხოლოდ 7 ქულითღა ჩამორჩებოდა.

„ალსიონის“ ხელმძღვანელობა პანიკამ მოიცვა. „ლა ფრანსეზი“, რომელსაც დიუბოკი წარმოადგენდა, ველობაზარზე მათი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი იყო. პანიკამ კი ის გამოიწვია, რომ საქმეში წყლის საწამლავიანი ბიდონი ჩაერია.

20 ივლისს, 3 საათსა და 30 წუთზე, ლუშონში მე-10 ეტაპი დაიწყო და დიუბოკიც მყისვე შეტევაზე გადავიდა. მშვენივრად მრბოლი „ლა ფრანსეზის“ წევრი დილის 7 საათსა და 51 წუთზე ბარეჟის საკონტროლო პუნქტზე გარიგუს 10 წუთს უგებდა. არჟელეში, სადაც ნორმანდიელი კვლავ მომარაგდა, ორ სპორტსმენს შორის სხვაობა უფრო გაზრდილიყო.

ობიასკის მთის ფერდობზე პოტენციურ გამარჯვებულს უეცრად რაღაც დაემართა და ველოსიპედიდან ჩამოვარდა. გამწვანდა, სახე დაემანჭა და პირისღებინება დაეწყო. მოწინააღმდეგეებმა მალე გაასწრეს, მისი დახმარება არავის უცდია, რადგან ამისთვის შეიძლება დისკვალიფიკაცია მიეღოთ. „ლა ფრანსეზის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა „მკაცრი“ ორგანიზატორების შეუმჩნევლად დიუბოკს ანტისაწამლავი დაალევინა. ნორმანდიელი ნელ-ნელა მომჯობინდა და საათისა და თხუთმეტი წუთის შემდეგ ველოსიპედზეც ამხედრდა, რათა „ტურის“ ნაადრევად მიტოვება თავიდან აეცილებინა. იგი, რა თქმა უნდა, ფინიშზე ბოლოს მივიდა, ბროკოსთან და გარიგუსთან სამ საათზე მეტი წააგო.

მოწამლეს თუ უბედური შემთხვევა იყო? დეგრანჟმა „ალსიონის“ სპორტულ დირექტორზე მიიტანა ეჭვი, მაგრამ ვერანაირი დამამტკიცებელი სბუთი ვერ მოიპოვა.

რაც შეეხება დიუბოკს, ერთდღიანმა დასვენებამ მას ძალების სრულად აღდგენის საშუალება მისცა და მანაც ლა როშელის ეტაპის მოგება შეძლო. „ტურს“ ერთ-ერთი ეტაპისას რუანში უნდა გაევლო, საიდანაც დიუბოკი წარმოშობით იყო. იქაურები გარიგუს ემუქრებოდნენ, მაგრამ თავად დაზარალებულის აზრით ალსიონელი უდანაშაულო იყო. დეგრანჟმა გარიგუს უსაფრთხოებისთვის მას ჩვეული მაისურაც გამოუცვალა, სხვა ფერის ველოსიპედი მისცა და და სამი მანქანაც ააყენა. თუმცა ყველა ეს წინდახედული ნაბიჯი ტყუილუბრალოდ გადაიდგა. რუანელები თავიანთი თანაქალაქელის მეტოქეს აპლოდისმენტებით შეხვდნენ, დიუბოკი კი... დიუბოკი უკვე დიდი ხნის გავლილი იყო მშობლიურ ქალაქში და ჰავრში ფინიშის ხაზზეც პირველი მივიდა.

საბოლოოდ მაინც გარიგუმ იმარჯვა, მეორე ადგილზე გასული რუანელი მას 18 ქულით ჩამორჩა. დიუბოკი „ტურ დე ფრანსში“ უკანასკნელად 1927 წელს მონაწილეობდა 43 წლისა. იგი 1941 წელს დაიღუპა.

ჩიპოლინი შრომის ბირჭაზე

„თავს ისე ვგრძნობ, როგორც ძველი, დანჯღრეული მანქანა. „საეკომ“ ეები გარაჟში დაყენება გადაწყვიტა“ — დანანებით თქვა ამასწინათ მარიო ჩიპოლინიმ. თუმცა „ტურ დე ფრანსის“ ზედიზედ სამი ეტაპის მოგების შემდეგ „დემორალიზებული“ კაცისთვის უეჭველი ღიმილით ადიოდა პოდიუმზე. თუმცა ამ გარეგნულად კარგ ასიათში, ალბათ, უფრო თავს ერთდროულად დამტყდარი უბედურებების ინაალმდეგ მებრძოლი ადამიანის მტიც ხასიათი ჩანს. გარშემმყოფთა ერავლესობისთვის კი ჩიპოლინი უბალოდ კმაყოფილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამის მიზეზიც არსებობდა — „სუპერ მარიო“ ხომ მეშვიდედ მონაწილეობს ველოსიპედისტთა ამთავრეს შეჯიბრში და 32 წლისამ ქ მეთერთმეტე გამარჯვება მოიპოვა. ოლიანად თავისი ათწლიანი პროფეიონალური კარიერის მანძილზე კი მის ნგარიშზე 144 მოგებული ეტაპია.

უამრავი პრობლემა კი აწუხებს მაიოს, მაგრამ ამის გამო იგი სრულეითაც არ კარგავს იუმორის გრძნობას ა დეპრესიაში არ ვარდება. „ახლა, ოცა უმუშევარი ვარ, სპონსორებს დაუწყე ძებნა. ვფიქრობ, ამ ეტაპების ოგებით საკუთარ თავს მშვენიერი რეალამ გავუწიე“ — გაიხუმრო „ჩიოლინიმ“. „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე ამდენიმე დღით ადრე „საეკოსგან“ კოტრაქტგაუგრძელებელ ჩიპოლინის 19 ენისს იტალიელი სამართალდამცავები სახლში დაადგნენ და დოპინგის პოლის მიზნით საცხოვრებელიც მთლიანად გადაუქოთეს. „ეს ძალიან ძნელი ასატანი იყო“ — თქვა სპორტსმენმა, ისზეც უკვე ბევრი ამბობს, რომ მისმა კარიერამ დასასრულს უწიაო.

REUTERS მობეჭდილიდან

მარიო ჩიპოლინი

ძალიან ძნელი ასატანი მისთვის, ალბათ, თავისი გუნდის „საეკოს“ ფაქტობრივი დაშლაც იქნება. წლევანდელი „ტურის“ შემდეგ მისი „გრგარებიც“ სხვადასხვა გუნდებში გაიფანტებიან და სხვა პეპლებსა და ნამდვილებს მეხმარებიან გამარჯვებათა მოპოვებაში. პოლიციელებზე კი „ჩიპო“ აუგს არაფრით ამბობს: „ისინი თავიანთ სამუშაოს ასრულებდნენ და ეს სავსებით ნორმალურია.“ სხვათა შორის, დაუპატიჟებელმა სტუმრებმა მარიოს სახლში დოპინგის ნატამალიც კი ვერ აღმოაჩინეს. თუმცა რაღაც მედიკამენტებს ეჭვის თვალით შეხედეს, მაგრამ ჩიპოლინიმ ლამის ხატზე დაიფიცა, ჩემს გოგოს გამოუწერეს ექიმებმა. ალბათ, ტოსკანელს უნდა დაუჯეროთ. მიუხედავად იმისა, რომ მას დოპინგის საქმეში გარეული ექიმების ფრანჩესკო კონკონისა და მიკელე ფერარისთან ჰქონდა საქმე. ამ ორ ჯანმრთელობის დამცველს კი „ჯანმრთელობისთვის საშიში მედიკამენტების გავრცელებაში“ სდებს ბრალს ბოლონიის პროკურატურა.

ისე ჩიპოლინი და დოპინგი მართლაც შორი-შორს ჩანან ერთმანეთისგან. ამ აზრის სასარგებლოდ ერთი ფაქტიც მეტყველებს, ველომრბოლთა უმრავლესობა სტიმულატორებს ტკივილის გასაყუჩებლად, მთებში უკეთ რბოლისთვის და მრავალდღიანი ტურების დატვირთვების უკეთ ასატანად იყენებს, „ჩიპო“ კი რამდენიმე სპრინტერულ ეტაპს მოიგებს, მაგრამ როგორც კი პელოტონი აღმართებს მიუახლოვდება, იგი ველოსიპედიდან ჩამოხტება და ამბობს — „მთებს ჩემთვის არანაირი სიამოვნება არ მოაქვს, თანაც მე ხომ ალპინისტი არ ვარ.“

ისე წლევანდელი „ტური“ მისთვის განსხვავებული იქნება. „მეფე ლომს“, ზოგიერთი მას ასეც მოიხსენიებს, გადაუწყვეტია, რადაც არ უნდა დაუჯდეს, პარიზში ბოლო ეტაპის ფინიშის ხაზი გადაკვეთოს, ხოლო საერთო ჩათვლაში საბოლოოდ რომელ ადგილს დაიკავებს, რა მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, ჩიპოლინი წლეულს საფრანგეთის მთებსაც შეუყვება.

მისი სამომავლო გეგმები კი... „ილ მონიფიკოს“ ნახვა სექტემბერში, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში შეეძლებათ მის თაყვანისმცემლებს. მარიო „ტრეკზე გამოდევნების“ (!) მსოფლიოს ჩემპიონატში აპირებს მონაწილეობის მიღებას, შემდეგ კი სიდნეის ოლიმპიური თამაშები მოდის და მარიო ჩიპოლინიმ შეიძლება ოლიმპიური მედლის მოპოვებაც სცადოს.

ნანა შატაკიშვილი



REUTERS კლერმონტიდან

კვლავ მია

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მოლოდინში: შეერთებული შტატების ფეხბურთელთა ნაკრების ვარჯიშებს კალიფორნიულ კლერმონტში უამრავი ხალხი ესწრება. ქომაგები გასაქანს არ აძლევენ გუნდის უპირველეს ვარსკვლავ მია ჰემს; ტიფენი მილბრეტი და ლორი ფეარი კი ვარჯიშის შემდეგ პოლიციელთა მოტოზე ამხედრებულან.

ვლადე ბოსნიაში

ბოსნიურ ქალაქ ბანია ლუკაში საქველმოქმედო საკალათბურთო თამაში გაიმართა იქაურ „ბორაც-ნეკტარსა“ და სახელდახელოდ შეკრებილ ვარსკვლავთა გუნდს შორის. ამ სახელდახელო გუნდს „საკრამენტო კინგზის“ ვლადე დივაცი კაპიტნობდა და მისი ავტოგრაფები დიახაც სასურველი იყო.

REUTERS ბანია ლუკადან

კასპაროვი — მსოფლიო

1. e2-e4 c7-c5; 2. მg1-f3 d7-d6; 3. კf1-b5+ კc8-d7; 4. კb5:d7+ ლd8:d7; 5. c2-c4 მb8-c6; 6. მb1-c3 მg8-f6; 7. 0-0 g7-g6; 8. d2-d4 c5:d4; 9. მf3:d4 კg7; 10. მd4:e2



შეხვედრა ლოს ანჯელესში

ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ოთხი დღე იმოგზაურა კალიფორნიაში და იქაურ ღატაკთა ალაგებიც მოინახულა. ალან ლეროის უმაღლეს სკოლაში პრეზიდენტს დიდი ქველმოქმედი და კალათბურთის ვარსკვლავი მეჯიქ ჯონსონი შეეგება. როგორც იქაურობის კარგმა მცოდნემ, მეჯიქმა ბევრი საგულისხმო რამ უამბო პრეზიდენტს.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ვისენტე: პირველი სისხლი

პამპლონაში „სან ფერმინი“ გრძელდება და ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. ხარებმა აიშვეს და არენამდე მიაღწიეს. გუშინ კი პირველი სისხლიც დაიღვარა: მატადორ ვისენტე ბეხარანოს ხარმა, სახელად „რომპეხიელოს“ რომ ერქვა, დაასწრო და რქებზე წამოაგო. „რომპეხიელოს“ ესპანურად ყინულმჭრელს ნიშნავს და ვისენტეს ნეკნები რას გაუძლებდა. მატადორმა პიკეს ჩასობა მაინც მოახერხა და ყინულმჭრელი მოკლა. „რომპეხიელოსმა“ ორჯერ ამოჰკრა შემცდარ მატადორს და ისიც ჰოსპიტალში გააქანეს. ბეხარანოს სადღეისო მდგომარეობა უცნობია, ხარის გამო კი იტყობინებიან, რომ სალვადორ გვარდიოლას რანჩოზე ყოფილა გაზრდილი და 525 კილოგრამს იწონიდა.





REUTERS ბონეველიდან

ხაფანგი გზაზე

რას არ მოიგონებენ „ტურ დე ფრანსის“ მაყურებლები: ბონევალიდან ამიენამდე გაჭრილ გზაზე ბრბოლთათვის ცოცხალი ქანდაკებები ჩამომწკრივებულან. ქანდაკებებად გადაქცეული მსახიობები იმგვარი ფერისანი იყვნენ, რომ არ სდომებოდათ ველოსიპედრებს მაინც გაექცეოდათ მათკენ თვალი.

REUTERS ჰამბურგიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ჭუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli